საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№17 (441)
16 - 22 მაისი, 2018
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს 7

საქართველოს პრემიერმინისტრი ქვეყანაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ინიციატივით გამოვიდა

## «ქართული ოცნება» «ეშმაკის ბორბალზე» 4



### ივანიშვილი «ქანჩების მოსაჭერად» დაბრუნდა

ზოგმა შეიძლება დაშლილ „ეშმაკის ბორბალთან“ ამ შეკრების უცნაური კავშირი დაინახოს, იქნებ „ქართულ ოცნებას“ უნდოდა, დაემტკიცებინა, რომ პარტიას დემონტაჟი არ ემუქრება და მისი ბედის ბორბალი სრულ წესრიგშია, მიუხედავად იმისა, რომ ბევრს ამაში ეჭვი შეეპარა?! საზოგადოდ კი, ქართული პოლიტიკა ერთი დიდი „ეშმაკის ბორბალია“

## ქრისტეს ზეცად ამაღლების დღეს — ქართველთა ამაღლება თუ დაცემა? 5



## როგორ გვაკარგვინებენ ადამიანურობას 3

საზოგადოება ინგრევა, რადგან ადამიანები აღარ ენდობიან მეტყველებით კომუნიკაციას და გადადიან ემოციებისა და წარმოსახვის უსიტყვო კომუნიკაციაზე. ეს კი ცხოველური კომუნიკაციაა. ასე ნადგურდება ადამიანის წარმოშობისა და განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი — მეტყველება. და ჩვენ ვხდებით ჩვეულებრივი ცხოველები ჩვენი ქცევებით

## ფსიქიკური აშლილობის აპოთეოზი




თუკი მოსკოვისა და პუტინის მითითებაა საქართველოში ნარკოტიკებთან ბრძოლა, მაშინ «მიდი, პუტინ, მიდი!» 14

## «ბასიანში» მოწყობილი ჰქონდათ ბუნაგები, რომლებშიც ორგიები, მათ შორის გეიორგიები, იმართებოდა» 2

«საქართველოში ცდილობენ, ტურიზმი განავითარონ ნარკოტიკებით, სექსით, სათამაშო ბიზნესით და გადააქციონ კიდეც ქვეყანა ასეთ არეალად»



## გადაიხადე და დაგიცავ! 10

### ამერიკაზე უკეთ ჩვენი წინდახედულება დაგვიცავს





ვისაც ამერიკის სამხედრო ძალა სჭირდება, ნატოს კი არა, ამერიკას უნდა გადაუხადოს

## ნატოს არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა 11

## რუსეთი დოლარის გამოყენებაზე უარს ამბობს 12

### როგორ აისახება ეს საქართველოზე?



სპეცოპერაციის ექო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დასხდნენ პარლამენტის შენობის წინ და დედის გინებით ემუქრებოდნენ პოლიციას. ეს კი სისხლის სამართლის კანონით ისჯება, ეს ძალადობაა, ეს არ არის წვრილმანი ხულიგნობა. აქციის მონაწილეები შეურაცხყოფდნენ ყველას და ყველაფერს, მათ შორის — ცხრა აპრილის მემორიალს, მაგრამ მათ წინააღმდეგ ერთი განცხადებაც კი არ გაუკეთებია შესაბამის უწყებებს, პირიქით, ბოდიში მოუხადეს“.**

**„ბასიანსა“ და „გალერიში“ ჩატარებულმა საპოლიციო ოპერაციებმა და შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად წარმოაჩინა, რომ ხელისუფლება ვერ ფლობს სიტუაციას ქვეყანაში. აბა, სხვა რით ავხსნათ, რომ ერთი მუჭა ხალხის სპონტანური (ვითომ?) მიტინგი კინაღამ უამართავი გახდა (დესტრუქციისკენ წაქეზებისა და პოლიტიზების მცდელობები აშკარად ჩანდა) და ვითარების გასანეიტრალებლად მთავრობამ ჯერ შს მინისტრის პირით მოუხადა ბოდიში ნარკომანებსა და მათ დამქაშებს, მერე კი მოლაპარაკებებიც გამართა მათთან. ამ ამბებმა გააჩინა რამდენიმე ლეგიტიმური კითხვა: საიდან და რატომ მოხვდა ნარკოტიკი ღამის კლუბებში? ეს კლუბები ხომ, რამდენიმე წელია, ფუნქციონირებს და იქ გამეფებული ვითარება არავისთვის არ იყო საიდუმლო. სად იყურებოდა პოლიცია? კიდევ: ამ კლუბების მესვეურებმა არ იცოდნენ, რა ხდებოდა კლუბებში? ნარკოტიკების რეალიზაციაში მათი ხელი არ ურევია? დასასრულ, მაინცდამაინც ადამიანები უნდა დაღუპულიყვნენ დოზის გადაჭარბებით, რომ პოლიციას თვალი გაეხილა და ემოქმედა? ხომ ცხადია, რომ მოხმარების ლეგალიზების შემდეგ ჩვენი უცხოელი „მეგობრები“ და „პარტნიორები“ ნარკოტიკებით ვაჭრობის ლეგალიზებას მოგვთხოვენ ნარკომანთა უფლებების დაცვის საბაბით. მოხმარება თუ ლეგალურია, მომხმარებელს ლეგალურად შეძენა უნდა შეეძლოსო, არ გვეტყვიან? და მთავრობა რას იზამს: იპოვის გამბედაობას თუ ბერა ახალ კლიპს დაწერს? თბილისში ამ დღეებში განვითარებული მოვლენების შეფასება ვთხოვეთ საქართველოს მე-7 მოწვევის პარლამენტის წევრს, ადამიანის უფლებების დამცველ დიმიტრი ლორთქიფანიძესა და თბილისის საკრებულოს ყოფილ წევრ სოსო მანჯავიძეს.**

# ბოლო დღეების მოვლენებმა ნათლად წარმოაჩინა, რომ ხელისუფლება ვერ ფლობს სიტუაციას ქვეყანაში



## „ბასიანში“ მოწყობილი ჰქონდათ ბუნაგები, რომლებშიც ორგიები, მათ შორის გეიორგიები, იმართებოდა“

**დიმიტრი ლორთქიფანიძე, ადამიანის უფლებათა დამცველი:**

— ის, რაც მოხდა, პოლიტიკური თვალსაზრისით, ძალიან მძიმე მოცემულობის წინაშე აყენებს ქართველ საზოგადოებას, რადგან იყო პირდაპირი მცდელობა, ყოვლად მიუღებელი ზნეობრივი ღირებულებები ყოფილიყო ჩვენი ქვეყნის ახალი ეპოქის დასაწყისი (იგულისხმება დიქტატურა უმცირესობის სახელით).

**ერთი მუჭა ადიქციური ადამიანების ქცევა სცდებოდა ყოველგვარ წარმოდგენას, ახდენდნენ ზეწოლას ხელისუფლებაზე და ტელევიზიებიც ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ პირდაპირი ეთერით, მათი მოთხოვნებით გაჯერებული იყო ყველა და ყველაფერი. მათ ჰქონდათ ლეგიტიმაცია ხელისუფლების მხრიდან, ხოლო ბერა ივანიშვილის სიმღერა „ლეგალიზაცია“ ეხება არა მხოლოდ ნარკოტიკის, მოსაწევის ლეგალიზებას, არამედ უმცირესობების დიქტატურის დასაწყისის გამოცხადებას.**

12 მაისის ღამეს სამართლებრივი ხასიათის უპრეცედენტო აქტები ჩატარდა, რომლებსაც წინ უძღვოდა 16 ადამიანის გარდაცვალება გაურკვეველი ნარკოტიკით. **მართლია, სპეცოპერაცია ურმის გადაბრუნების შემდეგ ჩატარდა, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი იყო, რადგან 8 ნარკორეალიზატორი დააპატიმრეს.** პოლიცია, რომელმაც სპეცოპერაცია ჩაატარა, იმსახურებდა საზოგადოების სიმპათიასა და მხარდაჭერას, რაც სოციალურ ქსელებში არც დაუფარავთ, თუმცა იმან, რაც ადამიანების ერთი ჯგუფისგან შემდგომ ვიხილეთ, ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა: **დასხდნენ პარლამენტის შენობის წინ და დედის გინებით ემუქრებოდნენ პოლიციელს. ეს კი სისხლის სამართლის კანონით ისჯება, ეს ძალადობაა, ეს არ არის წვრილმანი ხულიგნობა. აქციის მონაწილეები შეურაცხყოფდნენ ყველას და ყველაფერს, მათ შორის — ცხრა აპრილის მემორიალს,** მაგრამ მათ წინააღმდეგ ერთი განცხადებაც კი არ გაუკეთებია შესაბამის უწყებას, პირიქით, ბოდიში მოუხადეს...

ეს არის გზა, რომელსაც ხელისუფლებამ მიმართა, რათა იმ ნარკოპოლიტიკის მოსალოდნელ ლიბერალიზაციაზე პასუხისმგებლობა თავიდან აირიდოს, რასაც ქუჩაში მდგომი ადამიანები, დიდი ხანია, გეგმავენ. ხელისუფლებას სურს, საზოგადოებას აჰკიდოს პასუხისმგებლობა უმცირესობის სახელით. ეს საგანგაშოა.

**— განაცხადეთ, რომ კლუბ „ბასიანში“, გარდა ნარკოტიკების მოხმარებისა, სხვა სიბინძურეებიც ხდებოდა, თუმცა მომიტინგეები ამბობდნენ, რომ კლუბში მხოლოდ ცეკვავდნენ...**

— ღამის კლუბები არის სისტემური ბოროტების შემადგენელი ნაწილი, ახალი ადამიანის გამოყვანის მცდელობა. კლუბ „ბასიანის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი „ნაჯა“, იგივე **ნათია ორაშვილი** (ნაჯა ინდური სიტყვაა და ითარგმნება, როგორც სათვალიანი ასპიტი — დ. ლ.) არ მალავს, რომ ჩართულია პოლიტიკაში და იმაზე არანაკლებ საქმეს აკეთებს, ვიდრე ნეოლიბერალები საპარლამენტო ტრიბუნიდან. ის თვლის, რომ სერიოზული მუშაობა გასწია კლუბში 3 ათასი ადამიანის გასაწევრებლად, რათა მათ ეცხოვრათ კლუბის შიგა კონსტიტუციით. **ნარკომაფია, პროსტიტუცია და ღამის კლუბები ერთი სისტემაა. ისინი ცდილობენ, გამოავლინონ სუსტი ნებისყოფისა და სუსტი ფსიქიკის ადამიანები,** რომლებსაც უყვართ ელექტრონული მუსიკა, მაგრამ ნარკოტიკი იწვევდა სხვა რეაქციებს. „ბასიანში“ მოწყობილი ჰქონდათ ბუნაგები, რომლებშიც ორგიები, მათ შორის გეიორგიები, იმართეობდა. ეს ყველაფერი არ დამსიზმრებია. ჩემმა ძალიან ახლო მეგობარმა მომაწოდა ინფორმაცია, რომელიც ერთ-ერთ ბრიტანულ ჟურნალში გამოქვეყნდა. როგორც ჩანს, ღამის კლუბებს შორის არსებობს კონკურენცია და „ბასიანსაც“ სჭირდებოდა რეკლამა, რაც ერთ-ერთ ჟურნალისტს დაავალეს. მას უფლება მისცეს, „ბასინში“ შესულიყო და გადაეღო იქ მიმდინარე პროცესი. ყველა ფოტო ინტერნეტში გამოქვეყნდა, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ქართულ მედიასივრცეში ამას ყურადღება არავინ მიაქცია. დავინტერესდი მოწოდებული ინფორმაციით და ვნახე ინტერვიუ „ბასიანის“ ერთ-ერთ მენეჯერთან, ვინმე **გიორგი კიკონიშვილთან**, ვიხილე ფოტომასალა და ჩემთვის ყველაფერი ნათელი შეიქნა: **იქ არავინ მალავდა, რომ ლგბტ თემის წარმომადგენლებს ჰქონდათ სრული თავისუფლება. წერდნენ, რომ სახლში ჰყავდათ ბებიები, ბაბუები და არ ექლეოდათ საშუალება, ეცხოვრათ ისე, როგორც სურდათ, „ბასიანში“ კი მათთვის ყველა პირობა იყო შექმნილი.**

ეს ფაქტი მიზეზი იყო ყველას დაპატიმრების, მათ შორის იმ ფართობის მეპატრონის, რომელშიც „ბასიანი“ ფუნქციონირებდა. **ტერიტორია, სადაც ბავშვობა გვაქვს გატარებული და სადაც არაჩვეულებრივი, ოლიმპიური სტანდარტების აუზი იყო, როგორ ჩაუვარდა ხელში ადამიანთა ერთ ჯგუფს სოდომური ცხოვრებისათვის?!**

ნარკოტიკი და ღამის კლუბი ერთმანეთის განუყოფელი ნაწილებია და ამის უარყოფას აზრი არ აქვს. ამას არ უარყოფს არც ნაჯა ორაშვილი, რომელმაც ერთ-ერთ გადაცემაში რეკლამა გაუკეთა კლუბს და თქვა, რომ ვერ აუკრძალავს ვერავის 100-დოლარიანი ნარკოტიკის ყიდვას, როდესაც სხვა ნარკოტიკი 150 და 200 დოლარი ღირს.

ეს ადამიანი დაპატიმრებული არ არის.

შევძელი, მომეპოვებინა შინაგან საქმეთა მინისტრის ტელეფონის ნომერი და მას შეტყობინება გავუგზავნე, ავუხსენი, რომ, გარდა ნარკოტიკების გასაღებისა, მქონდა ფოტომასალა, რომელიც პროსტიტუციის ბუდის მოწყობასაც ადასტურებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მისგან პასუხი არ მიმიღია. ამის შემდეგ ჩემს ფეისბუკგვერდზე ავტვირთე მასალები, რომლებსაც ასიათასობით ნახვა აქვს. სამართალდამცავები ხმას არ იღებენ.

როდესაც დაისვა შეკითხვა, რატომ შეიქნა საჭირო ღამის კლუბში სპეცოპერაციის ჩატარება, ვცდილობდი, მიმეწოდებინა ინფორმაცია, რომლითაც გაამართლებდნენ აღვირახსნილი კლუბის გაწმედნას, მაგრამ ამაოდ...

**— რას უნდა ველოდოთ ამის შემდეგ?**

— ნაჯა ორაშვილი არ მალავს თავის პოლიტიკურ ამბიციებს და ამბობს, რომ „ბასიანი“ უნდა ქცეულიყო რამდენიმე პოლიტიკური მოძრაობისთვის პლაცდარმად, რომელიც ხელს შეუწყობდა ახალი პოლიტიკური პოზიციის ჩამოყალიბებას. ჩვენ ნათლად დავინახეთ, რომელი ორგანიზაციები და პარტიები იდგნენ ორი დღის განმავლობაში აქციაზე. მათ ახალი ნეოლიბერალური კოალიცია უნდა შეექმნათ, რასაც აქციების დახმარებით შეძლებდნენ.

ასეთ ვითარებაში დრო აღარ ითმენს და ჩვენ, საქართველოს დანარჩენი მოსახლეობა, უნდა შევიკრიბოთ და უარი ვუთხრათ იმ სიბინძურეს, რომელიც მიზანმიმართულად მოემართება ჩვენკენ ქვეყნის დასაქცევად.



## „საქართველოში ცდილობენ, ტურიზმი განავითარონ ნარკოტიკებით, სექსით, სათამაშო ბიზნესით და გადააქციეს კიდეც ქვეყანა ასეთ არეალად“

**სოსო მანჯავიძე, თბილისის საკრებულოს ყოფილი წევრი:**

— საქართველო რეგიონში ერთადერთი ქვეყანაა, რომელშიც ნებადართულია სათამაშო ბიზნესი, რომელიც არის ეკონომიკის მნიშვნელოვანი სეგმენტი და ხელშეწყობილია. ასეთ ვითარებაში სხვა რა მოლოდინი უნდა გვქონოდა. სათამაშო ბიზნესი იწვევს პროსტიტუციის განვითარებას, რასაც აუცილებლად მოჰყვება ნარკოტიკების თავისუფალი მიმოქცევა. საქართველოში ცდილობენ, ტურიზმი განავითარონ ნარკოტიკებით, სექსით, სათამაშო ბიზნესით და გადააქციეს კიდეც ქვეყანა ასეთ არეალად.

**აქ არის ბიზნესინტერესები, მასში არის ჩარეული პოლიტიკაც.** ისეთი სპექტაკლი, რომელსაც ორი დღეა ვუყურებთ, სწორედ ბიზნესინტერესების დაცვას სჭირდებოდა.

**— შინაგან საქმეთა სამინისტრომ იმ სიბინძურის აღკვეთა სცადა, რომელზეც თქვენ საუბრობთ...**

— პოლიციას არაფერი გაუკეთებია ისეთი, რაც გათვალისწინებული არ იყო. „გალერისა“ და „ბასიანში“ ჩატარებული სპეცოპერაცია აუცილებლად გამოიწვევდა იმ ხმაურს, რომელიც ვიხილეთ და რომელიც მოულოდნელი არავისთვის უნდა ყოფილიყო. ვიცოდით, რომ აქციაზე გამოვიდოდნენ ის ჯგუფები, რომლებიც საქართველოს გადაშენებაზე მუშაობენ, და ასეც მოხდა, მაგრამ მოხდა უარესიც — მათ მხარი დაუჭირა მთავრობამ და ბოდიში მოიხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა.

**— არ ფიქრობთ, რომ მინისტრმა გახარიამ ბოდიში მხოლოდ სიტუაციის განსამუხტავად მოიხადა და მას სხვა მიზანი არ ჰქონდა?**

**— ბოდიშის მოხდას სჯობდა, მიტინგზე ელაპარკა, ვინ აფინანსებს ამ ორგანიზაციებს, დაესახელებინა სახელები და გვარები. მინისტრმა ხომ იცის, რომ ადამიანების ის კატეგორია, რომელიც პარლამენტთან იდგა, დაფინანსების გარეშე გარეთ არ გამოვა, ისინი ყველაზე ანგარებიანები არიან. ნარკომანი, თუ მას ფულის სუნი არ სცემს, არაფერს გააკეთებს.**

ბოდიშის მოხდა აუცილებელი არ იყო ან რა ჰქონდა მინისტრს საბოდიშო?! ქვეყნის მოსახლეობისგან უდიდესი მხარდაჭერა ჰქონდათ — ყველა მოითხოვდა ნარკომოვაჭრეების დასჯას. ხელისუფლებამ თვითონ გადაწყვიტა ბოდიშის მოხდა და ამით საქართველოს სახელმწიფოებრიობას კიდევ ერთხელ მიაყენა დარტყმა.

**— რატომ შევიდნენ „ბასიანში“, თუ მაინც ასე დასრულდებოდა ყველაფერი და თუ მიზანიც ეს იყო?**

— აი, ეს უნდა ვიკითხოთ ჩვენ. ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაცია და საქართველოს გადაქცევა ნარკოტიკების კომფორტულად მოხმარების ზონად — ეს იყო მიზანი, რაც გამოუვიდათ და რისი მოწმეც მალე გავხდებით.

**— იქნებ შინაგან საქმეთა მინისტრს ვიღაცამ უთხრა, — ბოდიში მოიხადეო, იმ ვიღაცას კი — სულ სხვა ვიღაცამ...**

— რის თქმა გინდათ: ამერიკამ უკარნახა? ამერიკა არაფერ შუაშია. **საქართველოში ამ შემთხვევაში იმუშავა სოროსის ფონდმა და ლობისტები არიან ნეოლიბერალური ძალები.** საქართველოში ამჟამად ამერიკის ელჩი არ არის და მეეჭვება, სახელმწიფო დეპარტამენტიდან ვინმეს დაერეკა ამ საკითხზე. ჩვენმა მოსახლეობამ უნდა გამოუცხადოს უნდობლობა ტელევიზიებს, არ უნდა ვუყუროთ იმ საზიზღრობას, რომელსაც ტელეეთერიდან გვახვევენ თავს. ბოიკოტის რაღაც ფორმა უნდა მოვიფიქროთ. საქართველო ყველანაირად განადგურებულია, მაგრამ ძალა უნდა მოვიკრიბოთ და წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ ქვეყნის მტრებს.

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

**ამ პროცესმა არც ქართულ ენას არ აუარა გვერდი. ამის ძალიან თვალსაჩინო მაგალითია სიტყვა „არა“-ს ამოღება მთელი რიგი ფრაზებიდან, ეს დღეს ერთგვარ მოდად იქცა: „არაფერი (არ) მინდა!“, „არაფერი (არ) მინახავს“, „არაფერი (არ) გამიგია“ და ა.შ. „არაფერი“ ნიშნავს არაფერს და არაფრის ან გაგონება, ან ნდომა, ან დანახვა შეიძლება? ასეთი, ერთი შეხედვით, უწყინარი მეტყველებითი სიახლეები ადამიანის ფსიქიკას და განსაკუთრებით, ქვეცნობიერს ჩიხში აყენებს და ანგრევს ბუნების მიერ მასში ჩადებული პროცესების მიმდინარეობას.**

კონტრრევოლუცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როგორ გვაკარგვინებენ ადამიანურობას

**ერთობ საინტერესო ეპოქაში გვიწევს ცხოვრება ჩვენს თაობებს. ვერ იტყვი, რომ ეს ეპოქა ბრწყინვალეა და საამური, მაგრამ უნიკალური ნამდვილად არის. უნიკალური იმ თვალსაზრისით, რომ ერთი ეპოქიდან მეორეში გადასვლის პერიოდში ვცხოვრობთ. მიდის ერთი ეპოქა, ირღვევა და იშლება საუკუნეებით ჩამოყალიბებული ცხოვრების წესი, მსოფლმხედველობა, ადამიანის ცხოვრებისეული ლოგიკა და მოდის რაღაც ახალი. უფრო სწორად, ძველი ეპოქის წასვლის ფონზე რაღაც ახალის შექმნის აუცილებლობა გვიდგას. იმისთვის, რომ ახლის გზას სწორად დავადგეთ, წარსულისა და მისგან შობილი აწმყოს სწორად დანახვა და გააზრებაა საჭირო.**

**ადამიანის მიწიერი ცხოვრების ერთადერთი დანიშნულება ისაა, რომ ამქვეყნიური ცხოვრებით ის ღმერთს მიუახლოვდეს.**

**ქრისტეშობიდან ადამიანში ამქვეყნად ორი საწყისი ებრძვის ერთმანეთს — სიკეთე და ბოროტება, შეიძლება — სიყვარული და მტრობა. ჩვენს დღევანდელობაში ღმერთთან მიახლოების გზა ადამიანში სიკეთისა და სიყვარულის გამრავლებაზე და მტრობისა და ბოროტების აღმოფხვრაზე გადის.**

**ადამის მოდგმის მტრებს მრავალფეროვანი არსენალი აქვთ იმისთვის, რომ ადამიანი ღმერთს დააშორონ.**

**გვინდა, ვიხელმძღვანელოთ პრინციპით: „ვინც გაფრთხილებულია, ის შეიარაღებულია!“**

**დღეს მკითხველს ერთ-ერთი ასეთი მეთოდის შესახებ მოვუთხრობთ. შევეცდებით, შემდგომშიც გავშალოთ მოცემული თემა.**

**ასეთი პუბლიკაციების აუცილებლობა ბოლო დღეებში ღამის კლუბებში ჩატარებულმა საპოლიციო რეიდებმა და ამით გამოწვეულმა რუსთაველზე განვითარებულმა მოვლენებმაც ცხადყო.**



ადამიანი ისეთი სახით, როგორიც დღეს არის, გაჩნდა მას შემდეგ, როცა ჩვენმა წინაპრებმა შექმნეს მეტყველება, ოჯახი და კომუნა. ამ ფაქტორებიდან ერთ-ერთის არარსებობის შემთხვევაში თანამედროვე ადამიანი არ იარსებებდა.

მეტყველება იყო არა მხოლოდ კომუნიკაციის საშუალება, არამედ თავის ტვინის მძლავრად განვითარების პირობაც; სახელდობრ, ლოგიკურ-მეტყველებითი აზროვნების. ლოგიკურ-მეტყველებითი აზროვნება გამოგვყოფდა ჩვენ ჩვეულებრივი თბილსისხლიანი ცხოველებისგან და განამტკიცებდა ჩვენს ადამიანურობას.

**იმ შორეულ დროში ტყუილი გათანაბრებული იყო მკვლელობასთან, რადგან სიტყვა, მეტყველება მართალი იყო, ხოლო ურთიერთობა პირველყოფილ კომუნებში — პატიოსანი; იმხანად ადამიანებმა შეგნებულად თქვეს უარი ერთმანეთის მოტყუებაზე. მათ კი, ვინც მეტყველების გამოყენებით ატყუებდა „თავისიანებს“, აძევებდნენ პირველყოფილი თემიდან. ეს სიკვდილის ტოლფასი იყო, რადგან ადამიანს არ შეუძლია საზოგადოების გარეშე ცხოვრება.**

ცხოველებსა და ადამიანებს აქვთ ორი სახის აზროვნება — **ემოციური** და **წარმოსახვითი, ხატოვანი,** მაგრამ მხოლოდ ადამიანს აქვს ლოგიკურ-მეტყველებითი აზროვნება — ადამიანი აზროვნებს მეტყველებით და ამით მნიშვნელოვნად განსხვავდება ცხოველთა სამყაროს წარმომადგენლებისგან.

ეს არის არსებითი განსხვავება ადამიანსა და ნებისმიერ ცხოველს შორის, რადგან **მეტყველებითი აზროვნება უმძლავრესი გზაა თავის ტვინის განვითარებისათვის.**

ერთ-ერთი პირველი სამეცნიერო დაწესებულება, რომელმაც ადამიანების ურთიერთობების შესწავლა დაიწყო, არის ინგლისში. ის ტავისტოკის ინსტიტუტის სახელითაა ცნობილი.

ამ ინსტიტუტში ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში შეუდგნენ ფსიქოლოგიური მეთოდების შემუშავებას, რათა ადამიანისთვის ადამიანურობა დაეკარგვინებინათ და ის ცხოველის დონემდე დაეყვანათ.

**როგორ ხდება ეს?**

ადამიანური ურთიერთობების სპეციალისტებმა შესანიშნავად იციან, რა უწყობს ხელს ლოგიკურ-მეტყველებითი აზროვნების განვითარებას და რა — მის დეგრადაციას.

**ვისაც ახსოვს საბჭოთა კავშირი, ემახსოვრება, რა ბევრი იყო იმხანად განათლებული და პატიოსანი ადამიანი. და კეთილი ადამიანური ურთიერთობები მატერიალურ კეთილდღეობაზე გაცილებით მეტად ფასობდა. ამ განსხვავებამ საბჭოთა კავშირის საზოგადოება ისე მძლავრად განავითარა, რომ, მხოლოდ 30 წლის მანძილზე პრიმიტიული მიწათმოქმედების ქვეყანა ზემძლავრ კოსმოსურ და ბირთვულ სახელმწიფოდ იქცა.**

როდესაც ადამიანური ურთიერთობის სამეცნიერო დაწესებულებებმა დაიწყეს თავიანთი მეთოდების დამუშავება კაცობრიობის ცხოველის დონეზე დასაყვანად, მათ იცოდნენ მთავარი, სახელდობრ, რომელი ადამიანური ფაქტორებისთვის უნდა მიეყენებინათ სასიკვდილო დარტყმა. პირველ რიგში, დაარტყეს ლოგიკურ-მეტყველებით აზროვნებას — მეტყველებას:

**1.** მათ ასწავლეს ადამიანებს, როგორ მოეტყუებინათ ერთმანეთი პირადი სარგებლის მისაღებად ადამიანური ურთიერთობებიდან;

**2.** მათ დაიწყეს კოლექტივიზმის დანგრევა ადამიანური ურთიერთობების ყველა დონეზე;

**3.** მათ დაიწყეს ცრუ ისტორიის შეთხზვა;

**4.** მათ დაიწყეს შემუშავება და საზოგადოებაში დანერგვა „გამომუშავებული უმწეობისა“, რომლის დროსაც ადამიანები ურიგდებიან ყველაფერს, რაც მათ თავს ხდება, და არანაირ ძალისხმევას არ იჩენენ თავიანთი ცხოვრების უკეთესობისკენ შესაცვლელად;

**5.** მათ დაანაგვიანეს მეტყველება ორაზროვანი მნიშვნელობის მქონე სიტყვებით, როგორც წესი, ურთიერთგამომრიცხავი აზრით, რაც საშუალებას აძლევს ერთ ჯგუფს, ერთი და იმავე სიტყვას ან ცნებას შესძინოს თავისი აზრი, ამასთანავე, სხვა ჯგუფებისთვის ამ სიტყვას ან ცნებას აქვს სულ სხვა აზრი. მაგალითად, შეეცადეთ, ამოხსნათ ადამიანური ურთიერთობების სამეცნიერო დაწესებულებების მიერ შექმნილი ასეთი რებუსი: **„ჩვენ ვაშენებთ სამოქალაქო საზოგადოებას“.** შევეცადოთ, ვუპასუხოთ რამდენიმე შეკითხვას: **თუ ჩვენ ახლა ვაშენებთ სამოქალაქო საზოგადოებას, მაშინ როგორი საზოგადოება გვქონდა აქამდე, არასამოქალაქო? თუ ახლა ვაშენებთ სამოქალაქო საზოგადოებას, მაშინ როგორი საზოგადოება გვაქვს ამჟამად? და, თუ ამჟამად არასამოქალაქო საზოგადოებაა, მაშინ ვართ კი ჩვენ მოქალაქეები? საერთოდ, როგორი შეიძლება იყოს ეს სამოქალაქო საზოგადოება? თუ ჩვენს საზოგადოებაში არიან მოქალაქეები და არამოქალაქეები, რა განსხვავებაა მათ შორის?**

უპასუხეთ შეკითხვებს?

შეეცადეთ, განსაზღვროთ ისეთი ცნებები, როგორიცაა **„დემოკრატია“, „ტოტალიტარიზმი“** ან **„რეპრესიები“,** და მიხვდებით, რომ ამ ცნებების ერთმნიშვნელოვანი განმარტებები არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს.

ამ პროცესმა არც ქართულ ენას არ აუარა გვერდი. ამის ძალიან თვალსაჩინო მაგალითია სიტყვა „არა“-ს ამოღება მთელი რიგი ფრაზებიდან, ეს დღეს ერთგვარ მოდად იქცა: „არაფერი (არ) მინდა!“, „არაფერი (არ) მინახავს“, „არაფერი (არ) გამიგია“ და ა.შ. „არაფერი“ ნიშნავს არაფერს და არაფრის ან გაგონება, ან ნდომა, ან დანახვა შეიძლება? ასეთი, ერთი შეხედვით, უწყინარი მეტყველებითი სიახლეები ადამიანის ფსიქიკას და განსაკუთრებით, ქვეცნობიერს ჩიხში აყენებს და ანგრევს ბუნების მიერ მასში ჩადებული პროცესების მიმდინარეობას. შემდეგ ადამიანის ნებისმიერი ქმედება, გარე საქციელი არის აზროვნებითი პროცესის შედეგი — ადამიანი ჯერ ფიქრობს, აზროვნებს და შემდეგ მოქმედებს. და როცა მონგრეულია, მოშლილია ადამიანში ბუნებით ჩადებული აზროვნებითი პროცესი, იშლება ამ აზროვნებითი პროცესის შედეგიც — ვღებულობთ აზროვნების დესტრუქციულ შედეგს და მისგან გამომდინარე დესტრუქციულ გარე საქციელს, თუნდაც ეს საქციელი საზოგადოებრივი თვალსაზრისით უწყინარი (ვითომ) იყოს.

ადამიანური ურთიერთობების შემსწავლელი დაწესებულებების მიერ ჩვენს მეტყველებაში შემოტანილ ყველა ტერმინს აქვს ორმაგი საიდუმლო აზრი. ბუნებრივია, ნებისმიერ ცნებას აქვს ერთადერთი ზუსტი განსაზღვრება, ყველა დანარჩენი კი ყალბია.

**ცნებების განმარტების მრავალმნიშვნელიანობამ და ურთიერთგამომრიცხაობამ მიგვიყვანა იქამდე, რომ ადამიანებს აღარ ესმით ერთმანეთის, შედეგად, აღარ ენდობიან ერთმანეთს. ისინი ვერ აცნობიერებენ, რას ლაპარაკობენ და ერთმნიშვნელოვნად ვერ განსაზღვრავენ იმ სიტყვების მნიშვნელობას, რომლებსაც იყენებენ მეტყველებისას. შედეგად აღარ ესმით ერთმანეთის, აღარ ენდობიან ერთმანეთს**



ცნებების განმარტების მრავალმნიშვნელიანობამ და ურთიერთგამომრიცხაობამ მიგვიყვანა იქამდე, რომ ადამიანებს აღარ ესმით ერთმანეთის, შედეგად, აღარ ენდობიან ერთმანეთს. ისინი ვერ აცნობიერებენ, რას ლაპარაკობენ და ერთმნიშვნელოვნად ვერ განსაზღვრავენ იმ სიტყვების მნიშვნელობას, რომლებსაც იყენებენ მეტყველებისას.

ზემოაღნიშნული მიზეზების გამო საზოგადოება ინგრევა, რადგან ადამიანები აღარ ენდობიან მეტყველებით კომუნიკაციას და გადადიან ემოციებისა და წარმოსახვის უსიტყვო კომუნიკაციაზე. ეს კი ცხოველური კომუნიკაციაა. ასე ნადგურდება ადამიანის წარმოშობისა და განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი — მეტყველება. და ჩვენ ვხდებით ჩვეულებრივი ცხოველები ჩვენი ქცევებით.

**საზოგადოება ინგრევა, რადგან ადამიანები აღარ ენდობიან მეტყველებით კომუნიკაციას და გადადიან ემოციებისა და წარმოსახვის უსიტყვო კომუნიკაციაზე. ეს კი ცხოველური კომუნიკაციაა. ასე ნადგურდება ადამიანის წარმოშობისა და განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი — მეტყველება. და ჩვენ ვხდებით ჩვეულებრივი ცხოველები ჩვენი ქცევებით**

თუ ჩაუფიქრდებით წაკითხულს, გააანალიზებთ მას, დაიწყებთ მტკიცებულებების ან უარყოფის დამადასტურებელი ფაქტების ძებნას, მაშინ სწორ გზაზე დგახართ იმის გასაგებად, რაც ჩვენს თავს ხდება.

ჩვენ ხელახლა უნდა ვისწავლოთ მართალი მეტყველებით აზროვნება, რათა ავაშენოთ პატიოსანი ადამიანური საზოგადოება.

**მომზადებულია ვებგვერდ Cont.ws-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით**

## დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ივანიშვილის გამოსვლის ერთ-ერთი საკვანძო მონაკვეთი ასეთი იყო: „საქართველოში პოლიტიკურ პრობლემებს მნიშვნელოვანწილად ქმნის ის, რომ, ერთი მხრივ, გვაქვს თითქმის ევროპული ხარისხის დემოკრატია, რომელსაც, მეორე მხრივ, ბევრად ჩამორჩება ეკონომიკური განვითარების დონე. დემოკრატიისა და ეკონომიკის დონეებს შორის ასეთი დისპროპორცია იმდენად უნიკალური მოვლენაა, რომ ძნელად თუ მოიძებნება რომელიმე სხვა ქვეყანა, რომელშიც ანალოგიური მდგომარეობაა. ტრადიციულ დემოკრატიებში ეკონომიკა და თავისუფლებები, როგორც წესი, ერთმანეთს ზრდიდა და ავსებდა“.**

# «ქართული ოცნება» «ეშმაკის ბორბალზე»

**11 მაისს კლუბ „ანდერვილში“ გაიმართა „ქართული ოცნების“ მეხუთე ყრილობა. მის კულმინაციად საჯარო პოლიტიკაში დაბრუნებული ბიძინა ივანიშვილის გამოსვლა იქცა. კომენტატორები მისგან მკაფიო მესიჯებს ელოდნენ, თუმცა მათი უმრავლესობა გაწბილებული დარჩა, რადგან მთავარი სათქმელი ივანიშვილმა ბუნდოვან ფორმულირებებსა და ქვეტექსტში დამალა.**

სახელწოდება „ანდერვილი“ იმაზე მიუთითებს, რომ კლუბი ბორბლის ქვეშ მდებარეობს, კონკრეტულ შემთხვევაში — მთაწმინდის პარკის „ეშმაკის ბორბლის“ ქვეშ. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ატრაქციონის განახლება, ის ნაწილობრივ დაშლილია. სამუშაოები, ახალი ქართულ ტრადიციის შესაბამისად, უსაფრთხოების ნორმების დარღვევით ჩატარდა: დეკემბერში ობიექტზე ერთი მუშა დაიღუპა, მეორე კი — დაშავდა. **ზოგმა შეიძლება დაშლილ „ეშმაკის ბორბალთან“ ამ შეკრების უცნაური კავშირი დაინახოს, იქნებ „ქართულ ოცნებას“ უნდოდა, დაემტკიცებინა, რომ პარტიას დემონტაჟი არ ემუქრება და მისი ბედის ბორბალი სრულ წესრიგშია, მიუხედავად იმისა, რომ ბევრს ამაში ეჭვი შეეპარა?! საზოგადოდ კი, ქართული პოლიტიკა ერთი დიდი „ეშმაკის ბორბალია“.**

ივანიშვილის გამოსვლის არქიტექტონიკა ჩახლართული არ ყოფილა. თავდაპირველად მან ზოგადად ისაუბრა ახალი ხელისუფლების მიღწევებზე (ანუ ახლო წარსულზე), შემდეგ პოლიტიკაში დაბრუნების მიზეზებსა და არსებულ პრობლემებზე (აწმყოზე), ბოლოს კი (მისი აზრით, ნათელ) მომავალზე.

პირველ ნაწილში, რეალურ მიღწევებზე საუბრის გარდა (მათ შორის მთავარი, ალბათ, 2004-12 წლებთან შედარებით მოქალაქეებზე ხელისუფლების ზეწოლის შემცირებაა), **იყო ისეთი პასაჟებიც, რომელიც აშკარად სადღაც სხვა პლანეტაზე შექმნილ სიტუაციას აღწერდა. მაგალითად, „აღარ არსებობს ელიტური კორუფცია, ხელისუფლებასთან შეზრდილი ბიზნესმენების მიერ ხელში ჩაგდებული და მონოპოლიზებული სფეროები“ ან კიდევ — „ხელშესახები პროგრესი გვაქვს სასამართლოს დამოუკიდებლობისა და სამართალდამცავი ორგანოების დეპოლიტიზების კუთხით“.**

ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო აცდენა რეალობისგან, ალბათ, კონსტიტუციისადმი მიძღვნილ მონაკვეთში გამოიხატა: **„მივიღეთ ხალხის მმართველობაზე ორიენტირებული ევროპული სტანდარტის ძირითადი კანონი“.** საკონსტიტუციო ცვლილებების შინაარსი მწვავედ გააკრიტიკა თითქმის ყველა პოლიტიკურმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ, რომლებსაც პროცესთან შეხება ჰქონდათ; მიღების ფორმას, როგორც წესი, „ხელების გადაგრეხას“ უწოდებდნენ. საბოლოოდ, მმართველმა პარტიამ შექმნა პრობლემა იქ, სადაც ამის წინაპირობები არ იყო, რადგან კონსტიტუციის შეცვლის აუცილებლობაზე საზოგადოებაში კონსენსუსი არსებობდა. წესით, ამის შემდეგ „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობას დღის წესრიგში უნდა დაეყენებინა **ირაკლი კობახიძისა** და მასთან დაახლოებული პარლამენტარების პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც საკონსტიტუციო რეფორმას კურატორობდნენ, თუმცა ივანიშვილმა თავისი განცხადებით მიანიშნა, რომ განსაკუთრებულ პრობლემას ვერ ხედავს.

ანალოგიური დამოკიდებულება მან პრემიერმინისტრის მიმართაც გამოხატა, ოღონდ სხვა ფორმით. **ივანიშვილმა პოლიტიკაში დაბრუნების სამი ძირითადი მიზეზი ჩამოთვალა:**

**პირველი.** „ობიექტურად არსებული არასახარბიელო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ამ, ისედაც რთული ვითარების, კიდევ უფრო მძაფრ, ხელოვნურად დამძიმებულ ფერებში წარმოჩენის განუწყვეტელი მცდელობები;

**მეორე.** ოპონენტების უმრავლესობისგან მომდინარე უკიდურესად დესტრუქციული მუხტი;

**მესამე.** „ხელისუფლების შიგნით არსებული, მართალია სუსტი, მაგრამ მაინც სრულიად არასაჭირო, უსაფუძვლო და ქვეყნის ინტერესების დამაზიანებელი გაუგებრობები“.

აშკარაა, რომ პირველი და მესამე საკითხი **გიორგი კვირიკაშვილის** პასუხისმგებლობის სფეროში შედის, როგორც პრემიერმინისტრისა და პარტიის თავმჯდომარის 2016-2018 წლებში, მაგრამ ივანიშვილს ამაზე არ უსაუბრია, ჟურნალისტებს კი უთხრა: „პრემიერის შეცვლას არც ერთ შემთხვევაში არ ვაპირებ“. **ასეთი მიდგომა პარლამენტის თავმჯდომარისა და პრემიერმინისტრის მიმართ შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ ივანიშვილი დაბრუნების მომენტიდან ახალ ათვლას იწყებს და ძველ შეცდომებს ნაკლებ ყურადღებას მიაქცევს.** ეს დამოკიდებულება აუცილებლად შევა წინააღმდეგობაში საზოგადოებაში არსებულ სტერეოტიპებთან, რომელთა თანახმად, წესრიგის დამყარება პარტიასა და სახელმწიფოში მყისიერი საკადრო ცვლილებებით უნდა დაიწყოს, თუმცა ჯერჯერობით მსგავსი არაფერი მომხდარა — პოლიტსაბჭოს განახლებულ შემადგენლობაში კი ორი ძირითადი პრინციპი აირეკლა: **ა)** არანაირი „წმენდა“ და **ბ)** გავლენიან ჯგუფებს შორის ბალანსის დაცვა.

საგარეო პოლიტიკის შესახებ მონაკვეთში, ზოგადი ლოზუნგების გარდა, იყო ერთი საგულისხმო ფრაზა: **„ნაწილობრივ უკვე მოვახერხეთ რუსეთთან ურთიერთობის დეესკალაცია და ვიმედოვნებთ, რომ საერთაშორისო პარტნიორების დახმარებით, შესაძლებელი გახდება ურთიერთმოსმენისა და დიალოგის რეჟიმზე გადასვლა“.** იმაზე, რომ სააკაშვილის პერიოდთან შედარებით (უპირველესად რიტორიკული) კონფრონტაცია ჩაცხრა, ალბათ, არავინ დაობს, თუმცა აქ უფრო მნიშვნელოვანია დიალოგში მესამე



**ზოგმა შეიძლება დაშლილ «ეშმაკის ბორბალთან» ამ შეკრების უცნაური კავშირი დაინახოს, იქნებ «ქართულ ოცნებას» უნდოდა, დაემტკიცებინა, რომ პარტიას დემონტაჟი არ ემუქრება და მისი ბედის ბორბალი სრულ წესრიგშია, მიუხედავად იმისა, რომ ბევრს ამაში ეჭვი შეეპარა?! საზოგადოდ კი, ქართული პოლიტიკა ერთი დიდი «ეშმაკის ბორბალია»**

მხარის, როგორც აქტიური მედიატორის, ჩართვა. პირდაპირი დიალოგის იდეამ, რომელიც განსაკუთრებით აქტუალური 2012-13 წლებში იყო, დღეს უკანა პლანზე გადაწია. მეტიც, შეიცვალა ამ ტერმინის შინაარსი. მაგალითად, 2012 წლის დეკემბერში, როგორც ადგილობრივი, ისე ევროპელი კომენტატორები **აბაშიძე-კარასინის** პირველ შეხვედრას პირდაპირი დიალოგის დაწყებას უწოდებდნენ. მაშინ ბევრი მათგანი გულისხმობდა, რომ რამდენიმე მოსამზადებელი შეხვედრის შემდეგ მოლაპარაკებებში ორი ქვეყნის პირველი პირები ჩაერთვებოდნენ. დღეს კი აბაშიძე-კარასინის ფორმატი აღარ განიხილება, როგორც „პირდაპირი დიალოგის“ პირველი საფეხური, არამედ მხოლოდ, როგორც ტექნიკური სირთულეების დაძლევის ინსტრუმენტი, სახელმწიფოთა მეთაურების ან თუნდაც საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე კი აღარავინ საუბრობს. **ივანიშვილის გამოსვლის განხილული მონაკვეთიდან ჩანს, რომ ის უარს ამბობს ორმხრივი დიალოგის იმ კონცეფციაზე, რომელიც აქტუალური იყო მისი მმართველობის დასაწყისში და პროცესი უცხოელი პარტნიორების მონაწილეობის გარეშე ვერ წარმოუდგენია.**

ივანიშვილის გამოსვლის ერთ-ერთი საკვანძო მონაკვეთი ასეთი იყო: „საქართველოში პოლიტიკურ პრობლემებს მნიშვნელოვანწილად ქმნის ის, რომ, ერთი მხრივ, გვაქვს თითქმის ევროპული ხარისხის დემოკრატია, რომელსაც, მეორე მხრივ, გაცილებით ჩამორჩება ეკონომიკური განვითარების დონე. დემოკრატიისა და ეკონომიკის დონეებს შორის ასეთი დისპროპორცია იმდენად უნიკალური მოვლენაა, რომ ძნელად თუ მოიძებნება რომელიმე სხვა ქვეყანა, რომელშიც ანალოგიური მდგომარეობაა. ტრადიციულ დემოკრატიებში ეკონომიკა და თავისუფლებები, როგორც წესი, ერთმანეთს ზრდიდა და ავსებდა“. **მიუხედავად იმისა, რომ ევროპული ხარისხის დემოკრატია ჩვენ არ გვაქვს, ხოლო შემდეგ მოდიოდა ფრაზა „ეკონომიკა უნდა დავაწიოთ დემოკრატიას და არა პირიქით“, არაერთმა კომენტატორმა ჩათვალა, რომ ივანიშვილის ამ განცხადების უკან საკმაოდ ავისმომასწავებელი ქვეტექსტი იმალება.** როგორც წესი, როდესაც იწყება საუბარი დემოკრატიისა და კეთილდღეობის ურთიერთდამოკიდებულებასა და გარკვეულ შეუთავსებლობაზე, ეს სრულდება „ქანჩების მოჭერით“ და არჩევანით „განვითარების დიქტატურის“ სასარგებლოდ, როგორც ეს მოხდა **სააკაშვილის** მმართველობის პერიოდში და ხდებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის არაერთ ქვეყანაში XX საუკუნის მეორე ნახევარში. შემდგომმა ვარიაციებმა ამ თემაზე შეიძლება გაამყაროს ფართოდ გავრცელებული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ივანიშვილი **„ქანჩების მოსაჭერად“** დაბრუნდა.

ერთ-ერთი ყველაზე სასაცილო, თუმცა ამავე დროს სატირალი, ალბათ, შემდეგი მონაკვეთი იყო: **„საქართველოში თითქმის ვერ ვნახავთ პოლიტიკოსსა და ექსპერტს, ვინც სიმართლეს ეტყოდა და გასაგებად აუხსნიდა ადამიანებს, რომ ევროპას ასწლეულების განმავლობაში მრავალი ეკონომიკური და პოლიტიკური კატაკლიზმის გადატანა დასჭირდა, ვიდრე ცხოვრების დღევანდელ დონეს მიაღწევდა და რომ ბუნებაში ვერ იარსებებს ხელისუფლება, რომელიც შეძლებს ეკონომიკა წელიწადში ხუთი და ექვსი კი არა, არამედ ექვსასი პროცენტით გაზარდოს“.** ფაქტია, რომ სწორედ „ქართული ოცნება“, „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად, დაუცხრომლად ქმნიდა გადაჭარბებულ მოლოდინს ეკონომიკურ რენესანსზე. ხოლო იმაზე, რომ საზოგადოებას ვერაფერს უხსნიან, ალბათ, იქამდე უნდა ეფიქრათ, ვიდრე მთავრობის საზოგადოებასთან ურთიერთობის კურატორობას **ალექსანდრე ჯეჯელავას** ჩააბარებდნენ.

ივანიშვილმა ბევრი ისაუბრა იმაზე, რომ მისი ოპონენტები ქვეყანაში შექმნილ სიტუაციას მუქ ფერებში წარმოაჩენენ და ამისთვის კონტროლს დაქვემდებარებულ მედიას, „სიცრუისა და პროპაგანდის მანქანას“, „ტყუილის წარმოების კონვეიერს“ იყენებენ. ეს ივანიშვილისთვის ერთ-ერთი „მარადიული თემაა“. მან, როგორც ჩანს, ჯერჯერობით ვერ გაიგო, რომ უნდა გამიჯნოს ერთმანეთისგან პოლიტიკური ოპონენტები და მედია, თუნდაც მათ სიამის ტყუპებად აღიქვამდეს, რადგან ნებისმიერი ასეთი განცხადება საერთაშორისო ორგანიზაციებსა და უფლებადამცველებს საბაბს აძლევს, ივანიშვილს ბრალი დასდონ დიქტატორულ მისწრაფებებში და მასმედიასთან ბრძოლაში.

**მმართველ პარტიაში შექმნილი კრიზისის აღწერის პროცესში ივანიშვილმა აქცენტი „ფუჭ კინკლაობაზე“, „პირად უთანხმოებასა და წყენაზე“ გადაიტანა და ხალხისგან დაშორების საფრთხეზე მიუთითა. ძნელი სათქმელია, აცნობიერებს თუ არა ივანიშვილი კრიზისის სისტემურ ხასიათს და იმას, რომ ის გამოწვეულია არა „კინკლაობით“, არამედ, ერთი მხრივ „გაფართოების კრიზისით“ და ლიდერების კონკურენციის გამძაფრებით და, მეორე მხრივ, იდეოლოგიური ვაკუუმით, მაგრამ საუბარი პარტიის „სახალხოობაზე“ ქვეტექსტში შეიძლება შეიცავდეს მინიშნებას დისტანცირებაზე ამომრჩეველთა ბირთვისგან, რომელსაც 2012-ში კონსერვატორი „ანტიმიშისტები“ წარმოადგენდნენ და, ამასთანავე, პარტიული „სოციალური ლიფტის“ ამუშავების აუცილებლობაზე.** ის ამჟამად პრაქტიკულად დახურულია „უპატრონო“ აქტივისთვის, რადგან თითქმის ყველა მაღალჩინოსანი მხოლოდ თავისი ნათესავებისა და ახლობლების კარიერაზე ზრუნავს. ამ პრობლემის მოგვარებას პარტიის საფუძვლიანი რეფორმირება დასჭირდება, მის გარეშე კი ამომრჩევლების მნიშვნელოვანი ნაწილი და აქტივის ქვედა რგოლი პარტიას მალევე ზურგს შეაქცევს, თუ დარწმუნდება, რომ ლიდერის „მეორედ მოსვლას“ მისთვის არაფერი შეუცვლია.

ივანიშვილმა სცადა, გამოსვლა ოპტიმისტურ ნოტზე დაესრულებინა, თუმცა ვერ განმუხტა ის დაძაბულობა, რომელიც დარბაზში და, საზოგადოდ, ქვეყანაში სუფევდა. საზოგადოების დიდმა ნაწილმა ვერ გაიგო, რატომ დაბრუნდა ივანიშვილი საჯარო პოლიტიკაში, თუმცა ივარაუდა, რომ ეს რაღაც დიდ, ჯერჯერობით ამოუცნობ საფრთხეს უკავშირდება.

შარშანდელი მოცემულობიდან ბევრი რამ შეიცვალა. მაგალითად, ის სამღვდელოება, რომელიც ტაბურეტით ხელში უტევდა ლგბტ პირებს, ამბიონიდან კი ერთმორწმუნე რუსეთთან მეგობრობას ქადაგებდა, ახლა გაიძახის, რომ კაპიტოლიუმის ბორცვიდან (სამი თვის განმავლობაში ორჯერ ესტუმრნენ ვაშინგტონს სინოდის წევრები) სხვანაირად გამოჩნდა რაღაც-რაღაცები, რუსეთი კი არა, ამერიკაა ჩვენი სტრატეგიული მოკავშირეო, და საერთოდაც, მეო, — ბრძანა მეუფე იაკობმა, — ტაბურეტების აქციაზე ლგბტ პირების დასაცავად მივედიო...



ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ქრისტეს ზეცად ამაღლების დღეს — ქართველთა ამაღლება თუ დაცემა?

**ჩვენს ლიბერალურ პოლიტიკურ ისტებლიშმენტს რომ ჰკითხო, არც ალენ დალესის (1953-1961 წლებში აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორი) დოქტრინა არსებობს, არც ე.წ. მასონთა მსოფლიო მთავრობა, არც ზბიგნევ ბჟეზინსკის უთქვამს ოდესმე, რომ სსრკ-ის დანგრევის შემდეგ მართლმადიდებელი ეკლესიააო ლიბერასტული იდეოლოგიის მთავარი მტერი და, მით უმეტეს, ტყუილი ყოფილა საქართველოს მოსახლეობის უმეტეს ნაწილში გავრცელებული თვალსაზრისი, რომ ე.წ. დასავლეთიდან (წაიკითხე, აშშ), რომლისკენაც ისწრაფვის საქართველოს ხელისუფლება, მხოლოდ სიბილწე, გარყვნილება და სხვა მრავალი სულის წამწყმედი „ღირებულება-ფასეულობა“ შემოედინება ჩვენში უშურველად...**

ტყუილიაო, რადგან მსგავსი რაღაცები რუსული ნარატივი, ბოროტი კრემლის პროპაგანდა ყოფილა და სხვა არაფერი. არადა, მხოლოდ ირგვლივ მიხედ-მოხედვაა საკმარისი, რომ დალეს-ბჟეზინსკების გარეშეც ნათელი იქნება, რა სავალალო მდგომარეობაშია საქართველო და ქართველი ერი — ქვეყანა გაგლეჯილ-გამოგლეჯილი, ქართველების მასობრივი ემიგრაცია და უცხოელთა მასობრივი მიგრაცია, შობადობა-მოკვდავობის მაჩვენებლებში საგანგაშოდ უარყოფითი სალდო (თუ ასე თქმა შეიძლება) და შედეგად დემოგრაფიული კატასტროფა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ლიბერასტ „ურწმუნო თომებთან“ კამათს არ ვაპირებ, რადგან გინდა, სოროსის ძუძუნაწოვ ხლისტებს ეკამათე და გინდა, „კედელს შეაყარე ცერცვი“. ჰოდა, ამიტომ, ერთი ანეკდოტისა არ იყოს, „ვისაც გვჯერა, გაგვატარეთ“.

ჩვენთვის სამამულო და იანკებისთვის მეორე მსოფლიო ომი ახალი დამთავრებული იყო, რომ 1947 წელს **ალენ დალესი** კონგრესისა თუ სენატის წინაშე საიდუმლო მოხსენებით წარდგა და ამ მოხსენებას ეწოდა შემდეგ ალენ დალესის დოქტრინა, მაგრამ **ლავრენტი ბერიას** რა საიდუმლოება გამოეპარებოდა და სტალინის მაგიდაზე მალე აღმოჩნდა დალესის დოქტრინა, რომლიდანაც გთავაზობთ ნიშანდობლივ ამონარიდებს:

* „მწერლობა, თეატრი, კინო, საზოგადოდ, გამოცემები — ყველაფერი უნდა გამოსახავდეს და ქებას ასხამდეს ადამიანის ყველაზე დაცემულ გრძნობებს“...

* „ჩვენ ყველანაირად დავუჭერთ მხარს და წინ წამოვწევთ ისეთ ხელოვანთ, რომლებიც ადამიანთა ცნობიერებაში დაამკვიდრებენ და დღენიადაგ ჩასჩიჩინებენ სექსის, ძალადობის, ღალატის კულტს, ანუ ყველანაირ უზნეობას“...

* „პატიოსნება და წესიერება წარსულის გადმონაშთად გადაიქცევა, გამასხარავდება და აღარავის დასჭირდება. უზრდელობა და თავხედობა, ცილისწამება და ტყუილი, ლოთობა და ნარკომანია, ღალატი და გაუტანლობა, ერთა შორის, აღმსარებლობათა, თაობათა შორის მტრობა — ყოველივე ამას ოსტატურად და შეუმჩნევლად დავნერგავთ“...

* „ჩვენ ვიბრძოლებთ ადამიანთა გასარყვნელად ბავშვობიდანვე. ყოველთვის გავაკეთებთ არჩევანს ახალგაზრდებზე, რათა მოვთაფლოთ და გავხრწნათ ისინი. მათგან შევქმნით ზნედაცემულ, სულიერებისგან დაცლილ ჯაშუშებსა და მოღალატეებს“...

როგორც იტყვიან, ერთიერთზე მიესადაგება დალასის ციტატები საქართველოს (და არა მხოლოდ საქართველოს) დღევანდელ სავალალო მდგომარეობას და რა მნიშვნელობა აქვს, ალენ დალესის დოქტრინა მითია თუ სინამდვილე.

ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამოც რკინის ფარდა დაუშვა ფოლადის გენერალისიმუსმა, დიდი ალბათობით, იყო ალენ დალესის „მითური“ დოქტრინაც — სსრკ-ში, მიუხედავად კომუნისტური წყობის მრავალი მინუსისა, ვერაფრით მოიკიდა ფეხი ზემოხსენებულმა უზნეობებმა (აბა, კომუნისტების დროს იყო, თუ იყო, მორალი და ზნეობა პატივში) და მხოლოდ წითელი იმპერიის დაშლის შემდეგ შემოუტიეს ალენ დალესის მოდერნიზებული დოქტრინით შეიარაღებულმა თანამედროვე ნეოლიბერალებმა, უპირველესად, რუსეთს, შემდეგ — სრულიად პოსტსაბჭოთა სივრცეს.

**დოქტრინის მოდერნიზება კი იმაში მდგომარეობს, რომ ალენ დალესის დოქტრინას მისმა იდეურმა შვილებმა ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების დაკანონება დაუმატეს მსოფლიოს მასშტაბით და არცთუ წარუმატებლად — ევროპაში ქვეყანა არ არის დარჩენილი, რომელშიც, დე იურედ თუ არა, დე ფაქტოდ არ არის დაკანონებული ლგბტ პირების ქორწინება, ყოველ 17 მაისს გეიაღლუმების ჩატარება ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა „დემოკრატიულ“ დასავლეთში...**

თუ არ ჩავთვლით უკრაინას, რომელმაც დამოუკიდებლობა შარშან, 17 მაისს, გეიაღლუმით აღნიშნა კიევის მთავარ ქუჩაზე — ხრეშატიკზე, პოსტსაბჭოთა სივრცეს ვერაფერი მოუხერხეს.

რუსეთს დროულად მოევლინა მხსნელად **ვლადიმერ პუტინი**, რომლის მეოხებითაც რუსეთი ერთადერთი სახელმწიფოა, ალბათ, მსოფლიოში, რომელმაც 99 წლით (რუსეთის პარლამენტი იუმორის ნაკლებობას ნამდვილად არ უჩივის) აკრძალა არასრულწლოვნებს შორის ლგბტ-პროპაგანდა. და XXI საუკუნეში ვერანაირ გეიაღლუმსა და, მით უმეტეს, ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების დაკანონებაზე ვერც იოცნებებენ რუსი ლგბტ-ები.

ამას დავუმატოთ ისიც, რომ **კრემლმა პოლიტიკური საქმიანობა აუკრძალა უცხოეთიდან დაფინანსებულ არასამთავრობოებს; რუსეთის სასამართლო განჩინებით, აიკრძალა ე.წ. იეღოველთა სექტის საქმიანობა, როგორც ექსტრემისტული ორგანიზაციისა, და ამის შემდეგ რა გასაკვირია, ვლადიმერ პუტინის მაღალი რეიტინგები?! რუსეთის პრეზიდენტს ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც გულშემატკივრობენ ნეოლიბერალური უმცირესობის დიქტატურის ქვეშ მყოფი ნორმალური ევროპელები და, აქედან გამომდინარე, არც ჩემი ნატვრაა არალეგიტიმური — ნეტავი საქართველოსაც ჰყავდეს პუტინის მსგავსი პატრიოტი პრეზიდენტი...**



> **შარშანდელი მოცემულობიდან ბევრი რამ შეიცვალა. მაგალითად, ის სამღვდელოება, რომელიც ტაბურეტით ხელში უტევდა ლგბტ პირებს, ამბიონიდან კი ერთმორწმუნე რუსეთთან მეგობრობას ქადაგებდა, ახლა გაიძახის, რომ კაპიტოლიუმის ბორცვიდან (სამი თვის განმავლობაში ორჯერ ესტუმრნენ ვაშინგტონს სინოდის წევრები) სხვანაირად გამოჩნდა რაღაც-რაღაცები, რუსეთი კი არა, ამერიკაა ჩვენი სტრატეგიული მოკავშირეო, და საერთოდაც, მეო, — ბრძანა მეუფე იაკობმა, — ტაბურეტების აქციაზე ლგბტ პირების დასაცავად მივედიო...**



საქართველო ის ქვეყანაა, რომლის ლიბერალური ხელისუფლება, პრაქტიკულად, არასამთავრობო, ე.წ. მესამე სექტორის კარნახით მოქმედებს. საქართველო ის ქვეყანაა, რომლის ხელისუფლებაც მართლმადიდებელ ბიჭებს „რუსთავი 2“-ის დირექტორ-წამყვანთა მოთხოვნით აპატიმრებს; ხოლო ვიღაც „ბახალას“ 40 აბი ნარკოტიკით იჭერენ და მის დასაცავად ლიბერასტები მიტინგებს მართავენ; ის ქვეყანაა, რომლის დედაქალაქში „თეთრი ხმაურის“ წარმომადგენლების (მათთან ერთად ნარკომანების, მეძავების, ბარიგების) მიერ რუსთაველის გამზირი ორი დღის განმავლობაში პარალიზებული იყო, — როგორ თუ გარყვნილების, პროსტიტუციის, მამათმავლობის მექად ცნობილ ღამის კლუბ „ბასიანში“ პოლიციამ „კაიფი“ არ გვაცალაო.

საქართველო ის ქვეყანაა, რომლის შს მინისტრი პირადად ეახლება „თავისუფლებისთვის“ მებრძოლ ბასიანელ მომიტინგეებს, საჯაროდ ბოდიშს უხდის „დაჩაგრულ“ ბარიგა-ნარკომანებს, პოლიცია კი ე.წ. კონტრაქციის მონაწილე ათამდე ვაჟკაც ქართველს აპატიმრებს...

მკითხველს ვთხოვ, მაპატიოს, ერთი შეხედვით, მთავარი თემიდან გადახვევა — რა ვქნა, წერილზე მუშაობასთან ერთად, ზემოხსენებულ აქციას ვუყურებდი ტელეეკრანზე და, თუ გადავუხვიე, მხოლოდ ამიტომ. რაც შეეხება მთავარ თემას, რუსეთთან ერთად საქართველო ის იშვიათი გამონაკლისია პოსტსაბჭოთა სივრცეში, სადაც გეიაღლუმი დღემდე ვერ ჩაუტარებიათ.

მკითხველს შევახსენებ, რომ გეიაღლუმის ჩატარების პირველი უშედეგო მცდელობა ქართველ ჰომოსექსუალებს 2012 წლის 17 მაისს ჰქონდათ; უშედეგო, რადგან ცისარტყელას დროშებით მათი საზეიმო მსვლელობა ზემელზე, კინოს სახლთან, შეაჩერეს მაშინდელი წინააღმდეგობის მოძრაობის ბიჭებმა: **სოსო მანჯავიძემ, კოტე ინაშვილმა** და სხვებმა. იმ ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში, თქვენი მონამორჩილიც ვმონაწილეობდი...

მეორე მცდელობა 2013 წელს, უკვე „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პერიოდში, ტაბურეტიანი მღვდლების სახელით შევიდა ისტორიაში და მას შემდეგ გეიაღლუმის ჩატარება აღარ უცდიათ ქართველ ჰომოსექსუალებს, რადგან ჩვენმა ბრძენმა პატრიარქმა სწორედ 17 მაისი გამოაცხადა ოჯახის სიწმინდის დაცვის დღედ. და, აბა, რაღას გაბედავდნენ, როდესაც რუსთაველზე, აგერ უკვე 5 წელიწადია, ათიათასობით ქართველი თუ არაქართველი ვაჟკაცი და მანდილოსანი გამოდის.

რა მოხდება ამა წლის 17 მაისს, „საქართველო და მსოფლიოს“ გამოსვლიდან მეორე დღეს? — აი, კითხვა, რაც „ზებერ გულში ლახვრად მაჩნია“.

რა უნდა მოხდეს, — იკითხავს გაუთვითცნობიერებელი მკითხველი, — პატრიარქის მიერ დათქმული ხომ ისევ ძალაშიაო?

საქმე ის არის, რომ შარშანდელი მოცემულობიდან ბევრი რამ შეიცვალა. მაგალითად, ის სამღვდელოება, რომელიც ტაბურეტით ხელში უტევდა ლგბტ პირებს, ამბიონიდან კი ერთმორწმუნე რუსეთთან მეგობრობას ქადაგებდა, ახლა გაიძახის, რომ კაპიტოლიუმის ბორცვიდან (სამი თვის განმავლობაში ორჯერ ესტუმრნენ ვაშინგტონს სინოდის წევრები) სხვანაირად გამოჩნდა რაღაც-რაღაცები, რუსეთი კი არა, ამერიკაა ჩვენი სტრატეგიული მოკავშირეო, და საერთოდაც, მეო, — ბრძანა **მეუფე იაკობმა**, — ტაბურეტების აქციაზე ლგბტ პირების დასაცავად მივედიო...

სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, არასამთავრობო სექტორმა უცხოელი დამფინანსებლების მკაცრი მითითება მიიღო — რადაც უნდა დაუჯდეთ კაპიტან **ეკა გიგაურსა** და სახალხო დამცველად დანიშნულ **ნინო ლომჯარიას**, ბოლოს და ბოლოს, საქართველოში უნდა ჩატარდეს გეიაღლუმი, თუ არადა, გამოდის, ტყუილად გაჭმევთ პურსო. ამ მითითებით, როგორც იტყვიან, ყვითელი აუნთეს მესამე სექტორს...

წლეულს, უფლისა ჩვენისა, იესო მაცხოვრის ზეცად ამაღლების დღესასწაული დაემთხვა 17 მაისს და ვნახოთ, რა მოხდება.

ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეთ ქუჩაში, რათა ხელისუფლებამ ვერ გაბედოს „ბასიანელთა“ თუ სხვა ნარკომანების, ბარიგების, ლგბტ პირების მსვლელობის უზრუნველყოფა პოლიციის სამმაგი კორდონების მეშვეობით. ვერ გაბედოს, რადგან ქვეყანა, რომელიც გეიაღლუმის გამართვას დაუშვებს, უკაცრავად და, იგივე ნახმარი პატარძალია.

17 მაისს გამოჩნდება, რანი ვართ — ერი თუ „საშოვარს გადაგებული, გათითოკაცებული ყოფილი ერი“...

**დავით მხეიძე**

ბაჩურ სვანიძის
საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**რომელი სიმბოლიკით უნდა გამოვიდნენ დიდი სამამულო ომის ვეტერანები ზეიმზე, თუ არა იმით, რა სიმბოლიკითაც ნახევარი ევროპა ფეხით გაიარეს და კაცობრიობის ყველაზე სისხლისმსმელი ურჩხული დაამარცხეს?**

**ერთი საჭირბოროტო კითხვით მინდა დავიწყო: რა ვქნათ იმ ადამიანებმა, რომლებსაც რუსთაველზე არც ნარკომანების თავყრილობა მოგვწონს და არც მათ დასარბევად გაწეული ახალგაზრდები? სამწუხაროდ, ვერაფერს ვიზამთ, რადგან დღეს ჩვენს ქვეყანაში სწორედ ნორმალური ადამიანების უფლებებია ყველაზე მეტად გათელილი და იგნორირებული.**
**ჰო, კიდევ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების! უკვე ერთგვარ სამარცხვინო „ტრადიციად“ იქცა, რომ ყოველი წლის 9 მაისს ამ გმირ ადამიანებს ვიღაც „გუშინწინდელი“, უსირცხვილო, ძალად „პატრიოტი“ ტუტუცი ბავშვები შეურაცხყოფენ და მათ დასაცავად სახელმწიფო არაფერს აკეთებს.**

# წითელი დროშა, თეთრი ხმაური და მძვინვარება

დიახ, სწორედ ამ ადამიანებისთვის თავისუფალი გამოხატვის საშუალების უფლებასა და მის დაცვაზე მინდა გავამახვილო ყურადღება. ის, რაც ჩვენ 13 მაისს, ღამით ვნახეთ, კიდევ ერთხელ მარწმუნებს, რომ ამ ქვეყანაში მხოლოდ მათ იცავენ, ვის დაცვასაც ჩვენი მთავრობისგან ე.წ. სტრატეგიული პარტნიორები ითხოვენ. სხვა ყველა და ყველაფერი ჩვენი დღევანდელი ხელისუფლებისთვის „დაბალი ღობეა“.

როდესაც 9 მაისს ტელევიზიით ვნახე ჩვენი სასიქადულო გმირი ომის ვეტერანების ვანდალური დარბევა, მაშინვე თვალწინ დამიდგა ამას წინათ თბილისში, სახელმწიფო კანცელარიასთან გამართული, როგორც მისი ორგანიზატორები უწოდებდნენ, „აქცია-პერფორმანსი“, რომლის ორგანიზატორებიც, შემსრულებლებიც და მაყურებლებიც თვითონ იყვნენ. სამმა ახალგაზრდამ, სავარაუდოდ, მდედრობითი სქესისამ, სავსებით უნიჭოდ წარმოსახა, როგორ მისდევს „ქალთა უფლებებს“ დანით „ღრუზინი ქართველი მუტრუკი“ და კლავს, რადგან მესამე — „სახელმწიფო“, უმოქმედოდ დგას და უყურებს. ამ ყოველივეს უცქერდა ხუთიოდე მათივე მხარდამჭერი, ორი მათგანი კი „აიფონით“ იღებდა. მთელი ეს უნიჭობა დაახლოებით 15 წუთს გაგრძელდა, შემდეგ ჩასხდნენ მანქანებში და დაიშალნენ.

რატომ გამახსენდა ეს ამბავი? როგორ ფიქრობთ, მათი „იდეა“ მომეწონა თუ „გარდასახვის“ უნარი? არა, მკითხველო! ჩემი ყურადღება მიიქცია ამ 8-კაციან აქციაზე შეკრებილმა და შეჯარულმა 200-ზე მეტმა პოლიციელმა, რომლებიც იცავდნენ ამ აქციის მონაწილეებს, რათა ისინი ვინმეს არ შეურაცხეყო, არ ეცემა ან არ მიდგომოდათ სხვა სახის ზიანი.

ძალიან კარგი. განა იმას ვამბობ, რომ ეს ცუდია, მაგრამ **განა არ შეუძლია ჩვენს მთავრობას, შინაგან საქმეთა სამინისტროს თუ ვისაც ეხება, ამდენივე ან ამის ნახევარი პოლიციელი მაინც გამოყოს ჩვენი საამაყო ვეტერანების დასაცავად? ან კიდევ, უნდა მიეცეს კი ვინმეს, ვინც უნდა იყოს, ისეთი გამოხატვის უფლება, რომ მათ შემხედვარეს მათ მიმართ აგრესია გაუჩნდეს, თავს ვერ მოერიოს და საცემად გაიწიოს? ეს, ბატონებო, გამოხატვის უფლება არ არის. ასეთ საქციელს ცოტა ხნის წინათ პროვოკატორობა ერქვა და სისხლის სამართლის წესით ისჯებოდა.**

თავდაპირველად 13 მაისის მოვლენებზე დავიწყე საუბარი და აკი ვნახეთ, როგორი მონდომებით იცავდა პოლიცია 9 აპრილის მემორიალთან შეკრებილ 400-მდე ნარკოდემონსტრანტს.

ციფრებში ნუ შემედავებით. ყველამ თვალნათლივ დავინახეთ, რომ „მთავრობის სახლის“ წინა მოედნიდან მთელი ეს ნარკობალასტი ყვითელი ავტობუსებით გაიყვანეს. **ყველაზე „ოპტიმისტი“ მთვლელის აზრითაც კი, მთავრობის სახლის უკანა ეზოდან, დიდი-დიდი, 10 ავტობუსი დაიძრა, ანუ ნარკომანიფესტაციის ყველა მონაწილე 10 ავტობუსში (შესაძლოა ნაკლებშიც) ჩაეტია. ამ ყვითელ ავტობუსებში კი (მოკლე მოდიფიკაციის „ბოგდანი“), სულ წიხლებითაც რომ ტენო, 40 ადამიანზე მეტი არ ეტევა. გამოდის, რომ 400 გამოშტერებულის დასარბევად მივარდნილი დაახლოებით ამდენივე ტვინმოწამლულისგან დასაცავად ატყდა ამხელა ამბავი.**

და რა თქვა შინაგან საქმეთა მინისტრმა **გიორგი გახარიამ?** „ჩვენთვის მთავარია თითოეული ჩვენი თანამოქალაქის უსაფრთხოება და ის, რომ ვინმემ მათ ფიზიკური ან სიტყვიერი შეურაცხყოფა არ მიაყენოს“. ისევ გავიმეორებ წელან ნათქვამს: რატომ ხდება ჩვენს ქვეყანაში ისე, რომ ვიღაც ვიგინდარა და ნარკომანი სახალხოდ იქცევა ისე, რომ მავანს სურვილი უჩნდება, ფიზიკურად და სიტყვიერად შეურაცხყოს?! გარდა ამისა, **ბატონო მინისტრო, ჩვენი ვეტერანები, ჩვენი ბებიები და ბაბუები, არ არიან ჩვენი თანამოქალაქეები? 9 მაისს ვაკის პარკში 20-30 პოლიციელს თუ მოჰკრავდა ვინმე თვალს და ისინიც ისე პასიურად იქცეოდნენ, გეგონებოდა, სასეირნოდ და ატრაქციონებზე გასართობად გამოუშვესო — არავითარი „ჯაჭვი“, არავითარი „კორდონი“. ნებისმიერ ადამიანს სრულიად თავისუფლად შეეძლო, მიახლოებოდა გმირ ვეტერანებს და ეგინებინა, ხელით შეხებოდა, „გეორგიევსკის ლენტი“ ჩამოეგლიჯა...**

სამაგიეროდ, 13 მაისის ღამეს სრულიად უვნებლად გაიყვანეს „მთავრობის სახლის“ წინა მოედნიდან ნარკომანები და არაერთი ადამიანი ამ საქციელს შინაგან საქმეთა მინისტრ გახარიას „გმირობად“ უთვლის.



**ბატონო მინისტრო, ჩვენი ვეტერანები, ჩვენი ბებიები და ბაბუები, არ არიან ჩვენი თანამოქალაქეები? 9 მაისს ვაკის პარკში 20-30 პოლიციელს თუ მოჰკრავდა ვინმე თვალს და ისინიც ისე პასიურად იქცეოდნენ, გეგონებოდა, სასეირნოდ და ატრაქციონებზე გასართობად გამოუშვესო — არავითარი «ჯაჭვი», არავითარი «კორდონი». ნებისმიერ ადამიანს სრულიად თავისუფლად შეეძლო, მიახლოებოდა გმირ ვეტერანებს და ეგინებინა, ხელით შეხებოდა, «გეორგიევსკის ლენტი» ჩამოეგლიჯა...**

მე კი ისევ 9 მაისის თემას მივუბრუნდები და ვიკითხავ: ვის რაში უშლის ხელს ეს მოხუცი გმირი ადამიანები იმ დღეს თუ იზეიმებენ, რომელ დღესაც ეზეიმებათ? ან ამიხსენით, **რომელი სიმბოლიკით უნდა გამოვიდნენ დიდი სამამულო ომის ვეტერანები ზეიმზე, თუ არა იმით, რა სიმბოლიკითაც ნახევარი ევროპა ფეხით გაიარეს და კაცობრიობის ყველაზე სისხლისმსმელი ურჩხული დაამარცხეს?**

ბოლო წლებია, სწორედ ეს ორი „ტრენდი“ მკვიდრდება და წელს განსაკუთრებით მძაფრად და საყოველთაოდ მოხდა ამ ორი სისულელის აფიშირება, რადგან ამ უკიდეგანო სისულელეებს ქართული ტელევიზიებიც აჰყვნენ.

„ფაშიზმზე გამარჯვების დღე არა 9 მაისი, არამედ 8 მაისია!“ და „იზეიმონ, არავინ უშლით, მაგრამ საბჭოთა ტოტალიტარული სიმბოლიკა არ გამოიტანონ!“ — აი, ეს ორი ყოვლად შტერული ფრაზა არა მხოლოდ რომელიმე იდეოლოგიური ნიშნით შექმნილი ჯგუფის წევრებისგან, არამედ „ნეიტრალური“ ჟურნალისტებისგანაც კი გაისმოდა.

**წითელი დროშების წართმევისა და „გეორგიევსკის ლენტების“ 100 წლის ბაბუების მკერდებიდან ჩამომგლეჯ „ვაჟკაცებს“, ალბათ, მისცეს უკვე სათანადო „პრემიები“. ეს გასაგებია, მაგრამ უბრალო ადამიანებს, ამ ქვეყნის მოქალაქეებს, მინდა, ვკითხო: ეს ხომ, უპირველესად, სწორედ ამ ბაბუების ზეიმია? 80 წელიწადი თუკი 9 მაისს ზეიმობენ და ახლაც ასე ურჩევნიათ, ჩვენ ამით რა გვიშავდება? ან სხვა რომელი და როგორი სიმბოლიკით უნდა იარონ მათ მეორე მსოფლიო ომის გამარჯვებით დასრულების აღსანიშნავ ზეიმებზე?**

ან კიდევ: ეს „საბჭოთა ტოტალიტარულ სიმბოლიკაზე“ გადამტერებული ადამიანები რატომ არაფერს ეუბნებიან იმ ახალგაზრდებს, რომლებიც, უკვე რამდენიმე წელია, თბილისის ქუჩებში ჰიტლერული, ფაშისტური, ნაცისტური სიმბოლიკით დადიან? რა, **100 წლის ბაბუისთვის „მეორე სამამულო ომის წითელი ვარსკვლავის ჩამოგლეჯა“ და მისთვის წითელი დროშის წართმევა იოლია და „ეს-ეს“-ის ან „ფაშისტური სვასტიკის“ სიმბოლოიან ახალგაზრდებთან მიახლოებისა გეშინიათ?! აფერუმ, თქვენს ვაჟკაცობას!**

აქვე აუცილებლად უნდა მივმართოთ მთავრობის შესაბამის სტურუქტურებსაც: როგორც ცნობილია, უშიშროებისა თუ უსაფრთხოების სამსახურმა საქართველოს სოციალისტურ-კომუნისტური მიმართულების პარტიებსა და ორგანიზაციებს დაუგზავნა სპეციალური გაფრთხილება და შეახსენა მათ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, „თავისუფლების ქარტიის“ აქტის თანახმად, აკრძალულია „საბჭოთა ტოტალიტარული“ სიმბოლიკის გამოყენება თავშეყრის ადგილებზე და მოსთხოვა მათ, 9 მაისს ქალაქის ქუჩებში არ გადაადგილებულიყვნენ ასეთი სიმბოლიკით.

იქნებ გაგვცეს პასუხი ჩვენმა მთავრობამ: **რატომ არ არის იმავე ან თუნდაც სხვა ქარტიით აკრძალული ფაშისტურ-ნაცისტური სიმბოლიკის გამოყენება? რა, ვითომ ჰიტლერული რეჟიმი და ნაცისტური საკონცენტრაციო ბანაკები კურორტი და სანატორიუმი იყო?**

მაგრამ რაღა არის სალაპარკო, როდესაც არათუ „საბჭოთა სიმბოლიკა“, არამედ, უბრალოდ, წითელი ფერის დროშებიც კი წაართვეს გმირული გამარჯვების აღსანიშნავად გამოსულ ბაბუებს, პოლიციას კი ყურიც არ შეუბერტყია მათ დასაცავად, არც რომელიმე სახელმწიფო ჩინოსანი მოსულა და მოუბოდიშებია მათთვის. სამაგიეროდ, „თეთრ ხმაურს“ და მის ნარკომან წევრებს უხდის ბოდიშს საჯაროდ შინაგან საქმეთა მინისტრი.

„კონფლიქტის ესკალაციისა და სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით“ ხსნის ბევრი ამ „ბოდიშს“... აი, ესაა ყველაზე სასაცილო! რა, რადგან ჩვენს სასახელო ვეტერანებს არ შეუძლიათ (ასაკისა და მცირე რაოდენობის გამო) კონფლიქტების ესკალაცია და სისხლისღვრის გამოწვევა, ამიტომ ვიკიდებთ ფეხებზე? ამიტომ არ ვიცავთ კბილებით? ამიტომ არ ვუხდით ბოდიშს?

მიდგომა აქ ასეთია: ვისაც შეუძლია ან კადრულობს სახელმწიფოში დესტრუქციული პროცესების გამოწვევას, მათ მინისტრებმა ბოდიში უნდა მოუხადონ, ელაქუცონ, ხოლო ვისგანაც, მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნების გამო ასეთი საქციელი მოსალოდნელი არ არის, ისინი ფეხებზე უნდა დავიკიდოთ და ექსტრემისტული, ხულიგნური გამოხდომებისგანაც არ უნდა დავიცვათ, მაინც ვერანაირ პრობლემას ვერ შეუქმნიან მთავრობას და რა მოხდა მერე, თუკი ვინმემ მათ თავმოყვარეობა შეულახა და თუნდაც წიხლებით გადაუარა.

## რედაქციისგან:

**ესაა სახელმწიფოს სისუსტე და უნიათობა, როდესაც სწორედ მათ, ვისაც სინდისისა და შუბლის ძარღვის არქონა მისცემს საშუალებას, რომ ქვეყანაში არეულობა და დესტრუქცია გამოიწვიოს, ბოდიშს უხდი და ეფარცქვალები! ასეთი ადამიანებისთვის მოხდილი ბოდიში მათი და სხვების წაქეზებას ნიშნავს. ეს კარგად უნდა გაიაზრონ მათ, ვისაც ეკუთვნით.**

**და კიდევ — ერთი შეხედვით, გაუგებარია, როცა პოლიცია რეიდს ატარებს ნარკომოვაჭრეების წინააღმდეგ და შემდეგ ამ რეიდით აღშფოთებულ ნარკომანებს შს მინისტრი ბოდიშს უხდის. ვიმედოვნებთ, ასეთი საქციელისთვის მინისტრს სერიოზული მოტივაცია ჰქონდა, მაგრამ ეს მოტივაცია პატრიოტული იყო თუ არა, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს.**

**ლაშა ბუღაძემ ხმამაღლა განაცხადა: ეს არის არჩევანი რეგრესსა და პროგრესს შორის და ჩვენ პროგრესს ვირჩევთო. გამოდის, პროგრესია ქუჩაში ხალათიანი და კაბიანი კაცები; პროგრესია გოგონები, რომლებიც ერთმანეთს კოცნიან; პროგრესია ღამის კლუბებში არასრულწლოვანთა შეშვება და შემდეგ მიმდებარე ტერიტორიაზე დასუფთავების სამსახურის მიერ მოგროვებული შპრიცები და პრეზერვატივები... ეს არის ბუღაძისეული პროგრესი და ესეც სახელმწიფოს ბრალია; იმ სახელმწიფოსი, რომელმაც ბუღაძეს თამარ მეფის შეურაცხყოფა აპატია და დღემდე სხვადასხვა ღონისძიებაზე საპატიო წევრად ჰყავთ.**

რეზონანსი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნარკოლიბერალიზაციით სასიკვდილოდ ვიმეტებთ თაობას



**„ხავერდოვანი რევოლუცია“, „ვარდების რევოლუცია“, „ტიტების რევოლუცია“, „ნარინჯისფერი რევოლუცია“, „არაბული გაზაფხული“ და იქ მომხდარი რევოლუციები... რევოლუციას სხვადასხვა სახელს არქმევენ ხოლმე და ისტორიაშიც ასე რჩება. ჰოდა, სამყაროს ისტორიაში პირველად, რევოლუციას ნარკომანები და „ქვიარ თემი“ აწყობს. „ქვიარ თემი“ კი ყველა იმ ადამიანს ჰქვია, რომლებიც არატრადიციული სექსუალური ორიენტაცის არიან. და სწორედ ეს ადამიანები აპირებენ რევოლუციის მოწყობასა და ხელისუფლების დამხობას. სხვას ვერაფერს დავარქმევთ მათ მოთხოვნებს, რომლებიც პრემიერმინისტრსა და შს მინისტრის გადადგომას ითვალისწინებს და, ამას გარდა, საკონონმდებლო ორგანოსგან მოითხოვენ (კატეგორიულად), რომ ნარკოლიბერალიზაციაზე კანონი მიიღოს და, შედეგად, მსუბუქი ნარკოტიკი ხელმისაწვდომი იქნეს.**

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ შსს-ს სპეცდანიშნულების რაზმმა თბილისში 8 ნარკორეალიზატორი დააკავა, შემდეგ კი შეიჭრა ღამის კლუბებში — „ბასიანსა“ და „გალერიში“ და დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღო. ამის შემდეგ დაიწყო, რაც დაიწყო. გაურკვეველი წარმომავლობის, ჩაცმულობა-ვარცხნილობის, გაურკვეველი აღმსარებლობისა და ორიენტაციის ადამიანებმა საპროტესტო აქცია დააანონსეს. პირდაპირ ვიტყვი: არავინ ელოდა, რომ აქციაზე ამდენი ხალხი მივიდოდა, ამიტომ თქვა ერთ-ერთმა მალალჩინოსანმა: „როდის გამრავლდნენ ესენი?! რამდენი არიან, ოხ, ამათი“...

მე გეტყვით, ბატონებო, როდის გამრავლდნენ. ესენი მაშინ გამრავლდნენ, როცა

* თქვენ მოხვედით ხელისუფლებაში და სამართლიანობა არ აღადგინეთ;
* ცალკე პარლამენტმა და ცალკე პრეზიდენტმა არაერთი ნარკორეალიზატორი გაათავისუფლეთ;
* გაურკვეველი ორიენტაციის ადამიანების პიარი დაიწყეთ ტელევიზიით, გვერდით დაიყენეთ და მომავალ თაობას უთხარით, რომ ეს კარგია;
* სახალხო დამცველად პატრიარქის მაგინებელი ნინო ლომჯარია დანიშნეთ;
* ეკლესიის მაგინებელი ნინია კაკაბაძე ხალხის ტელევიზიის ერთ-ერთ ხელმძღვანელად მოგვივლინეთ.

ჰოდა, ახლა მიიღეთ ის, რომ ქუჩაში გამოსული „ვიღაცები“ გეუბნებიან: სახლში წადით და თანაც „ბარიგობა“ დაიწყეთო. ჰო, „ბარიგობა“, რადგან, თუ ნარკოტიკი ლეგალიზებული იქნება, ვინ უნდა გაყიდოს? — სახელმწიფომ. და რა ჰქვია ნარკოტიკების გამყიდველს ჟარგონზე?

სწორია — „ბარიგა“ და **სახელმწიფოს, საქართველოს ნაცვლად, „საბარიგო“ დაარქვით და იყავით ბარიგების პრემიერი, დეპუტატი, მინისტრი...**

ახლა არ მითხრათ, — არასწორად მსჯელობო. ის არის სწორი, აქციის მიმდინარეობისას სცენაზე გამომსვლელები პოლიციას ლამის „შე ჩემათი“ რომ მიმართავდნენ და მათ მოთხოვნებს უყენებდნენ?! ის არის სწორი, როცა ხალხის იმ რაოდენობას, რომელიც რუსთაველს ვერანაირად ვერ გადაკეტავდა, კომპაქტურად რომ დამდგარიყო, ქვეყნის მთავარი ქუჩა რომ გადააკეტინეს?! და როგორ მოგეწონათ შემდეგ ყიჟინა: **პოლიციამ უკან დაიხიაო?!** ვერ ხვდებით, რომ, როცა ტერორისტებთან ბრძოლაში კლავენ სპეცრაზმელს, ის უპირობოდ გმირია და, როცა ნარკობარიგებს ებრძვის პოლიცია — ქვეყნის მოღალატე? — აი ამ აზრს გაჩვევენ თქვენ, ხელისუფალნო, და ვაი, რომ დედაქალაქის მერს, **კახა კალაძეს,** უკვე წამოსცდა, რომ არსებული ნარკოპოლიტიკა ხელისუფლებას არ მოსწონს და შესაცვლელია. ხელისუფლება ნარკოტიკების ლეგალიზებას რომ აპირებს, არაპირდაპირ უკვე ითქვა და ახლა ყველაფერი დროის ამბავია. **ნარკოლიბერალიზაციით რომ პრაქტიკულად სასიკვდილოდ ვიმეტებთ თაობას, არ გჯერათ? 1990-იანებში ნარკომანია ლეგალიზებული იყო, არა კანონის დონეზე, მაგრამ დაგვეთანხმეთ, რომ იყო და ნახევარი საქართველო წამალზე იჯდა. და რატომ ვეძახით ახლა 90-იანების თაობას დაკარგულ თაობას?** რატომ არის, რომ მაშინ არაერთი ბიჭი თუ გოგო წავიდა იმქვეყნად ნარკოტიკის გადაჭარბებული დოზის მიღების გამო? ახლა არ თქვათ, — მსუბუქ ნარკოტიკს ვუკეთებთ ლეგალიზებასო. ჯერ ერთი, ვერავინ გააკონტროლებს, მომხმარებელი სასურველი ეფექტის მისაღებად ერთ აბს დალევს თუ ხუთს ერთად და მეორეც — მსუბუქის მშემდეგ მძიმე ნარკოტიკის ლეგალიზებას მოგთხოვენ და რა, უარს ეტყვით? ბოდიშს აღარ მოიხდით?

ახლა უშუალოდ აქციაზე ვთქვათ. იქ შეკრებილი ადამიანების უმრავლესობა აქციაზე ნარკოტიკის ან ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ რომ იყო, შეუიარაღებელი თვალითაც ჩანდა. ასევე კარგად გამოჩნდა ის, რომ ერთ-ერთმა გოგომ 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალზე როკვა გამართა და თან გაჰყვიროდა: როგორმე ბოძი დაამაგრეთ, სტრიპტიზი უნდა ვიცეკვოო... საბედნიეროდ, ვერ დაამაგრეს, ძალა არ ეყოთ, ის ძალა, რომელიც ნარკოტიკმა წაართვათ. გაგიკვირდებათ და, აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა **ბექა წიქარიშვილმა** განაცხადა, 9 აპრილის მონაწილეებიც ცეკვავდნენ და ჩვენი ცეკვა რატომ გიკვირთო?!



> **ესენი მაშინ გამრავლდნენ, როცა**
> *** თქვენ მოხვედით ხელისუფლებაში და სამართლიანობა არ აღადგინეთ;**
> *** ცალკე პარლამენტმა და ცალკე პრეზიდენტმა არაერთი ნარკორეალიზატორი გაათავისუფლეთ;**
> *** გაურკვეველი ორიენტაციის ადამიანების პიარი დაიწყეთ ტელევიზიით, გვერდით დაიყენეთ და მომავალ თაობას უთხარით, რომ ეს კარგია;**
> *** სახალხო დამცველად პატრიარქის მაგინებელი ნინო ლომჯარია დანიშნეთ;**
> *** ეკლესიის მაგინებელი ნინია კაკაბაძე ხალხის ტელევიზიის ერთ-ერთ ხელმძღვანელად მოგვივლინეთ.**
> **ჰოდა, ახლა მიიღეთ ის, რომ ქუჩაში გამოსული «ვიღაცები» გეუბნებიან: სახლში წადით და თანაც «ბარიგობა» დაიწყეთო. ჰო, «ბარიგობა», რადგან, თუ ნარკოტიკი ლეგალიზებული იქნება, ვინ უნდა გაყიდოს? — სახელმწიფომ. და რა ჰქვია ნარკოტიკების გამყიდველს ჟარგონზე?**

აქციის მონაწილეებმა თავი 9 აპრილის გმირებს შეადარეს.

ისიც ვთქვათ, **ლაშა ბუღაძემ** ხმამაღლა რომ განაცხადა, ეს არის არჩევანი რეგრესსა და პროგრესს შორის და ჩვენ პროგრესს ვირჩევთო. გამოდის, პროგრესია ქუჩაში ხალათიანი და კაბიანი კაცები; პროგრესია გოგონები, რომლებიც ერთმანეთს კოცნიან; პროგრესია ღამის კლუბებში არასრულწლოვანთა შეშვება და შემდეგ მიმდებარე ტერიტორიაზე დასუფთავების სამსახურის მიერ მოგროვებული შპრიცები და პრეზერვატივები... ეს არის ბუღაძისეული პროგრესი და ესეც სახელმწიფოს ბრალია; იმ სახელმწიფოსი, რომელმაც ბუღაძეს თამარ მეფის შეურაცხყოფა აპატია და დღემდე სხვადასხვა ღონისძიებებზე საპატიო წევრად ჰყავთ.

ასეა, ხელისუფლება (წინა ხელისუფლებაც და ამჟამინდელიც) აპიარებს გაურკვეველი ორიენტაციის ხალხს და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ევროპასთან თუ ამერიკასთან თავი მოიწონოს. ასე იყო ადრე და ასეა ახლაც — არ არის ხელისუფლებისთვის მნიშვნელოვანი ეროვნული ღირებულებები, მთავარია, ევროპამ და ამერიკამ თავზე ხელი გადაგვისვას. არადა, „ქვიარ თემის“ არსებობა რუსეთში საბოლოოდ აიკრძალა, აიკრძალა სექტები და, როგორ გგონიათ, ეს მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა მოიწონა თუ გააპროტესტა?! ამაში მაინც მივბაძოთ რუსეთს და ხმამაღლა ვთქვათ უარი გარყვნილებაზე, ნარკოტიკზე, სექტებზე...

სხვა შემთხვევაში, გადაშენება გველის; გადაშენება, როგორც ერს, ისე ბერს და საქართველოს მომავალი, უბრალოდ, აღარ ექნება. ფაქტია, რომ სახელმწიფო ამ მიდგომით უძლურია და არაფრის შეცვლას არ აპირებს. ისე ჩანს, რომ თანამდებობების გამო ხელისუფლების წარმომადგენლები ყველაფერს დათმობენ, მათ შორის უწმინდესს — ჩვენი შვილების სიცოცხლეს.

13 მაისის ღამეს აქციის მონაწილეებთან შს მინისტრი **გიორგი გახარია** და ქალაქის მერი კახა კალაძე მივიდნენ. კახას ხმა არ ამოუღია, მიკროფონი გახარიამ აიღო ხელში და ეგზალტირებულმა ბრბომ ერთხმად შესძახა: „ბოდიში მოგვიხადე, ბოდიში!“ გახარიამაც თავისი სიტყვა ბოდიშით დაიწყო. ძალიან უცნაურია, რომ შს მინისტრმა ბოდიში მოიხადა ნარკობარიგების დასაკავებლად ჩატარებული სპეცოპერაციის გამო, თანაც პირობა მისცა აქციის მონაწილეებს: ერთ კვირაში ყველაფერს ვიღონებ იმისთვის, რომ ნარკოლიბერალიზაციის შესახებ კანონი დაიძრასო. შეკრებილებმა ეჭვით შეხედეს მინისტრის სიტყვებს და 19 მაისისთვის მორიგი აქცია დაუანონსეს — აქაოდა, მოტყუება არ გაბედო, თორემ უარესს ვიზამთო. გესმით, რა ხდება?! **ნარკოტიკების მომხმარებელ-გამსაღებლები ულტიმატუმის ენაზე ესაუბრებიან პოლიციასა და ხელისუფლებას.** დასასრულ, ძალიან, ძალიან მარტივ კითხვას დავსვამთ და ხელისუფლებამ გვიპასუხოს:

**შსს-მ დააკავა 8 ნარკორეალიზატორი, რომლებსაც ბრალი უკვე წაუყენეს. დაკავებულებმა განაცხადეს, რომ ისინი არიან გამსაღებლები და არა შემომტანები და შემომტანის, მთავარი „ბარიგის“ სახელს სასამართლოზე იტყვიან. რატომ დახურეს სასამართლო, რატომ აიძულეს ადვოკატები, გაუთქმელობაზე ხელი მოეწერათ? იმიტომ ხომ არა, რომ ნარკობარონის ხათრი აქვს ხელისუფლებას?! თუ არა, გვიპასუხეთ მაშინ — რატომ?**

**ბესო ბარბაქაძე**

---

მოკლედ

## სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს

### საქართველოს პრემიერმინისტრი ქვეყანაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ინიციატივით გამოვიდა

**ბოლო დღეებში განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად წარმოაჩინა, რომ ნარკომაფიამ მყარად გაიდგა ფესვები ქვეყანაში. შედეგად მომრავლდა ე.წ. ღამის კლუბები, რომლებშიც ახალგაზრდობა, ნარკოტიკს მოიხმარს. ამ განუკითხაობამ, ნარკოტიკის ჭარბი დოზის მიღებამ რამდენიმე ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა. ეს ვითარება მნიშვნელოვანწილად განაპირობა მასობრივმა უმუშევრობამ და იმან, რომ ახალგაზრდებისთვის არ არის შექმნილი ცხოვრების ჯანსაღი წესით ცხოვრების პირობები. სწორედ ამიტომ უაღრესად აქტუალურია (დაგვიანებული კი არის, მაგრამ მაინც) საქართველოს პრემიერმინისტრის ინიციატივა ქვეყანაში ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობის სამოქმედო გეგმის შემუშავების თაობაზე.** საუბარია კომპლექსური გეგმის ჩამოყალიბებაზე, რომელშიც ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნისა და ხელმისაწვდომობის კუთხით გადასადგმელი კონკრეტული ნაბიჯები გაიწერება.



ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„არ მიიღებდა და არც მიიღო უკრაინამ სააკაშვილი, რადგან მასზე არავითარი მოთხოვნა არ იყო. შეაგზავნეს პირველადაც და მეორედ ხომ დესანტად გადასვა კიევში ევროპარლამენტის გავლენიანმა სახალხო პარტიამ, რომლის წევრების კორუფციონერობაზე ახლა მთელი ევროპა ლაპარაკობს. ხუთი წლის განმავლობაში პრესკონფერენციებზე ვამტკიცებდი ამას, ხელს ვადებდი, მაგალითად, კარლ ბილდტსა და სხვებს. ახლა გამჟღავნდა, რომ ამ პარტიის მნიშვნელოვანი ფრთა კორუფციულ სკანდალშია გახვეული“.**

## გოგა ხაინდრავა:

# ნეოლიბერალიზმმა კრახამდე მიიყვანა ევროპა, რომელმაც მამათმავლობის ლეგალიზაციას ანაცვალა კაცობრიობის ინტერესები, მათ შორის — საქართველოს ინტერესებიც

**ბატონ გოგა ხაინდრავას ფილმმა „ჰეროკრატიამ“ საბოლოოდ დაასამარა სააკაშვილის რეჟიმი; იმდენი ლურსმანი ჩააჭედა მისი კუბოს სახურავს, რამდენი სერიაც იყო დემონსტრირებული ამ მხატვრულ-დოკუმენტური სურათის. მიწა მიაყარა. ხოლო ფილმის მთავარი გმირის, ქვეყნის ერთპიროვნული მმართველის სახელი ჰერო განზოგადდა, როგორც ბოროტებისა და ნარცისიზმის ნაზავის აღმნიშვნელი ტერმინი, ყვარყვარეს სიბრიყვის პრიმიტივიზმით გამდიდრებული.**



გოგა ხაინდრავა „ლეხაინდრაო პროდაქშენის“ ხმის ჩამწერ სტუდიაში

**— გაქრა და ამოიშანთა დღევანდელობიდან თუ ნარჩენი დეფორმაციით კვლავაც შემორჩა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას? — შეკითხვა ფილმის ავტორს.**

— საბოლოოდ არ გამქრალა, რადგან კერპთაყვანისმცემლობა ახასიათებს ჩვენს ერს, სამწუხაროდ, და ამის მოწმენი უახლოეს წარსულშიც ვყოფილვართ სულ ცოტა ორჯერ, როცა პრეზიდენტად ავირჩიეთ კერპი და არა პოლიტიკური მოღვაწე. ამის სიმპტომები დღესაც არის, თუმცა მდგომარეობა გაცილებით უკეთესია, ხოლო ე.წ. მესამე სექტორი, არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც (ძირითადი ნაწილი მაინც) მოწოდებით ფლაგმანი უნდა იყოს საზოგადოების განვითარების, მისი გათანამედროვების, პირიქით ირჯება — ხელს უწყობს ჰეროების კრატიას (ხელისუფლებას) ქვეყანაში; და მათთან ერთად, რა თქმა უნდა, მედია, რომელიც საქართველოში ისე ყვითელია...

**— როგორც „ბოტკინით“ დაავადებული პაციენტი.**

— ძალიან გამიჭირდება, პრესა დავარქვა იმ ბეჭდურ თუ ელექტრონულ პროდუქციას, ცალკეული გამონაკლისის გარდა, რომლებიც ქვეყანაში მოგვიმრავლდა. აბსოლუტურად გაუგებარი კონგლომერატია, რომელშიც თავი მოიყარეს არაპროფესიონალებმა, ხშირ შემთხვევაში გაუნათლებელმა ადამიანებმა.

**— რომლებიც, სხვა გზა რომ ვერ იპოვეს, აქ ცდილობენ თავის დამკვიდრებას.**

— ასეთ პირობებში რეციდივი გამორიცხული არ არის, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რადგან ქვეყანაში დაგროვდა საკმაოდ დიდი მასა გათვითცნობიერებული ადამიანებისა, რომლებიც არ დაუშვებენ ბნელ წარსულთან დაბრუნებას.

იმედი მაქვს, თუ ახალი თაობა სწორად გაერკვევა საზოგადოების განვითარების ტენდენციებში, ალღოს აუღებს მავნებლურ „ნოვაციებს“, რომლებსაც თავს გვახვევენ, ვფიქრობ, სამშვიდობოს გავალთ. ამის წინაპირობა კი ნამდვილად არის.

იმასაც ვფიქრობ, რომ **სერიოზული და წარმომადგენლობითი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა საზიანოა საქართველოსთვის.** ასეთია, უწინარესად, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“, რომლის ახლახან გამოქვეყნებულ გამოკვლევას თუ ვენდობით, ჩვენი საზოგადოების 44 პროცენტს სურს, რომ პრეზიდენტმა **მარგველაშვილმა** შეიწყალოს ყოფილი პრეზიდენტი **სააკაშვილი.** თავს დავდებ და სახალხოდ ვაცხადებ, რომ ეს სრული სიცრუეა, ისეთივე, როგორიც მათი **აქამდე ჩატარებული კვლევები, რომლებიც შეკვეთილია და რომლებშიც დიდძალი ფული იხარჯება, რათა ქვეყანაში შეიქმნას დამფინანსებლებისთვის სასურველი ნეგატიური განწყობილება საჭირო მომენტში ამ ფონის გამოსაყენებლად, რა თქმა უნდა, საკუთარი მიზნების მისაღწევად. ასეთივეა ჩემთვის საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია** და სხვები. მათ მსგავს ორგანიზაციებში მომუშავე ადამიანები ძალიან ხშირად სხვადასხვა იპოსტასში გვევლინებიან ხელისუფლების საკვანძო თანამდებობებზე და იმ თემებს ნერგავენ ჩვენს ყოველდღიურობაში, რომლებიც საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესს არ შეესაბამება.

**— გაქცეული ჰეროს იდეებს ახმიანებენ. საქართველოში დასაბრუნებლად ემზადება მიხეილი.**

— არავითარი პერსპექტივა, როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს, მას არ აქვს საქართველოში, უკრაინაშიც, რა თქმა უნდა. არ მიიღებდა და არც მიიღო უკრაინამ სააკაშვილი, რადგან მასზე არავითარი მოთხოვნა არ იყო. **შეაგზავნეს პირველადაც და მეორედ ხომ დესანტად გადასვა კიევში ევროპარლამენტის გავლენიანმა სახალხო პარტიამ, რომლის წევრების კორუფციონერობაზე ახლა მთელი ევროპა ლაპარაკობს. ხუთი წლის განმავლობაში პრესკონფერენციებზე ვამტკიცებდი ამას, ხელს ვადებდი, მაგალითად, კარლ ბილდტსა და სხვებს. ახლა გამჟღავნდა, რომ ამ პარტიის მნიშვნელოვანი ფრთა კორუფციულ სკანდალშია გახვეული.**

ამათგან მოდის შეტევის დიდი ტალღა. მაგალითად,

**«ფრიდომ ჰაუსის» ბოლო ანგარიში ცილისწამებისა და სიცრუის ნიმუშია. ჩემს უცხოელ კოლეგებთან ერთად ამ ანგარიშს რომ ჩავეძიეთ, აღმოვაჩინეთ, რომ ადამიანი, რომელიც ევრაზიის მიმართულებას კურატორობს ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში, «ცხოვრობს» ქართველ მამაკაცთან, როგორც თავის ცოლთან თუ ქმართან (ამაში თვითონ გაერკვევიან). იგი უშიშროების ყოფილი თანამშრომელია, რომელიც მხილებულია სააკაშვილსა და «ნაციონალურ მოძრაობასთან» პირდაპირ და უშუალო კავშირში. ამის შემდეგ რა უნდა გაგვიკვირდეს?!»**

**„ფრიდომ ჰაუსის“ ბოლო ანგარიში ცილისწამებისა და სიცრუის ნიმუშია. ჩემს უცხოელ კოლეგებთან ერთად ამ ანგარიშს რომ ჩავეძიეთ, აღმოვაჩინეთ, რომ ადამიანი, რომელიც ევრაზიის მიმართულებას კურატორობს ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში, „ცხოვრობს“ ქართველ მამაკაცთან, როგორც თავის ცოლთან თუ ქმართან (ამაში თვითონ გაერკვევიან). იგი უშიშროების ყოფილი თანამშრომელია, რომელიც მხილებულია სააკაშვილსა და „ნაციონალურ მოძრაობასთან“ პირდაპირ და უშუალო კავშირში. ამის შემდეგ რა უნდა გაგვიკვირდეს?!**

ნეოლიბერალიზმმა კრახამდე მიიყვანა ევროპა, რომელშიც ადამიანის სხეულის ერთ ნაწილს ანაცვალეს კაცობრიობის ინტერესები, მათ შორის, საქართველოს ინტერესებიც.

**— 17 მაისს სოდომიტების შემოტევას ველოდებით ლგბტ თემის აღლუმის სახით. თქვენ რა დამოკიდებულება გაქვთ ამ „დაჩაგრულთა“ პრობლემისადმი?**

— ესეც ცრულიბერალიზმის გავლენის შედეგია. ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, მიღებულია კანონი, რომელიც ითვალისწინებს სასჯელს ადამიანის თვითმკვლელობამდე მიყვანისთვის, მძიმე დანაშაულად არის ჩათვლილი. მაგრამ, **როცა იღებ კანონს ერთნაირსქესიანთა დაქორწინების დაშვებაზე, პრაქტიკულად, კაცობრიობა მიგყავს თვითმკვლელობამდე, აკანონებ კაცობრიობის გადაშენებას. როცა ასეთნაირად დაწყვილებულებს ნებას რთავ, ბავშვი შვილად აიყვანონ, ამის გამართლება ადამიანის უფლებათა დაცვის მოხმობით ყოვლად წარმოუდგენელია.** რა ვუყოთ ამ ბავშვის თანდაყოლილ ბუნებრივ უფლებას, გაიზარდოს და განვითარდეს სრულფასოვან ადამიანად? მას ხომ ვართმევთ ამ უფლებას? რატომ უნდა ვანაცვალოთ ერთი უკულმართი ადამიანის უკულმართ სურვილს შეუდარებლად უფრო ღირებული ფასეულობა, რომელიც მთელი საზოგადოების მომავალს განსაზღვრავს — ბავშვის სრულფასოვან ადამიანად ჩამოყალიბება?! **საკუთარი სხეულის ნაწილის შენი სურვილის მიხედვით მოხმარების საკითხში არავინ არავის ედავება, მაგრამ ნუ მოითხოვ ამ არაბუნებრივი ურთიერთობის გაფეტიშებას, ნუ აქცევ ამას სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილად, ნუ ეწევი ამის ფარულ რეკლამირებას.**

ვიმეორებ: თუ ერთი კაცის თვითმკვლელობამდე მიყვანა ისჯება, კაცობრიობის თვითმკვლელობამდე მიყვანის მცდელობა არ უნდა დაისაჯოს?!

**— აღლუმების ორგანიზება კი, თუ გავხსნით ფრჩხილებს, ამ დანაშაულის ჩადენისკენ მიმართული პროპაგანდაა.**

— სწორედ ასეა, რაც მეტყველებს პოლიტიკური სისტემების დეგრადაციაზე იმ ქვეყნებში, რომლებშიც ეს „მასობრივი მსვლელობები“ მიღებულია და, ამასთანავე, მსოფლიოს საზოგადოების იმ ნაწილის დეგრადაციაზე, რომელიც ამ გზას მიჰყვება.

ჩვენ რატომ უნდა ჩაგვითრიონ ამ მორევში?!

**— თანაც ჩვენივე ნებით...**

— მით უფრო, რომ, მიუხედავად იმისა, რამდენად გულწრფელები ვართ ჩვენს ქრისტიანულ რწმენაში, მართლმადიდებლობა მსოფლმხედველობრივად არის ჩვენი ყოფიერების წესი და კანონი, რომლითაც აქამდე გვიცხოვრია, და ჩვენი შვილებიც მისი ერთგულებით უნდა გავზარდოთ. მასთან დაპირისპირება ნიშნავს ჩვენი მენტალობის უგულებელყოფას, სახელმწიფოებრიობასთან ჩვენს დაპირისპირებას, ხოლო ამ ტენდენციის შემომტანი ჩვენი მეგობარი და კეთილისმსურველი ვერასოდეს გახდება.

**— რატომ ხდება, ბატონო გოგა, რომ ახალგაზრდებს, რომლებიც ქრისტიანობის დასაცავად გამოდიან, კანონით სჯიან, მამათმავლობის პროპაგანდისტები კი ჯეჯილობენ ტელესივრცეში?**

— უფალს ჩვენი დაცვა არ სჭირდება, მით უფრო, კანონის დარღვევით. უფალი თავად გვიცავს. ჩვენ უნდა დავიცვათ უფლის წესი, კანონი და არასოდეს აღმოვჩნდებით განსასჯელის სკამზე. ის, რაც იმ ახალგაზრდებმა გააკეთეს, მე, რა თქმა უნდა, მათ მხარეს ვარ, მესმის, მაგრამ, სამართლის თვალსაზრისით, კანონის დარღვევაა. ბრძოლა კანონის დაცვითაც შესაძლებელია. მეორე საკითხია, კანონი იყოს ისეთი, რომ სამართლიანობის საპოვნელად მისი დარღვევა არ დაგვჭირდეს.

ნებისმიერი ანომალიის უკან დგანან სერიოზული ძალები. ვიცით, რომ კოაბიტაცია მათ მიერ არის ჩვენი ხელისუფლებისთვის თავსმოხვეული. არაორაზროვანი გაფრთხილებით: თუ ასე არ მოიქცევით, ძალიან სერიოზული გართულებები გაგიჩნდებათო.

საქართველოს ისტორიის ოქროს პერიოდშიც იყვნენ სახელმწიფოები, რომელთა ინტერესებს, ნებსით თუ უნებლიეთ, ანგარიშს ვუწევდით.

**— მაგრამ არა საკუთარი ინტერესების ხარჯზე.**

— გეთანხმებით, მაგრამ ასეთი იყო და არის ხვედრი ჩვენი და ჩვენნაირი სახელმწიფოების. ბუნებრივია, მაშინაც და დღესაც იძულებულნი ვართ, ზოგ რამეზე, რაც ჩვენი საზოგადოებისთვის მისაღები არ არის, დავხუჭოთ თვალი და ანგარიში გავუწიოთ რეალობას. არა იმიტომ, რომ მოგვწონს, არამედ იმიტომ, რომ ამ პრობლემის გაუთვალისწინებლობამ შეიძლება უფრო ღრმა და ფართომასშტაბიანი პრობლემების წინაშე დაგვაყენოს.

მიუხედავად იმისა, რომ სწორ პოზიციაზე დგახარ და სიმართლეს იცავ, უნდა იმოქმედო იმ ფარგლებში, რომლის საშუალებასაც კანონი გაძლევს. ეს ერთი, და მეორე: რეალობის გაუთვალისწინებლობამ შეიძლება უფსკრულში გადაგჩეხოს.

**— როგორც წარმოუდგენელი იყო საქართველოსგან აფხაზეთის განდგომა მაშინ, როცა თქვენ იქ** ▶

## „საპროცენტო განაკვეთები — ეს არის ყველანაირი ბოროტების დედა და მამა. ჩვენ არ გვაინტერესებს თურქეთის მტრები, რომლებიც იმალებიან ვალუტის სპეკულანტების, საპროცენტო განაკვეთების ლობისტებისა თუ რეიტინგული სააგენტოების უკან“.

ფაქტები და არგუმენტები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **სახელმწიფო მინისტრად იყავით მივლინებული, ასევე წარმოუდგენელია დღეს საქართველოსთან აფხაზეთის შემოერთება, დაბრუნება საქართველოს წიაღში.**

— ძალიან რთული საკითხია. ბევრს ვფიქრობ ამაზე. ბუნებრივიცაა, რადგან იქ დამრჩა გული. პირდაპირ გეტყვით: **ასეთი ტიპის, ასეთი მნიშვნელობის საკითხები, ჩემი აზრით, მიწიერი გადაწყვეტილების რიგს არ განეკუთვნება.**

მაგალითად, აჭარა ღმერთმა დაგვიბრუნა. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ჩვენ არც ერთი ნაბიჯი არ გადაგვიდგამს, იოტისოდენა ენერგია არ დაგვიხარჯავს, 1918 წელს აჭარა საქართველოს რომ დაბრუნებოდა. უფრო მძიმე მდგომარეობაში იყო მაშინ აჭარა იმასთან შედარებით, როგორშიც დღეს აფხაზეთია. თბილისში — 300 წელიწადი თურქობა, 400 წელიწადი — არაბობა. დღეს თბილისი საქართველოს დედაქალაქია. ასეთი რამ ქვეყნის ისტორიაში ხდება. სწორი დასკვნები უნდა გამოვიტანოთ, სწორად უნდა მივუდგეთ მომავალს. სრულად უნდა გავისიგრძეგანოთ ის შეცდომები, რომლებიც დავუშვით და რომელთა გამოც დავკარგეთ აფხაზეთი, მაგრამ აფხაზეთს ვერავინ წაგვართმევს. **ბედიის მონასტერი როგორ უნდა წაგართვან, როგორ უნდა წაგართვან ახალი ათონი, ბიჭვინთა!**

აფხაზეთი რომ საქართველოს განუყოფელი ნაწილია, დღეს ყველამ იცის, იციან რუსეთშიც და, რაც მთავარია, იციან აფხაზებმაც. რთული მდგომარეობაა ცხინვალში, სადაც ოსები საკუთარი აზრის გამოხატვას კი არა, გაფიქრებასაც ვერ ბედავენ. მათთან ურთიერთობა დღემდე მაქვს. თავისუფლად ჩავალ ცხინვალში. ოსებმა შესანიშნავად იციან ჩემი მათდამი დამოკიდებულება. პირველი ავანტიურა რომ წამოიწყეს **სააკაშვილმა** და **ბარამიძემ** (მაშინ ახალი დანიშნული ვიყავი კონფლიქტების მოგვარების მინისტრად), პრაქტიკულად მოინდომეს სამხედრო ძალით პრობლემის გადაწყვეტა, რაც უტოპია იყო — დაბომბვა დაიწყეს ქალაქის. მაშინ დავურეკე ბარამიძეს და ვუთხარი, რომ შეეწყვიტათ ცეცხლი, აქედან არ გამოვალ და, თუ ხელს გაძლევთ, საკუთარი მინისტრიც გაწირეთ-მეთქი. ქუჩაში გამოვედი და ოსებთან ერთად დავდექი. ეს ახსოვთ მათ.

**— გამოვალთ ამ მდგომარეობიდან?**

— უეჭველად გამოვალთ. სხვა გზა არ არსებობს. ოსებსაც ესმით ეს ძალიან კარგად, რუსეთშიც ესმით. ახლა ასეთი ეპოქაა, მაგრამ მუდმივი ამ ქვეყნად არაფერია.

**— და ამ სიტუაციაში სააკაშვილი ყველაფერს აკეთებდა რუსეთთან ურთიერთობის გასამწვავებლად, რაც უფრო და უფრო გვაშორებდა აფხაზეთის, ცხინვალის პრობლემების მოგვარებას.**

— უნდა გითხრათ, რომ სააკაშვილი ამას შემთხვევით არ აკეთებდა. შეთქმულების თეორიების მოყვარული არ ვარ, მაგრამ ფაქტებსაც ვერ გავექცევი. ძალიან მალე, იმდროინდელ მთავრობაში რომ შემიყვანეს, დავუპირისპირდი მათ.

**— დღევანდელ საგარეო პოლიტიკაზე შეგეკითხებით, რომელიც ყოფილი ხელისუფლებისგან მემკვიდრეობით მივიღეთ: რუსეთთან ურთიერთობის აუცილებელი გართულება და აბსოლუტური გადახრა დასავლეთისკენ.**

— აჩემება უგუნურებაა. ისტორია გვასწავლის, რომ საქართველო წელში გამართული იყო ყოველთვის, როცა დაბალანსებულ საგარეო პოლიტიკას განახორციელებდა ჩვენს მეზობელ ქვეყნებთან და იმპერიებთან. სიტყვას არ გავაგრძელებ ჩვენი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ამოცანებზე.

ბალანსი უნდა დავიცვათ აუცილებლად. სრული სიგიჟეა აბსოლუტური კონფრონტაცია რუსეთთან. ხშირად ეს ჩვენზე დამოკიდებული არ არის. ჩვენთან კონფრონტაცია არანაირად არ შედის რუსეთის ფედერაციის ინტერესებში, თუნდაც იმიტომ, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ურთიერთობას უჩვენოდ ვერასოდეს ალაგებდნენ და უჩვენოდ დღესაც გაუჭირდებათ. ასეთი მოცემულობაა: კავკასიის რეგიონში წამყვანი როლი ეკისრებოდა, ეკისრება და მომავალშიც დაეკისრება საქართველოს. საქართველო არ არის რუსეთისადმი მტრულად განწყობილი. ფსევდოლიბერალებზე არაფერს ვამბობ... **ხალხს შესანიშნავად ესმის, რომ რუსეთთან დაპირისპირება დამღუპველია. სხვა საქმეა, რომ ჩვენ გვაქვს წითელი ხაზები და არასოდეს შევეგუებით არც აფხაზეთის, არც ცხინვალის დაკარგვას. რა დროც გინდა გავიდეს, ადრე თუ გვიან, აუცილებლად დავიბრუნებთ.**

თუ ჭკვიანურად მოვიქცევით, ღმერთი დაგვიბრუნებს.

იგივეა დასავლეთთან ურთიერთობაშიც, რომელიც ცივილიზებულად უფრო განვითარებული და თანამედროვეა, მაგრამ, ამასთანავე, იქ ბევრია ისეთი მანკიერება, ჩვენი ცხოვრების წესი რომ ვერანაირად გახდება. რაღაცაზე უარი უნდა ვთქვათ, რაღაცას ფრთხილად მოვექცეთ და ზოგი რამ შემოვუშვათ.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. ეს საუბარი „ოცნების“ ყრილობის დროს დაემთხვა — პარალელურად, ერთსა და იმავე საათს. ვთხოვე ორწინადადებიანი კომენტარი, თუ როგორ აფასებს გოგა ხაინდრავა ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებას.**

— უწინარეს ყოვლისა, უაღრესად მნიშვნელოვანია იმ გამოწვევების დასაძლევად, ისტორიის ამ ეტაპზე ჩვენ წინაშე რომ დგას. შესაძლებლობა გვეძლევა, სერიოზული გარღვევა გავაკეთოთ საერთაშორისო ინტეგრაციის თვალსაზრისით. ეს ერთი.

და მეორე: ეკონომიკური ვითარების გასაჯანსაღებლად, მნიშვნელოვანი პროექტების განსახორციელებლად მისი გამოცდილებისა და ერუდიციის გაზიარების გზით იმ ახალგაზრდული გუნდისთვის, რომელიც დღეს მართავს ქვეყანას.

* * *

**ინტერვიუსთვის გამოყოფილი დრო ისე ამოიწურა, რომ ახალი ფილმის შესახებ რესპონდენტს ვერაფერი ვკითხე. არადა, აზერბაიჯანელ სცენარისტ რამიზ ფატალიევთან ერთად მუშაობს ძალიან საინტერესო სურათზე, რომელიც ოთხი თაობის ქართველი ემიგრანტების ისტორიას მოგვითხრობს. „ბედისწერა“ ჰქვია ამ ფილმს.**

**საქვეყნოდ სახელმოხვეჭილი „ქართული ფილმის“ სტუდიის ფაქტობრივ აღდგენას ჰგავს ის უთანამედროვესი კინოსტუდია, რომელიც ყოფილი, გაძარცვული და ყველასგან მივიწყებული ყოფილი აბრეშუმის ფაბრიკის შენობაში მუშაობს დღეს და რომლის სამხატვრო ხელმძღვანელია გოგა ხაინდრავა.**

**«როცა იღებ კანონს ერთნაირსქესიანთა დაქორწინების დაშვებაზე, პრაქტიკულად, აკანონებ კაცობრიობის გადაშენებას. როცა ასეთნაირად დაწყვილებულებს ნებას რთავ, ბავშვი შვილად აიყვანონ, ამის გამართლება ადამიანის უფლებათა დაცვის მოხმობით ყოვლად წარმოუდგენელია. რა ვუყოთ ამ ბავშვის თანდაყოლილ ბუნებრივ უფლებას, გაიზარდოს და განვითარდეს სრულფასოვან ადამიანად? მას ხომ ვართმევთ ამ უფლებას? რატომ უნდა ვანაცვალოთ ერთი უკუღმართი ადამიანის უკუღმართ სურვილს შეუდარებლად უფრო ღირებული ფასეულობა, რომელიც მთელი საზოგადოების მომავალს განსაზღვრავს — ბავშვის სრულფასოვან ადამიანად ჩამოყალიბება?!»**

# ვითომ ჩვენთან სხვანაირადაა?

## დასავლური პროპაგანდის შედეგად ახალგაზრდების ზნეობრივი გადაგვარების პრობლემა სხვა ქვეყნებშიც ძალიან აქტუალურია



**დასავლეთის პროპაგანდის გავლენით ახალგაზრდების ზნეობის, ცნობიერების დეგრადაციის პრობლემა, როგორც ჩანს, აქტუალურია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ისეთ ქვეყანაშიც კი, როგორიც რუსეთია (და არა მხოლოდ), სადაც, ამ ქვეყნის უშიშროების საბჭოს მდივნის განცხადებით, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები ცდილობენ, და ხშირად არცთუ წარუმატებლად, გავლენა იქონიონ ახალგაზრდებზე და შეუცვალონ ზნეობრივი ორიენტირები. რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის, ნიკოლაი პატრუშევის, განცხადება თბილისში რამდენიმე დღის წინათ განვითარებულ მოვლენებს დაემთხვა.**

აი რა თქვა რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა **ნიკოლაი პატრუშევმა** ვოლგისპირეთში 15 მაისს გამართულ უშიშროების გამსვლელ სხდომაზე:

**„უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები და მათ კონტროლს დაქვემდებარებული ოპოზიციური სტრუქტურები ექსტრემიზმს აღვივებენ რუს ახალგაზრდებს შორის“. მისი თქმით, ამ სტრუქტურების მუშაობა მიმართულია ზნეობის, ისტორიული საფუძვლებისა და კულტურული ტრადიციებისთვის ძირის გამოთხრისკენ, კულტურული და სულიერი ფასეულობების ნგრევისკენ.**

ამას ხელს უწყობს განათლების დაბალი დონე, სოციალური უთანასწორობა, კულტურული დასვენებისა და გართობისთვის პირობების არარსებობა.

ვოლგისპირეთში, პატრუშევის განცხადებით, 43 რელიგიური პროგრამაა ამოქმედებული ახალგაზრდებს შორის დესტრუქციული თვალსაზრისის გავრცელების პროფილაქტიკისთვის.

რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა, აგრეთვე, განაცხადა, რომ ახალგაზრდების ჩაბმა სატანისტურ კულტებში დაუნდობლად უნდა აღიკვეთოს.

**„დაუნდობლად უნდა აღიკვეთოს არასრულწლოვანების, მათ შორის, ფანატიკური ჯგუფების, ჩაბმის მცდელობები არაკანონიერ საჯარო ღონისძიებებში, აგრეთვე, დესტრუქციულ ორგანიზციებში, მათ შორის, ტოტალიტარულ სექტებში, რომლებიც ოკულტიზმისა და სატანიზმის იდეებს ქადაგებენ“,** — განაცხადა პატრუშევმა. მისი თქმით, „ახალგაზრდობის მედიაუსაფრთხოების უზრუნველყოფა კვლავ აქტუალურია ინტერნეტში გავრცელებული კრიმინალური ფსიქოლოგიის, ძალადობის კულტისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი ტენდენციებისა და ატრიბუტიკის გამო“. ამასთანავე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმ მოედნების შექმნას, რომლებზეც მოზარდები შეძლებენ თავიანთი პოტენციალის რეალიზებას. ასეთ მოედნებად პატრუშევმა დაასახელა სპორტული ცენტრები და ინტელექტუალური დასვენების ადგილები.

# «საპროცენტო განაკვეთები — ეს არის ყველა ბოროტების დედა და მამა!»

**თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა საპროცენტო განაკვეთებს „ყველა ბოროტების დედა და მამა“ უწოდა და განაცხადა, რომ „მათზე თურქეთი აუცილებლად გაიმარჯვებს“.**



ანკარაში თურქეთის სავაჭრო პალატებისა და სავაჭრო ბირჟების მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე ბიზნესმენთა წინაშე სიტყვით გამოსვლისას **ერდოღანმა** განაცხადა, რომ თურქეთმა აუცილებლად უნდა მიაღწიოს შემცირებას იმ საპროცენტო განაკვეთებისა, რომლებითაც ქვეყანა ვალს იღებს. თურქეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ, თუ შეძლებს 24 მაისს დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებას, განაგრძობს აღებულ კურსს და იბრძოლებს „დაწყევლილი საპროცენტო განაკვეთების“ წინააღმდეგ.

„თუ ამომრჩეველი მხარს დაუჭერს ჩემს მიმდინარე კურსს არჩევნების მსვლელობისას, დარწმუნებული ვარ, შევძლებ გამარჯვების მოპოვებას ამ დაწყევლილ საპროცენტო განაკვეთებთან ბრძოლაში. ჩვენ უნდა შევამციროთ საპროცენტო განაკვეთები, რადგან მჯერა: საპროცენტო განაკვეთები — ეს არის ყველანაირი ბოროტების დედა და მამა. ჩვენ არ გვაინტერესებს თურქეთის მტრები, რომლებიც იმალებიან ვალუტის სპეკულანტების, საპროცენტო განაკვეთების ლობისტებისა თუ რეიტინგული სააგენტოების უკან“.

თურქეთის 10-წლიან ობლიგაციებზე საპროცენტო განაკვეთებმა რამდენიმე დღის წინათ 14%-ით მოიმატა და ყველაზე დიდ ნიშნულს მიაღწია ბოლო 8 წლის განმავლობაში.

ამასთანავე, კვოტირება ნაციონალური ვალუტისა დიდ წნეხს განიცდის განვითარებული ბაზრების მიერ სახსრების გატანის, აგრეთვე, უცხოური ინვესტორების მხრიდან თურქეთის ეკონომიკაში შექმნილი ვითარების უარყოფითად აღქმის გამო.

მოამზადა
**ნიკოლოზ აბაშიძე**

**ბოლო პერიოდამდე ამერიკის არმიის „მონეტიზაციის“, მარტივად რომ ვთქვათ, არმიით ფულის შოვნის მთავარი მიზანი დოლარის სისტემის დაცვა იყო. თუ ვინმე შეეცდებოდა ამ სისტემიდან ცალმხრივად გასვლას, შემთხვევათა უმრავლესობაში ჰქონდა პერსპექტივა იმისა, რომ თავისი ქვეყნის სანაპიროზე ეხილა ამერიკული ავიამზიდების ჯგუფი და, ამასთანავე, ქვეყნის მთავარ მოედანზე მიეღო მორიგი „ფერადი რევოლუცია“ „ყველაფერი კარგის დასაცავად და ყველაფერი ცუდის წინააღმდეგ“. ეს განაპირობებდა იმას, რომ კონკრეტული ქვეყნების ელიტები უარს ამბობდნენ დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოებაზე. აშშ-ის პრობლემა ამჟამად არის ის, რომ ეს სქემა უკვე ისე აღარ მუშაობს, როგორც ადრე, ამერიკის არმია კი იმაზე მეტ რესურსს მოიხმარს, ვიდრე ოდესმე მოიხმარდა“.**

# გადაიხადე და დაგიცავ, ოღონდ ეს მეც უნდა მსურდეს და სარგებელიც უნდა მივიღო – ტრამპის მოთხოვნა «სტრატეგიული მოკავშირეების» მიმართ

# ამერიკაზე უკეთ ჩვენი წინდახედულება დაგვიცავს

**აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა 2 კვირის წინათ განაცხადა, რომ აშშ-ს უკვე აღარ სურს მსოფლიო პოლიციელის როლის შესრულება და დაიჩივლა, რომ ეს ძალიან არახელსაყრელი მდგომარეობაა ამერიკელებისთვის. „ჩვენ სულ უფრო ნაკლებად გვსურს, ვიყოთ მსოფლიო პოლიციელი. ჩვენ ათეული წლების განმავლობაში ვხარჯავდით უზარმაზარ თანხას მსოფლიოში წესრიგის შესანარჩუნებლად, და ეს აღარ უნდა იყოს ჩვენი პრიორიტეტი. ჩვენ გვსურს, დავამყაროთ წესრიგი ჩვენთან, ვაპირებთ ჩვენი ქვეყნის აღდგენას“, — თქვა ტრამპმა ნიგერიის პრეზიდენტ მოჰამადუ ბუჰარისთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე.**

ეს, რბილად რომ ვთქვათ, უცნაური განცხადებაა პირველი პირისგან იმ ქვეყნისა, რომელიც, ათეულობით წლებია, ფეხქვეშ თელავს საერთაშორისო სამართალს და ცდილობს, მსოფლიოზე იბატონოს. აქ საქმე ის კი არ არის, რომ აშშ-ს უცებ გაეღვიძა სინდისი ან პატივისცემა საერთაშორისო სამართლის მიმართ, **ტრამპი, უბრალოდ, მიხვდა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს უკვე აღარ შეუძლია, შეინარჩუნოს გეოპოლიტიკური საკონცენტრაციო ბანაკი, რომელიც მისმა წინამორბედებმა შექმნეს, და რომ „დემოკრატიის დამცველებს“, რომლებიც მიეჩვივნენ ვარსკვლავებიან-ზოლებიანი დროშის ქვეშ მუშაობას, მოუწევთ პროფესიის შეცვლა.**

გლობალური პოლიციელის (თუ ყველაფერს თავის სახელს დავარქმევთ, გლობალური სატუსაღოს დარაჯის) როლში ამერიკის შეერთებული შტატების ბოლო წარმატებული ოპერაცია იყო ლიკვიდაცია **მუამარ კადაფისა**, რომელიც დოლარის სისტემიდან გაქცევის მცდელობისას მოკლეს.

მას შემდეგ, რაც კადაფიმ დაიწყო პანაფრიკული ვალუტის შექმნისა და ლიბიის სანავთობე ვაჭრობის უდოლარო სისტემაზე გადაყვანის გეგმის რეალიზაცია, მისი ბედი გადაწყდა — ლიკვიდაციამაც არ დააყოვნა. ამის შემდეგ აშშ-ს „სუფთა მოგება“ აღარ ჰქონია, სირიაში კი სრული მარცხი განიცადა, როგორც სამხედრო თვალსაზრისით, ისე იმიჯის მხრივ. **ასადი ცოცხალია და დაუმორჩილებელი დამასკოდან ხელმძღვანელობს სირიას. ეს კი ნიშნავს იმას, რომ მსოფლიოზე ჰეგემონია, რომელსაც აშშ მიეჩვია ბოლო 30 წლის განმავლობაში, უკვე აღარ არის.**

ბოლო პერიოდამდე ამერიკის არმიის „მონეტიზაციის“, მარტივად რომ ვთქვათ, არმიით ფულის შოვნის მთავარი მიზანი დოლარის სისტემის დაცვა იყო. **თუ ვინმე შეეცდებოდა ამ სისტემიდან ცალმხრივად გასვლას, შემთხვევათა უმრავლესობაში ჰქონდა პერსპექტივა იმისა, რომ თავისი ქვეყნის სანაპიროზე ეხილა ამერიკული ავიამზიდების ჯგუფი და, ამასთანავე, ქვეყნის მთავარ მოედანზე მიეღო მორიგი „ფერადი რევოლუცია“ „ყველაფერი კარგის დასაცავად და ყველაფერი ცუდის წინააღმდეგ“. ეს განაპირობებდა იმას, რომ კონკრეტული ქვეყნების ელიტები უარს ამბობდნენ დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოებაზე.**

აშშ-ის პრობლემა ამჟამად არის ის, რომ ეს სქემა უკვე ისე აღარ მუშაობს, როგორც ადრე, ამერიკის არმია კი იმაზე მეტ რესურსს მოიხმარს, ვიდრე ოდესმე მოიხმარდა: ტრამპმა ხელი მოაწერა აშშ-ის 2018 წლის ბიუჯეტს, რომელშიც თავდაცვისთვის გამოყოფილია წინა წელთან შედარებით 80 მლრდ-ით მეტი თანხა — 692 მლრდ დოლარი.

ამერიკის პრაგმატულ პრეზიდენტს უწევს არმიის „მონეტიზაციის“ მეთოდების ძებნა და არა იმ საკითხის გადაწყვეტა, როგორ გამოიყენოს არმია გარკვეული გლობალური ამოცანების გადასაჭრელად, არამედ იმის, საერთოდ, როგორ შეინახოს და თავიდან აიცილოს ვითარება, რომელშიც ფულის ნაკადებს მიჩვეული ამერიკის სამხედრო ელიტა თვითონვე არ მოისურვებს აშშ-ის მართვას ვაშინგტონიდან. ეს არც ისეთი დაუჯერებელი სცენარია, როგორც შეიძლება მოგეჩვენოთ თავდაპირველად; განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ პრესტიჟული **კვლევითი ცენტრის — Pew Research Center-ის მონაცემებით, 2017 წელს აშშ-ის არმიას ენდობოდა გამოკითხულთა 72%, რაც 2,25-ჯერ მეტია პრეზიდენტის ნდობაზე (32%). ამერიკულ კორპორაციებს ენდობოდა გამოკითხულთა 21%, ხოლო კონგრესს — მხოლოდ 12%.**

ამერიკის პრეზიდენტი დღეს იძულებულია, იმუშაოს სავაჭრო აგენტის რანგში აშშ-ის არმიისთვის, რომელიც „ბორცვზე მდებარე გაბრწყინებული ქალაქის პრეტორიანელთა გვარდიის“ სტატუსიდან ჩამოქვეითდა და „გლობალური დემოკრატიის“ დამცველიდან გადაიქცა დაქირავებულთა ყველაზე დიდ დაჯგუფებად პლანეტაზე. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ტრამპის აღიარება-განცხადება იმის შესახებ, რომ საუდის არაბეთს მოუწევს გადახდა, თუ ერ-რიადს სურს, ამერიკელი სამხედროები დარჩნენ სირიაში. აი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ფრაზა:

**„საუდის არაბეთი ძალიან არის დაინტერესებული ჩვენი გადაწყვეტილებით. და მე ვთქვი: თუ გსურთ, რომ ჩვენ დავრჩეთ** (სირიაში — ნ.კ.) **შეიძლება მოგიწიოთ გადახდა“.**

მსგავსი რამ ტრამპს ადრეც უთქვამს, ოღონდ გერმანიისა და ნატოს წევრი სახელმწიფოების მიმართ.

2017 წლის მარტში, The Sunday Times-ის ცნობით, დონალდ ტრამპმა გერმანიის კანცლერ **ანგელა მერკელს** მოსთხოვა, გადაეხადა 300 მლნ გირვანქა სტერლინგი ნატოს მიერ გაწეული მომსახურებისთვის და განაცხადა, რომ ბერლინს უზარმაზარი ვალი აქვს ნატოსა და აშშ-ის. „აუცილებელია, გერმანიამ გადაიხადოს მძლავრი და ძალიან ძვირი საფასური თავდაცვისთვის, რომლითაც ჩვენ ამ ქვეყანას უზრუნველვყოფთ“. **გადაიხადე და დაგიცავ, ოღონდ თუ მე მოვისურვებ და თუ ამისგან სარგებელს მივიღებ — აი, ტრამპის მოთხოვნა „სტრატეგიული მოკავშირეების“ მიმართ.**




**ტრამპი მიხვდა, რომ აშშ-ს უკვე აღარ შეუძლია კოლოსალური თანხების ხარჯვა სტრატეგიული მოკავშირეების დასაცავად და, რომელიმე ქვეყანა რომ დაიცვას, ამისთვის ფულს ითხოვს. აი საქართველოს ხელისუფლება კი, რომელიც აშშ-ის «სტრატეგიულ მოკავშირეობაზე» დებს თავს, ვერ ხვდება, რომ ძია სემს საქართველო მხოლოდ რუსეთთან დასაპირისპირებლად სჭირდება და ამ შემთხვევაშიც საეჭვოა, რომ ჩვენი დაცვა მოახერხოს ან ისე დაგვიცავს, როგორც 2008 წლის აგვისტოში**

ამერიკის „სტრატეგიულ“ პარტნიორებში შედის საქართველოც, რომელსაც აშშ-მა 75 მლნ დოლარად მიჰყიდა ტანკსაწინააღმდეგო სისტემები „ჯაველინი“. ტრამპი მიხვდა, რომ აშშ-ს უკვე აღარ შეუძლია კოლოსალური თანხების ხარჯვა სტრატეგიული მოკავშირეების დასაცავად და იმისთვის, რომ რომელიმე ქვეყანა დაიცვას, ფულს ითხოვს; საქართველოს ხელისუფლება კი, რომელიც აშშ-ის „სტრატეგიულ მოკავშირეობაზე“ დებს თავს, ვერ ხვდება, რომ ძია სემს საქართველო მხოლოდ რუსეთთან დასაპირისპირებლად სჭირდება და ამ შემთხვევაშიც საეჭვოა, რომ ჩვენი დაცვა მოახერხოს ან ისე დაგვიცავს, როგორც 2008 წლის აგვისტოში; თუმცა ისიც საკითხავია, საქართველოს, რომლის მოსახლეობის 11,8% უმუშევარია და სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ 788 ათასი ადამიანია, აქვს შესაძლებლობა, რომ აშშ-ს უზარმაზარი თანხა გადაუხადოს თავდაცვაში. ამის საშუალება ხომ გერმანიასაც არ აქვს, რომლის ბიუჯეტიც 1,5 ტრილიონ დოლარს აჭარბებს?!

რამდენიმე დღის წინათ გერმანიის ლიდერმა **ანგელა მერკელმა**, როდესაც ის ქალაქ ახენში საფრანგეთის პრეზიდენტ **ემანუელ მაკრონს** კარლოს დიდის სახელობის საერთაშორისო პრემიის მინიჭებას ულოცავდა, განაცხადა:

**„ისე აღარ იქნება, რომ აშშ, უბრალოდ, დაგვიცავს. ევროპამ აუცილებლად თვითონ უნდა გადაწყვიტოს საკუთარი ბედი. ეს სამომავლო ამოცანაა.**

**აღსანიშნავია, რომ მერკელი პირველად არ მოუწოდებს ევროპას, დაეყრდნოს მხოლოდ საკუთარ ძალებს. მაგალითად, გასულ წელს, ნატოს სამიტის შემდეგ, რომელზეც პრეზიდენტმა ტრამპმა ალიანსის წევრი ქვეყნებისგან თავდაცვის ხარჯების გაზრდა მოითხოვა, გერმანიის კანცლერმა ანალოგიური ფორმულირება გამოიყენა და განაცხადა, რომ ევროპელებმა საკუთარი ბედი თვითონ უნდა გადაწყვიტონ, ვინაიდან დრო, როდესაც მათ შეეძლოთ, სხვებს დაყრდნობოდნენ, წარსულს ჩაბარდა.**

ტრამპის განცხადება სტრატეგიული მოკავშირეების მიმართ თავდაცვისთვის თანხის გადახდაზე — ეს არის ანარეკლი რეალობის ახალი აღქმისა, რომელმაც შეაღწია ამერიკულ საექსპერტო და მედიასაზოგადოებაში. ამერიკულმა გამოცემა The National Interest-მა ცოტა ხნის წინათ გამოაქვეყნა ანალიტიკური მასალა, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ჰეგემონიის დაკარგვის აღიარებად, აგრეთვე, იმის ნიშნად, რომ აუცილებელია, დაიწყოს მოლაპარაკებები საგარეო კრედიტორებთან აშშ-ის სახელმწიფო ვალის რესტრუქტურიზაციაზე. ბოლო პერიოდამდე ეს შეუძლებლად მიიჩნეოდა.

აღსანიშნავია, რომ ეს თვალსაზრისი გამოქვეყნდა გამოცემაში, რომელსაც აფინანსებს Jor the National Interest-ი — ნაციონალური ინტერესების ცენტრი, ანუ გავლენიანი არაკომერციული ორგანიზაცია, დაფუძნებული პრეზიდენტ **რიჩარდ ნიქსონის** მიერ და დაკავშირებული რესპუბლიკური პარტიის ზომიერ წრეებთან.

ამჟამად ამ ცენტრს ხელმძღვანელობს **ჰენრი კისინჯერი** — პოლიტიკური რეალობის სკოლის ცოცხალი ეტალონი. **თუ, ამასთანავე, წამოიჭრება საკითხი იმის შესახებ, რომ ამერიკელი სამხედროების გამოხდომები მსოფლიოში პრეისკურანტის მიხედვით უნდა დაფინანსდეს და რომ „აშშ-ის მთავარი მტერი არის არა ჩინეთი ან რუსეთი, არამედ სახელმწიფო ვალი“ (ეს არის მთავარი თეზისი The National Interest-ში გამოქვეყნებული სტატიისა), მაშინ აშკარაა, რომ ამერიკის პოლიტიკური ელიტის ნაწილი მიხვდა, რომ აშშ-ის ჰეგემონია დასრულდა. და ამ ელიტის რეალისტურმა ნაწილმა დაიწყო ძებნა მეთოდისა, როგორ იცხოვროს სამყაროში, სადაც ვაშინგტონი აღარ იქნება ძალის ერთადერთი ცენტრი და აღარ ექნება პრეტენზია დედამიწის ჭიპის სტატუსზე.**

ამერიკის ელიტის ყველაზე ხმაურიანი ნაწილი, **ჰილარი კლინტონიდან და ჯონ მაკეინიდან ნიკი ჰეილიმდე და მაიკ პომპეომდე,** ცდილობს, მუქარითა და ძალადობით დაიბრუნონ დაკარგული დიდება. ამერიკის ელიტის უფრო პრაგმატული და ცივსისხლიანი ნაწილი, კისინჯერიდან ტრამპამდე, უკვე გადავიდა ვაჭრობის სტადიაზე და ცდილობს, მაქსიმალური სარგებელი მიიღოს „ამერიკის იმპერიული მემკვიდრეობის“ გაყიდვიდან ან „მონეტიზაციის“ სხვა ფორმებიდან.

**იმ ქვეყნებს კი, რომლებმაც თავიანთი ბედი და ცივილიზაციური არჩევანი დაუკავშირეს ამერიკის მომაკვდავ იმპერიას, მომავალი კარგს არაფერს უქადის. როგორც აჩვენებს პრაქტიკა, იმპერიის ლიკვიდაციის ან გაკოტრებისას, ისევე, როგორც კორპორაციის ლიკვიდაციის ან გაკოტრებისას, პირველ რიგში, ყიდიან არაპროფილურ აქტივებს და აქ საქმეს სტრატეგიული მოკავშირეობა და ვერანაირი ერთგულების დაპირება ვერ უშველის.** აი ეს უნდა გაითვალისწინოს საქართველოს ხელისუფლებამ. ამერიკაზე უკეთ ჩვენი წინდახედულება დაგვიცავს.

ამ საკითხზე აღსანიშნავია ყოფილი პრემიერის, აწ უკვე „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის, **ბიძინა ივანიშვილის** განცხადება ამ ორგანიზაციის 11 მა- ▶

**ტრამპის ლოგიკა მარტივია და გასაგები — ნატოს ყველაზე მეტი ფული მე უნდა ვუხადო და შეიარაღებითაც მე უნდა მოვამარაგო? რისთვის? სხვების უსაფრთხოება რომ დაიცვას? რა გამოდის — სხვისი უსაფრთხოება უნდა დავიცვა ჩემი შეიარაღებით და თან ამაში ამ სხვებს ფულიც მე უნდა ვუხადო? დღეიდან იქნება სხვანაირად: იმან, ვისაც ამერიკის სამხედრო ძალა სჭირდება, ნატოს კი არა, ამერიკას უნდა გადაუხადოს ამაში ფული. ადვილი მისახვედრია, რომ ამ ლოგიკის ფარგლებში ნატო სრულიად უსარგებლოა ამერიკისთვის და სრულიად ზედმეტი ტვირთი.**

ფული და უსაფრთხოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ისს გამართულ ყრილობაზე: **„ჩვენ ნაწილობრივ უკვე მოვახერხეთ რუსეთთან ურთიერთობის დეესკალაცია და ვიმედოვნებთ, რომ საერთაშორისო პარტნიორების დახმარებით შესაძლებელი გახდება ურთიერთმოსმენისა და დიალოგის რეჟიმზე გადასვლა“.**

ამ შინაარსის მოწოდება თუ დაპირება ბიძინა ივანიშვილმა ხელისუფლების სათავეში „ქართული ოცნების“ მოსვლის წინაც გასცა, მაგრამ მას შემდეგ ამ მიმართულებით არაფერი გაკეთებულა; თანაც მიდგომა, რომ რუსეთთან ურთიერთობას საერთაშორისო პარტნიორების დახმარებთი მოვაგვარებთ, უკვე წლებია, წყლის ნაყვაა და მეტი არაფერი, რადგან ამ „საერთაშორისო პარტნიორებს“ საქართველო მხოლოდ რუსეთთან სავაჭროდ სჭირდებათ. **„საერთაშორისო პარტნიორების“ დახმარებით რუსეთთან დიალოგის დაწყების მცდელობა ხომ იმაზე მიუთითებს, რომ საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა არ არის და გარედან მითითებების გარეშე ნაბიჯს არ დგამს;** ან რატომ პირდაპირი გზით არ ცდილობს საქართველოს ხელისუფლება რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას, მით უმეტეს, რომ რუსეთის ხელისუფლების უმაღლესმა პირებმა არაერთხელ მკაფიოდ მიანიშნეს საქართველოს ხელისუფლებას, რომ მზად არიან დიალოგის დასაწყებად?! მაგალითად, 2015 წლის დეკემბერში რუსეთის პრეზიდენტმა **ვლადიმერ პუტინმა** ტელეკომპანია „მაესტროს“ ჟურნალისტის მიერ დასმულ შეკითხვას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პერსპექტივაზე ასე უპასუხა:

**„2008 წლის მოვლენების შემდეგ ამაზე ბევრჯერ გვისაუბრია, ჩვენ არ ვართ დაძაბულობის მიზეზი. რაც შეეხება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ეს, პირველ რიგში, ქართველი, აფხაზი და ოსი ხალხების საქმეა, მათთან უნდა იმუშაოთ. ჩვენ ნებისმიერ გადაწყვეტილებას მივიღებთ. საჭიროა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ხელისუფლებასთან თანამშრომლობა. რაც შეეხება სავიზო რეჟიმს, ვფიქრობ და მზად ვართ, გავაუქმოთ სავიზო რეჟიმი“.**

რუსეთის პრეზიდენტის ამ განცხადების მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლებას ნაბიჯიც კი არ გადაუდგამს რუსეთთან დიალოგის დაწყების გზაზე. ეს იმიტომ, რომ სწორედ დასავლეთის — ნატოსა და აშშ-ის, აგრეთვე, დიდი ბრიტანეთის, გავლენისგან ვერ დაუღწევია თავი, თუმცა ეს არც სურს, რადგან არ ფიქრობს ქვეყნისთვის სასიცოცხლო ინტერესების გატარებაზე. ხელისუფლებაში არ ფიქრობენ, რომ ნატოში შესვლა ამ ალიანსის სამხედრო ძალების განლაგებას ნიშნავს საქართველოს ტერიტორიაზე და სწორედ ეს არის საფრთხის შემცველი ჩვენი ქვეყნისთვის, რადგან ბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფოს სამიზნეში აღმოვჩნდებით.

ბიძინა ივანიშვილის დაბრუნება ქართულ პოლიტიკაში პოზიტიური მოვლენაა და იმედია, ის ყველაფერზე მაღლა დააყენებს საქართველოს ინტერესებს.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

# ნატოს არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა



**ნატოს მორიგი სამიტის მოახლოებასთან ერთად, რომელიც 11-12 ივნისს უნდა გაიმართოს ბრიუსელში, საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება, რომელიც დასავლელ პატრონებთან შეუთანხმებლად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ვერ იღებს, განაგრძობს დასავლეთის მარიონეტი სააკაშვილის მიერ გატკეპნილ გზაზე სვლას და კვლავ ცდილობს, მოსახლეობა ილუზორული დაპირებებით გამოკვებოს ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს შესვლის თაობაზე, თუმცა „სტრატეგიულმა მეგობარმა“ ცოტა ხნის წინათ რიტორიკა შეცვალა და ამერიკული გავლენიანი კვლევითი ცენტრის — სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტ „ჰერითეიჯ ფაუნდეიშენის“ ექსპერტ ლუკ კოფის პირით აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის რეგიონების გარეშე საქართველოს ნატოში შესვლაზე ალაპარაკდა. მაგრამ ახლა ვითარება, როგორც ჩანს, რადიკალურად იცვლება — ნატოს არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.**

17 მაისს აშშ-ის პრეზიდენტი **დონალდ ტრამპი** თეთრ სახლში შეხვდება ნატოს გენერალურ მდივან **იენს სტოლტენბერგს.** როგორც აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, შეხვედრაზე საუბარი იქნება ნატოს ბედზე, მის მომავალზე.

**„ორი ლიდერი იმსჯელებს ივლისში დაგეგმილ ნატოს სამიტზე, აშშ-ისთვის პრიორიტეტულ საკითხებზე ნატოში, ისეთებზე, როგორიც არის ხარჯების თანაბარი განაწილება და ნატოს როლი საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში“,** — ნათქვამია თეთრი სახლის პრესრელიზში.

აშშ-ის პრეზიდენტისა და ნატოს გენერალური მდივნის შეხვედრა შეიძლება ეპოქალური მნიშვნელობის აღმოჩნდეს. ბლოკის დაშლას არ გამოაცხადებენ, მაგრამ ამისთვის მზადების პროცესი, როგორც ჩანს, დაიწყო.

ნატოს წევრი სახელმწიფოები 2 წელიწადში ერთხელ მართავდნენ შეხვედრას მუშაობის შედეგებზე სამსჯელოდ და სამომავლო მიზნობრივი გეგმების დასამტკიცებლად, მაგრამ გლობალური ცვლილებების ტემპის მატებამ მოიტანა ის, რომ 2016 წლის შემდეგ ნატოს სამიტი უკვე ყოველ წელიწადს იმართება. შემდეგი გაიმართება 11-12 ივლისს ბრიუსელში ახლახან აშენებულ ახალ შტაბ-ბინაში, რომელიც მილიარდ ევროზე მეტი დაჯდა.

ღონისძიების წინ ალიანსის გენერალური მდივანი კონსულტაციებს გადის, ასე ვთქვათ, პროექტის მთავარ აქციონერთან — აშშ-ის პრეზიდენტთან, მით უმეტეს, რომ საკითხი საკმაოდ ბევრია. ფორმალურად კი გამოცხადდა მხოლოდ ორი თემის განხილვა — ხარჯების განაწილება და ტერორიზმთან ბრძოლა.

აღსანიშნავია, რომ ბოლომდე არ არის შესრულებული, უფრო ზუსტად, საბოლოოდ არ არის დამტკიცებული დღის წესრიგში შეტანილი გეგმა, რომელიც შეადგინეს ამერიკული სტრატეგიული კვლევის ცენტრის — RAND-ის ანალიტიკოსებმა ჯერ კიდევ 2016 წლის სამიტისთვის. RAND-ის სპეციალისტების გათვლებით, ევროპაში ნატოს სამხედრო ამოცანების (იგულისხმება „რუსეთის შეკავება“ და „ევროპის ქვეყნების სამხედრო დაცვა“) წარმატებით გადასაწყვეტად აშშ-მა ევროპის კონტინენტზე უნდა გადასხას კიდევ 7 სახმელეთო და სამხედრო ავიაციის ერთი ბრიგადა, რომელიც დაემატება ევროპაში ამჟამად დისლოცირებულ 2 ბრიგადას.

მათგან მხოლოდ სამი მსუბუქი სახმელეთო ბრიგადის განლაგებას დამატებით დასჭირდება დაახლოებით 13 მლრდ დოლარი, სულ კი მძიმე შეიარაღების, მექანიზებული და სატანკო ნაწილების, არტილერიისა და ახლო და საშუალო რადიუსის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემების გადატანას 37-40 მლრდ დოლარი დასჭირდება; პლუს, დამატებითი ნაწილების შესანახავად საჭირო იქნება, სულ ცოტა, 2 მლრდ დოლარი.

ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის, აგრეთვე, საკითხი „ნატოს თავდაცვის სიმძიმის ცენტრის გადატანის“ შესახებ აღმოსავლეთის ახალ საზღვრებთან. ის ნაწილი, რომელიც ეხებოდა ბალტიისპირეთის ქვეყნებს, მოგვარებულია, მაგრამ „თავდაცვითი ღერძის“ შექმნა ცენტრალურ და სამხრეთ ევროპაში არ გამოვიდა.

ამ ყველაფრისთვის დამატებითი ხარჯები 2016 წლის სამიტზე მოთხოვნილი იქნა 60 მლრდ ევროს ფარგლებში, მაგრამ 2017 წელს მოგროვდა მხოლოდ 637 მლნ, ისიც აშშ-ის ბიუჯეტიდან. ნატოს დანარჩენმა 27-მა წევრმა სხვადასხვა მიზეზით თავი აარიდა თანხების გამოყოფას ალიანსისთვის.

ასე რომ, როცა ტრამპი ჩივის ფინანსური დატვირთვის არასამართლიან გადანაწილებაზე, მართალია. აშშ-ის გარდა, სამხედრო ხარჯებს დაწესებული ნორმით — მშპ-ს 2%-ს, ალიანსის ბიუჯეტში რიცხავს მხოლოდ 6 წევრი, რომელთა ეკონომიკაც ძლიერი არ არის. ნატოს ლიდერმა სახელმწიფოებმა კი (განსაკუთრებით, გერმანიამ) უარი განაცხადეს ნატოსთვის „სამხედრო ძღვენის“ მიცემაზე.

ამიტომ რამდენიმე დღის წინათ ტრამპმა ულტიმატუმის მსგავსი რამ განაცხადა, დაახლოებით ასეთი შინაარსის: **თუ ევროპელები უსაფრთხოებისთვის არ გადაიხდიან, მათ ამერიკის კონტინგენტი ნატოში აღარ დაიცავს.** და ეს ხმამაღალი ნათქვამი ევროპაში მკაფიოდ გაიგეს, მაგრამ ტრამპის განცხადებამ უკუეფექტი გამოიღო — ბრანდერბურგის კარიბჭის დათმობის ნაცვლად **მერკელმა განაცხადა, რომ ევროპამ უნდა შექმნას თავისი ნატო აშშ-ის გარეშე, ხოლო ევროპელი მაღალჩინოსნები, მათ შორის საგარეო საქმეთა მინისტრი ფედერიკა მოგერინი, საკუთარი შეიარაღებული ძალების შექმნის საჭიროებაზე ალაპარაკდნენ.**

ტრამპის ლოგიკა მარტივია და გასაგები — ნატოს ყველაზე მეტი ფული მე უნდა ვუხადო და შეიარაღებითაც მე უნდა მოვამარაგო? რისთვის? სხვების უსაფრთხოება რომ დაიცვას? რა გამოდის — სხვისი უსაფრთხოება უნდა დავიცვა ჩემი შეიარაღებით და თან ამაში ამ სხვებს ფულიც მე უნდა ვუხადო?

დღეიდან იქნება სხვანაირად: იმან, ვისაც ამერიკის სამხედრო ძალა სჭირდება, ნატოს კი არა, ამერიკას უნდა გადაუხადოს ფული.

ადვილი მისახვედრია, რომ ამ ლოგიკის ფარგლებში ნატო სრულიად უსარგებლოა ამერიკისთვის და სრულიად ზედმეტი ტვირთი.

აღსანიშნავია, რომ **2016 წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საბაზისო იდეებს მხარს უჭერდა პოლონეთი, ბალტიისპირეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები. მისი 17 „ძველი“ წევრი ქვეყანა კი, მათ შორის გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ბელგია, ავსტრია, ესპანეთი, იტალია და პორტუგალია მიიჩნევს, რომ ნატომ დასახული ამოცანა შეასრულა და გეოპოლიტიკურად საჭირო აღარ არის. ამჟამინდელ პირობებში ევროკავშირს თავისუფლად შეუძლია, დაიცვას თავისი უსაფრთხოება საკუთარი არმიით, აშშ-ის გარეშე.**

მოკლედ, ნატოს ივლისის სამიტზე აქტუალური იქნება ერთი საკითხი — **ფული.** ტრამპს დამატებით 60 მლრდ სჭირდება აშშ-ის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის დასაფინანსებლად. უამისოდ ამერიკის სამხედრო კონტიგენტის შენახვა უსარგებლოა. თავის მხრივ, ევროპას არ სურს ხარჯების გაღება. ამერიკელების მონაწილეობის გარეშე კი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის არსებობა აზრს კარგავს.

ტრამპის მისწრაფება „მსოფლიოს ოლიმპიდან აშშ-ის ჩამოსვლა“ გაცვალოს მატერიალურ პრეფერენციებზე ამერიკისთვის, როგორც რეგიონული ზესახელმწიფოსთვის, უკვე აშკარაა, მაგრამ როგორ მიაღწევს ამ მიზანს ბრიუსელის სამიტზე, ჯერ გაუგებარია. სწორედ ამ საკითხზე ისაუბრებენ, ალბათ, ვაშინგტონში ტრამპი და სტოლტენბერგი.

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

**მსოფლიოში შეუქცევადი პროცესები მიმდინარეობს — დასრულდა ამერიკის ჰეგემონია და, შესაბამისად, მსოფლიო ერთპოლუსიანი აღარ არის. აშშ ცდილობს, „სტრატეგიული პარტნიორები“ აიძულოს, ფული გადაუხადონ უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, ისინი კი — ნატოს წევრი ლიდერი სახელმწიფოები, უარს ამბობენ ნატოს ბიუჯეტში უზარმაზარი თანხების (ქვეყნის მშპ-ს 2%-ის) გადარიცხვაზე; გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი და ევროკავშირის მაღალჩინოსნები, მათ შორის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების კომისიის წარმომადგენელი ფედერიკა მოგერინი, აქტიურად ალაპარაკდნენ ევროკავშირის შეიარაღებული ძალების შექმნაზე. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ნატოს არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. აქედან გამომდინარე, გაუგებარია საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა მოლოდინი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს შესვლის შესახებ.**

# არაადეკვატურები

„ფაქტი არის ის, რომ საქართველო ნატოს მიმართ მოწინავე ქვეყანაა და ამ თვალსაზრისით საქართველოს პროგრესი უნდა გამოიხატოს შესაბამის ნაბიჯებში, რომელიც ჩვენ მიგვიყვანს წევრობამდე“, — აღნიშნა **გიორგი მარგველაშვილმა** 14 მაისს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე.

„ჩვენი მოლოდინი არის, რომ საქართველოს პროგრესი ნატოში ინტეგრაციის, წევრობის გზაზე შესაბამისად დაფიქსირდება“, — განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა **მიხეილ ჯანელიძემ.**

ეს კი საქართველოს პრემიერმინისტრ **გიორგი კვირიკაშვილის** განცხადებაა:

„ჩვენი მიზანია, რომ საქართველოს პროგრესი ამ გზაზე შესაბამისად აღინიშნოს. საუბარი იყო, როგორ და რა ფორმით უნდა მოხდეს აღნიშვნა, რომ ამ გადაწყვეტილებამ მაქსიმალურად დაგვაახლოვოს ნატოსთან, რაც არის ჩვენი საბოლოო მიზანი“.

ხელისუფლების წარმომადგენელთა ამ განცხადებების (რომელთა მსგავსიც, უკვე მრავალი წელია, გვესმის) გაცნობის შემდეგ ნებისმიერ ადამიანს გაუჩნდება განცდა, რომ საქართველოს ხელისუფლების პირველი პირები არაადეკვატურები არიან მსოფლიოში შექმნილი ვითარების მიმართ ან ისევე, როგორც წინა ხელისუფლების წარმომადგენლები შეგნებულად ატყუებენ მოსახლეობას და თვალში ნაცარს აყრიან ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს შესვლაზე საუბრით.

დედოლარიზაცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აზერბაიჯანის ხელისუფლება ბოლო წლებში პერიოდულად აწარმოებს მოლაპარაკებებს თურქეთთან, ირანთან, რუსეთთან, ჩინეთსა და ინდოეთთან ეროვნულ ვალუტებზე გადასვლასთან დაკავშირებით, თუმცა ოფიციალური ბაქო, სანავთობო იმპორტის ფაქტორიდან გამომდინარე, გარკვეულ სიფრთხილეს ავლენს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ რეგიონში გამოკვეთილი ტენდენციები გაძლიერდება, გამორიცხული არაა, საქართველომ თავი „დოლარის კუნძულზე“ მარტოდმარტო დარჩენილ რობინზონად იგრძნოს.**

# რუსეთი დოლარის გამოყენებაზე უარს ამბობს

## როგორ აისახება ეს საქართველოზე?

**8 მაისს სახელმწიფო სათათბიროს სხდომაზე პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთი გააგრძელებს ეკონომიკური სუვერენიტეტის გამყარებისა და დედოლარიზაციის პროცესს, რომელსაც რეგიონის ეკონომიკაში, სავარაუდოდ, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოჰყვება და ის საქართველოს მდგომარეობაზეც აისახება.**

„უნდა ავამაღლოთ ჩვენი ეკონომიკური სუვერენიტეტის დონე, — განაცხადა **პუტინმა:** ნავთობი ბირჟაზე დოლარებზე იყიდება. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვფიქრობთ იმაზე, რა უნდა გავაკეთოთ, რათა ამ ტვირთისგან გავთავისუფლდეთ. მეტიც, ჩვენი პარტნიორები „გვეხმარებიან“, როდესაც ეს უკანონო შეზღუდვები შემოაქვთ და საერთაშორისო ვაჭრობის პრინციპებს არღვევენ, რადგან მთელი მსოფლიო ხედავს, რომ დოლარის მონოპოლია საიმედო არ არის, რომ ის საშიშია ბევრისთვის და არა მარტო ჩვენთვის“.

რუსეთის პრეზიდენტმა თქვა, რომ „ეს არ არის, უბრალოდ, დოლარისგან მოწყვეტა — საუბარია ჩვენი ეკონომიკური სუვერენიტეტის ამაღლებაზე. ეს აბსოლუტურად სწორია. ჩვენ გასულ ათწლეულებში ერთობ გულუბრყვილოდ ვიქცეოდით, იმის იმედით, რომ მსოფლიო ვაჭრობის, მსოფლიო ეკონომიკის სფეროში გაცხადებული პრინციპები დაცული იქნებოდა. ახლა კი ვხედავთ, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის პრინციპები დღენიადაგ ირღვევა. ხდება შეზღუდვა პოლიტიკური შეხედულებებიდან გამომდინარე, რომელსაც სანქციებს უწოდებენ“. პუტინის აზრით, დასავლურ ქვეყნებს ახალი შეზღუდვები მხოლოდ იმისთვის შემოაქვთ, „რომ საკუთარ თავს კონკურენციაში უპირატესობა მიანიჭონ“. „ოქროსა და ვალუტის რეზერვის დივერსიფიკაციას ვახდენთ და ამას მომავალშიც გავაგრძელებთ. ეს რუსეთის ეკონომიკური სუვერენიტეტის გამყარების დახვეწილი, მშვიდი რეგულირებაა“, — განაცხადა ვლადიმერ პუტინმა.

**ვინაიდან დოლარი, ათწლეულებია, საერთაშორისო ვაჭრობის ქვაკუთხედს წარმოადგენს, მყისიერი უარი მის გამოყენებაზე ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკას დიდად დააზიანებს და, ფაქტობრივად, იზოლაციაში მოაქცევს, ამიტომ ის ქვეყნები, რომლებიც ეკონომიკურ სუვერენიტეტს ამყარებენ და მრავალპოლუსიან სამყაროში გლობალური გავლენის ალტერნატიულ ცენტრებად ყალიბდებიან, დედოლარიზაციის პოლიტიკის იმპლემენტაციას თანდათან, ეტაპობრივად ახდენენ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ჩვენი რეგიონისთვის ის ნაბიჯებია, რომლებსაც რუსეთი, ჩინეთი და ირანი დგამენ, თუმცა ამ კონტექსტში საინტერესოა, ინდოეთის, ბრაზილიისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის გამოცდილებაც.** მას შემდეგ, რაც 2014-ში „ახალი ცივი ომი“ დაიწყო, კრემლმა მიიღო რამდენიმე პრინციპული გადაწყვეტილება, რომლებსაც რუსეთის ეკონომიკური სუვერენიტეტი უნდა გაეძლიერებინა.

2014 წლის აპრილში რუსეთის პრემიერმინისტრმა **დიმიტრი მედვედევმა** განაცხადა: „რუბლი სარეზერვო ვალუტად უნდა ვაქციოთ. ამისთვის აუცილებელია ვაჭრობა რუბლზე გადავიყვანოთ, მათ შორის წიაღისეულით“. მომდევნო თვეში ხელი მოეწერა შეთანხმებას ჩინეთთან, რომელიც ეროვნულ ვალუტებში ანგარიშსწორების მოცულობის ზრდას ითვალისწინებდა, ხოლო კომპანია „ტრანსნეფტმა“ ჩინელ პარტნიორებთან ვაჭრობა რუბლებზე გადაიყვანა (იმ პერიოდში ყოველწლიურად 6 მილიონ ტონა ნავთობს აწვდიდა, ამჟამად 10 მილიონს აწვდის). მაისშივე რუსეთმა, ჩინეთმა და ყაზახეთმა ხელი მოაწერეს ევრაზიის ეკონომიკური კავშირის შექმნის ხელშეკრულებას.

ყირიმის კრიზისმა მნიშვნელოვანი გავლენა აშშ-რუსეთის ეკონომიკურ ურთიერთობაზე ჯერ კიდევ სანქციების ამოქმედებამდე მოახდინა. **2014 წლის გაზაფხულზე რუსეთის კომპანიებმა და კერძო პირებმა ამერიკული ბანკებიდან 13,5 მილიარდი დოლარი გაიტანეს, რის გამოც დეპოზიტების საერთო მოცულობა 21,9 -დან 8,4 მილიარდამდე შემცირდა.**

იმავე წელს რუსეთმა ირანთან გააფორმა გრანდიოზული შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებდა ირანული ნავთობის ბარტერს (დაახლოებით 500 ათასი ბარელი დღეში), რუსული მანქანა-დანადგარებისა და ხორბლის სანაცვლოდ. ამან სანქციებისგან დაზარალებულ ირანს შესაძლებლობა მისცა, თანდათან გაეზარდა ნავთობის ექსპორტი და მომპოვებელი ინფრასტრუქტურა მოეწესრიგებინა. ამ შეთანხმებამ ვაშინგტონის უკმაყოფილება გამოიწვია, მაგრამ მისი ჩაშლა ვერ მოახერხა.




**ამა წლის 26 მარტს სანავთობო ბაზარზე რევოლუციური ცვლილება მოხდა — ჩინეთმა სანავთობო ფიუჩერსების გაყიდვა იუანებზე დაიწყო. ამ პროექტის რეალიზაციაზე პეკინი 25 წლის განმავლობაში მუშაობდა. იმის გათვალისწინებით, რომ ჩინეთი ნავთობის უმსხვილესი იმპორტიორია (დაახლოებით 8,43 მილიონი ბარელი დღეში), ეს, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რომელიც მსოფლიოში ბოლო პერიოდში დედოლარიზაციის მიმართულებით გადაიდგა და რუსეთი, სავარაუდოდ, ერთ-ერთი პირველი იქნება, ვინც ამით ისარგებლებს, მითუმეტეს, რომ დაძაბულობა ირანის გარშემო ხელს უწყობს ნავთობის ფასის ზრდას**

დაძაბული 2014 წლის მიწურულს რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა განაცხადა, რომ ქვეყნიდან კაპიტალის გადინება, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, თითქმის სამჯერ შემცირდა — 23-დან 8 მილიარდამდე. სხვა სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ამავე წელს ანგარიშსწორება ეროვნულ ვალუტებში რუსეთსა და ჩინეთს შორის 9-ჯერ (18%-მდე) გაიზარდა. ამ პერიოდში ყაზახეთი გამოვიდა ინიციატივით, რომ შანჰაის სავაჭრო ორგანიზაციის ქვეყნებმა ანგარიშსწორება მხოლოდ ეროვნულ ვალუტებში მოახდინონ. 2015 წლის მარტში კი ამ ქვეყნის ცენტრალურმა ბანკმა ეკონომიკის დედოლარიზაციის ორწლიანი გეგმა გამოაქვეყნა.

რუსეთისა და ჩინეთის მიერ მიღწეული შეთანხმებების შედეგი მალევე გამოჩნდა — იუანით ვაჭრობის მოცულობამ მოსკოვის ბირჟაზე წლის განმავლობაში რვაჯერ გაიზარდა. 2015 წელს „გაზპრომნავთობმა“ ჩინეთთან ვაჭრობა 100%-ით იუანზე გადაიყვანა, ხოლო ჩრდილო-დასავლეთ ევროპის მომხმარებლებისთვის მიწოდებული ნავთობის საფასურის 100% რუბლებში მიიღო. რამდენიმე თვის შემდეგ ჩინეთმა და რუსეთმა უარი თქვეს დოლარის და ევროს გამოყენებაზე ბუნებრივი აირის მოწოდების შესახებ კონტრაქტებში.

**2015 წლის აგვისტოში აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ განაცხადა, რომ „რუსეთი და ჩინეთი ერთობლივად მუშაობენ იმაზე, რომ მსოფლიო სარეზერვო ვალუტა არ იყოს ერთადერთი და მხოლოდ აშშ-ის მიერ არ კონტროლდებოდეს“. ამავე წლის ნოემბერში რუსეთის ხელისუფლებამ პრინციპულად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო — შეიტანა ჩინური იუანი იმ ვალუტების ჩამონათვალში, რომელსაც სავალუტო რეზერვის შესავსებად იყენებს.**

ამ გლობალური მასშტაბის პროცესებს თან სდევდა, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ცვლილებები, რომლებსაც ჩვეულებრივი მოქალაქეებიც ამჩნევდნენ. მაგალითად, ცნობილ სავაჭრო სისტემა „ალი ექსპრესში“ დაიწყო რუბლების პირდაპირი გადაცვლა იუანებზე, ადრე ეს დოლარის „გავლით“ ხდებოდა. რუსეთში აიკრძალა ხელფასების გაცემა დოლარსა და ევროში და ა.შ.

თავის გამოსვლაში ვლადიმერ პუტინმა ყურადღება ნავთობით ვაჭრობაზე გაამახვილა. **ამა წლის 26 მარტს სანავთობო ბაზარზე რევოლუციური ცვლილება მოხდა — ჩინეთმა სანავთობო ფიუჩერსების გაყიდვა იუანებზე დაიწყო. ამ პროექტის რეალიზაციაზე პეკინი 25 წლის განმავლობაში მუშაობდა. იმის გათვალისწინებით, რომ ჩინეთი ნავთობის უმსხვილესი იმპორტიორია (დაახლოებით 8,43 მილიონი ბარელი დღეში), ეს, ალბათ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რომელიც მსოფლიოში ბოლო პერიოდში დედოლარიზაციის მიმართულებით გადაიდგა და რუსეთი, სავარაუდოდ, ერთ-ერთი პირველი იქნება, ვინც ამით ისარგებლებს, მით უმეტეს, რომ დაძაბულობა ირანის გარშემო ხელს უწყობს ნავთობის ფასის მატებას.**

კიდევ ერთი საგულისხმო, მაგრამ ნაკლებად გახმაურებული ცვლილება აზიის ინფრასტრუქტურული ინვესტიციების ბანკის შექმნა იყო. მისი ყველაზე მსხვილი დამფუძნებლები ჩინეთი, ინდოეთი და რუსეთია, წევრი კი — 57 ქვეყანა, მათ შორის, საქართველოც. როდესაც მათ დიდი ბრიტანეთი შეუერთდა, აშშ-ის ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა (1999-2001), 2013 წელს ფედერალური სარეზერვო სისტემის თავმჯდომარეობის ერთ-ერთმა მთავარმა კანდიდატმა **ლოურენს სამერსმა** განაცხადა: „მე ვერ ვიხსენებ თუნდაც ერთ მაგალითს იმისა, რაც 2015 წლის მარტში მოხდა. ჩვენ ვნახეთ, რომ ჩინეთმა მსხვილი საფინანსო ინსტიტუტი შექმნა, ხოლო აშშ-მა ვერ მოახერხა, დაერწმუნებინა დიდი ბრიტანეთი და სხვა ტრადიციული მოკავშირეები, რომ მას არ შეერთებოდნენ. აშშ-ის სტრატეგიისა და ტაქტიკის მსგავსი ჩავარდნა დიდი ხნის განმავლობაში მწიფდებოდა და მან უნდა მიგვიყვანოს გლობალური ეკონომიკის მიმართ აშშ-ის ხელისუფლების მიდგომის გადახედვამდე. ჩინეთის ეკონომიკა თავისი მოცულობით, ფაქტობრივად, ამერიკულს გაუთანაბრდა. განვითარებად ბაზრებზე, სულ ცოტა, მსოფლიო წარმოების ნახევარი მოდის. ამ ფაქტორების გათვალისწინებით აშკარაა, რომ გლობალური ეკონომიკის აქამდე ჩამოყალიბებული არქიტექტურა ცვლილებებს საჭიროებს“.

რაც შეეხება რუსეთის ეკონომიკის დედოლარიზაციას, დეტონატორის როლი ამ პროცესისთვის იმ სანქციებმა შეასრულეს, რომლებიც დასავლეთის ქვეყნებმა, პირველ რიგში, აშშ-მა დაუწესეს. ჯერ კიდევ 2014-ში, კრიზისის დასაწყისში, „ვალდაის“ სადისკუსიო კლუბის სხდომაზე ვლადიმერ პუტინმა თავისი თვალსაზრისი ასე ჩამოაყალიბა: **„სულ უფრო მეტი სახელმწიფო ცდილობს, დოლარზე დამოკიდებულებას დაშორდეს, ალტერნატიული საფინანსო ცენტრები და სარეზერვო ვალუტები შექმნას. ვფიქრობ, ჩვენი ამერიკელი მეგობრები, უბრალოდ, ჭრიან ტოტს, რომელზეც სხედან. არ შეიძლება პოლიტიკისა და ეკონომიკის არევა, მაგრამ სწორედ ეს ხდება“.**

2016 წლის დეკემბერში თურქეთის პრეზიდენტმა **ერდოღანმა** პუტინს მოუწოდა ანგარიშსწორების ეროვნულ ვალუტებზე გადაყვანა. იგივე მან ჩინეთს, ირანსა და „ისლამური რვიანის“ ქვეყნებსაც შესთავაზა. აპრილში კი ცნობილი შეიქნა, რომ **თურქეთმა ჯერ კიდევ 2017-ში სრულად გაიტანა აშშ-დან ოქროს მარაგის ის ნაწილი, რომელიც იქ წლების განმავლობაში ინახებოდა.** ამასთანავე, აზერბაიჯანის ხელისუფლება ბოლო წლებში პერიოდულად აწარმოებს მოლაპარაკებებს თურქეთთან, ირანთან, რუსეთთან, ჩინეთსა და ინდოეთთან ეროვნულ ვალუტებზე გადასვლის თაობაზე, თუმცა ოფიციალური ბაქო, სანავთობო იმპორტის ფაქტორიდან გამომდინარე, გარკვეულ სიფრთხილეს ავლენს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ რეგიონში გამოკვეთილი ტენდენციები გაძლიერდება, გამორიცხული არ არის, საქართველომ თავი „დოლარის კუნძულზე“ მარტოდმარტო დარჩენილ რობინზონად იგრძნოს.

**ლუკა ნემსაძე**

ისტორიანი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჰიმლერის სიტყვაში ნათქვამი იყო, რომ უნდა შემცირდეს სლავთა რაოდენობა 30 მილიონი ადამიანითო“. აი, რა გასაოცარ მასშტაბებს მიაღწია ჰიტლერელთა დანაშაულებრივმა ჩანაფიქრმა. განსაკუთრებით სასტიკად გაუსწორდნენ ისინი საბჭოთა ინტელიგენციას“.**

# თვით გერმანიაშიც კი მოითხოვენ ფაშიზმის დამარცხების საქმეში სსრ კავშირის გადამწყვეტი როლის სამართლიან შეფასებას

**გერმანული გაზეთი Neue Osnabrцcker Zeitung-ი ახლახან იუწყებოდა, რომ ვერმახტის უსიტყვო კაპიტულაციის დღეს გერმანელმა მემარცხენეებმა მოითხოვეს, პატივი მიეგოთ მეორე მსოფლიო ომში დაღუპული საბჭოთა მოქალაქეებისა და მეომრებისთვის და ასევე დამსახურებისამებრ შეეფასებინათ სსრ კავშირის როლი ნაციონალ-სოციალიზმთან ბრძოლაში. „დღეს ცოტა ვინმეს თუ ახსოვს, რომ ბერლინი, ამერიკელებმა კი არა, სწორედ რუსებმა გაათავისუფლეს“, — განაცხადა გამოცემასთან ინტერვიუში მემარცხენეთა ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე იან კორტემ.**

იმის გათვალისწინებით, რომ გერმანიის თავდასხმა საბჭოთა კავშირზე იყო „უპრეცედენტოდ სისხლისმღვრელი“, „ვალდებული ვართ, ვიზრუნოთ რუსეთთან მშვიდობიან თანაარსებობაზე“, — განაცხადა მემარცხენეთა ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე იან კორტემ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პარლამენტში. კორტემ ასევე აღნიშნა, რომ ნაციონალ-სოციალისტების მიერ არც ერთი ქვეყანა ისე არ დაზარალებულა, როგორც საბჭოთა კავშირი. **„მეორე მსოფლიო ომის წლებში 27 მლნ საბჭოთა ადამიანი დაიღუპა. ერთი ოჯახიც არ დარჩენილა, ვინმე რომ არ დაღუპვოდა ბრძოლის ველზე. მილიონობით რუს ჯარისკაცს შიმშილითა და წამებით აღმოხდა სული გერმანელთა ტყვეობაში“, — შეახსენა პარლამენტს კორტემ. მისი აზრით, გერმანელმა პოლიტიკოსებმა ეს ფაქტები არა მხოლოდ უნდა აღიარონ, არამედ უნდა გაემიჯნონ მათ რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის აწყობისას, რადგან გერმანიას ეკისრება „განსაკუთრებული პასუხისმგებლობა“; „დღეს ცოტა ვინმეს თუ ახსოვს, რომ ბერლინი, ამერიკელებმა კი არა, სწორედ რუსებმა გაათავისუფლეს, გარდამტეხ მომენტად იქცა სტალინგრადი — აქ მოხდა პირველი დიდი მარცხი ნაცისტებისა. მოკავშირეთა ჯარები კი მხოლოდ წელიწად-ნახევრის შემდეგ გამოჩნდნენ“.** საბჭოთა კავშირის ხალხებმა, მშვიდობიანმა მოქალაქეებმა და ჯარისკაცებმა, „ნაცისტურ რეჟიმს განსაკუთრებით ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს“, — აღნიშნა გერმანელმა პოლიტიკოსმა. იან კორტემ მხარი დაუჭირა მოთხოვნას „აღმოსავლეთში ადოლფ ჰიტლერის სამხედრო ლაშქრობის მილიონობით მსხვერპლის“ ძეგლის აღმართვის თაობაზე. „წმინდა წყლის სიცრუეა, როცა ამტკიცებენ, რომ ეს ჩვეულებრივი ომი იყო და მასში მონაწილეობდნენ გერმანიის საუკეთესო სამხედრო ძალები“, — ხაზი გაუსვა კორტემ. მან ისიც აღნიშნა, რომ **ისტორიაში არავის ისე არ დაურღვევია ომის წესები, როგორც ეს ნაცისტურმა გერმანიამ გააკეთა სამხედრო ლაშქრობისას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.**

გერმანელი პოლიტიკოსების მიერ ისტორიული სიმართლის აღიარება და ჰიტლერელთა ნამოქმედარის მიმართ ამგვარი დამოკიდებულება, წესით, პოზიტიურად უნდა აისახოს რუსეთისა და გერმანიის სახელმწიფოების პოლიტიკურ ურთიერთობაზე, რაც ასევე, მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს მსოფლიო პოლიტიკაზეც, თორემ ისტორიული სიმართლე ნიურნბერგის პროცესზეც გამოაშკარავდა. მან მსოფლიოს დაანახვა ფაშიზმის ადამიანთმოძულეობა, განსაკუთრებით — რასიზმის არსი, რომელიც იდეურ საფუძველს წარმოადგენდა აგრესიული ომებისა და ადამიანთა მასობრივი ხოცვის მოსამზადებლად და საწარმოებლად. ნიურნბერგის პროცესის მეშვეობით ფაშიზმი გამოჩნდა ისეთი, როგორიც სინამდვილეში იყო — ბანდიტთა შეთქმულება თავისუფლებისა და კაცობრიობის წინააღმდეგ.

მკითხველს შევახსენებთ, რომ 1946 წლის 8 თებერვალს ნიურნბერგში, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში წარმოადგენდა ფაშიზმის ციტადელს, გაიმართა მთავარ სამხედრო დამნაშავეთა პირველი სასამართლო პროცესი — საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი სსრ კავშირის, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის სახელმწიფოების წარმომადგენელთა შემადგენლობით.

**ამონარიდი სსრ კავშირიდან მთავარი ბრალმდებლის — რ. ა. რუდენკოს შესავალი სიტყვიდან:**

„ჰიტლერელთა არნახულ ბოროტებებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია სლავი და ევროპელი ხალხებისადმი მათ სისხლიან ანგარიშსწორებას. **ჰიტლერი** რაუშნინგს ეუბნებოდა:

**„საუკუნეთა განმავლობაში ღარიბთა და ჩაგრულთა დაცვაზე წუწუნის შემდეგ დადგა დრო, რომ ჩვენ დავიცვათ ძლიერნი. ეს იქნება მთავარი ამოცანა გერმანელი სახელმწიფო მოღვაწეებისა მთელი საქმიანობის განმავლობაში, რათა ჩვენს ხელთ არსებული ყველა საშუალებით აღვკვეთოთ სლავური რასის შემდგომი გამრავლება. არა მხოლოდ უნდა დავამარცხოთ ჩვენი მტერი, არამედ — უნდა გავანადგუროთ.**

**გამარჯვებულის პრეროგატივა ყოველთვის იყო მთელი ერების განადგურება“.**

საბჭოთა ბრალმდებლის კითხვებზე მოწმემ განაცხადა: „ჰიმლერის სიტყვაში მოხსენიებული იყო, რომ **უნდა შემცირდეს სლავთა რაოდენობა 30 მილიონი ადამიანით“.** აი, რა გასაოცარ მასშტაბებს მიაღწია ჰიტლერელთა დანაშაულებრივმა ჩანაფიქრმა. **განსაკუთრებით სასტიკად გაუსწორდნენ ჰიტლერელები საბჭოთა ინტელიგენციას.**

რუდენკოს მომზადებული ჰქონდა რვა მოხსენება: „მშვიდობის საწინააღმდეგო დანაშაული“ (აგრესია ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და იუგოსლავიის მიმართ), „აგრესია სსრ კავშირის მიმართ“, „ომის წესებისა და სამხედრო ტყვეებისადმი მოპყრობის ტრადიციების უგულებელყოფის დანაშაული“, „სსრკ-ის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და იუგოსლავიის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები“, სახელმწიფო და კერძო საკუთრების დატაცება და განადგურება“, „კულტურული ფასეულობების ძარცვა და განადგურება; ქალაქებისა და სოფლების დანგრევა და გაქრობა“, „იძულებითი შრომა და ძალადობრივი იძულება გერმანელთა მონობისკენ“, „დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ“.




## მემარცხენეთა ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე იან კორტემ მხარი დაუჭირა მოთხოვნას «აღმოსავლეთში ადოლფ ჰიტლერის სამხედრო ლაშქრობის მილიონობით მსხვერპლის» ძეგლის აღმართვის თაობაზე

1933 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ სტატიაში **გერინგი** თავის დამსახურებულად თვლიდა გესტაპოში გარდაქმნის განხორციელებას, უშუალოდ დაიქვემდებარა რა საიდუმლო პოლიცია და პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან საბრძოლველად შექმნა საკონცენტრაციო ბანაკები.

„ამგვარად, — ამბობდა გერინგი, — წარმოიშვა საკონცენტრაციო ბანაკები, რომლებშიც ჩვენ უნდა გამოგვემწყვდია კომუნისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიების აპარატის ათასობით მუშაკი“.

საბჭოთა ბრალდებამ ტრიბუნალს წარუდგინა **მარტინ ბორმანის „შენიშვნები“ 1940 წლის 2 ოქტომბერს ჰიტლერთან გამართული თათბირის თაობაზე**, რომელიც გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივებში აღმოაჩინეს, როცა საბჭოთა ჯარებმა ბერლინი აიღეს. ეს დოკუმენტი ოკუპირებულ პოლონეთს შეეხება.

**„პოლონეთის ინტელიგენციის ყველა წარმომადგენელი უნდა განადგურდეს! — ეს სასტიკად ჟღერს, მაგრამ ასეთია ცხოვრების კანონი...“; „მღვდლებს დავინდობთ. სამაგიეროდ მათ ჩვენი მითითებები უნდა შეასრულონ. თუკი მოიძებნება მღვდელი, რომელიც სხვაგვარად მოიქცევა, მასთან მოკლე საუბარი გვექნება. მღვდლის მოვალეობაა, იზრუნოს პოლონელთა სიმშვიდეზე, მათ დაჩლუნგებასა და დაბრიყვებაზე. ეს ყველაფერი ჩვენს ინტერესებშია“; „უკანასკნელი გერმანელი მუშა და უკანასკნელი გერმანელი გლეხი ეკონომიური თვალსაზრისით ყოველთვის ნებისმიერ პოლონელზე მაღლა უნდა იდგეს“** (ამონარიდები მარტინ ბორმანის „შენიშვნებიდან“).

დირექტივაში მითითებული იყო, რომ მსგავსი ღონისძიებები უნდა გატარებულიყო, ასევე, უკრაინელთა, ბელორუსთა, აზერბაიჯანელთა, სომეხთა, ქართველთა, თურქთა და სხვათა მიმართ.

**რუდენკომ, საბჭოთა კავშირის სახელით, ბრალი დასდო ფაშისტებს საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდების მე-6 მუხლის ყველა პუნქტით:**

„აშშ, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავარ ბრალმდებლებთან ერთად, მე ბრალს ვდებ ბრალდებულებს, რომ მათ **მოამზადეს და განახორციელეს ვერაგული თავდასხმა ჩემი ქვეყნისა და მშვიდობისმოყვარე ხალხებზე;**

მე ბრალს ვდებ მათ, რომ **გააჩაღეს რა მსოფლიო ომი საერთაშორისო სამართლის ძირითადი ნორმებისა და მათ მიერ დადებული ხელშეკრულებების დარღვევით, გადააქციეს ომი მშვიდობიანი მოქალაქეების მასობრივი ჟლეტის, ძარცვისა და ძალადობის იარაღად;**

**გამოაცხადეს რა თავი ღვთის რჩეულ რასად, ყველგან, სადამდეც კი წვდებოდა მათი ძალაუფლება, ქმნიდნენ ტირანიის რეჟიმს, დაფუძნებულს ადამიანთა უფლებების გათელვაზე.**

...ფაშისტური ტერორის მილიონობით უცოდველი მსხვერპლის წმინდა ხსოვნის სახელით, მსოფლიოში მშვიდობის განსამტკიცებლად, მომავალში ხალხთა უსაფრთხოებისთვის ჩვენ გვინდა ბრალდებულებთან სრული და სამართლიანი ანგარიშსწორება. ეს იქნება კაცობრიობის ანგარიშსწორება, ნების აღსრულება მშვიდობისმოყვარე ხალხებისა. დაე, აღსრულდეს სამართლიანობა!“

საბჭოთა ბრალდებამ საბრალდებო აქტის ყველა პუნქტის მიხედვით მტკიცებულებები წარმოადგინა. ეს იყო გერმანიის ხელისუფლების განკარგულებები, ბრძანებები და სამხედრო სარდლობის გეგმები, დღიურები; დოკუმენტები ფაშისტური პარტიის ზოგიერთი ხელმძღვანელისა და გერმანიის ხელისუფალთა პირადი არქივებიდან. სხვა დოკუმენტები სამხედრო დანაშაულებსა და დანაშაულებზე კაცობრიობის წინაშე.

1942 წლის 2 ნოემბერს, სსრ კავშირის უმაღლესი პრეზიდიუმის ბრძანებით, გერმანელ ფაშისტთა ბოროტმოქმედებების დასადგენად და გამოსაძიებლად ჩამოყალიბდა სახელმწიფო კომისია, ადგილებზე კი შეიქმნა რესპუბლიკური, საოლქო, სამხარეო და საქალაქო კომისიები. ეს კომისია აგროვებდა და ამოწმებდა მონაცემებს და ადგენდა აქტებს გერმანელ დამპყრობთა მხეცობებზე, საბჭოთა კავშირსა და მისი მოქალაქეებისთვის მიყენებულ ზიანზე. **მხოლოდ სსრ კავშირის მოქალაქეების მიმართ განხორციელებული ბოროტების თაობაზე შედგა 54 784 აქტი. საგანგებო სახელმწიფო კომისიის ეს აქტები ძალაშია საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდების 21-ე მუხლის მიხედვით და წარმოადგენს უტყუარ მტკიცებულებას.** ყველა ამ აქტიდან საბჭოთა ბრალდებამ ტრიბუნალს მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი წარუდგინა; ასევე, მის ხელთ არსებული ფოტოდოკუმენტები, რამდენიმე დოკუმენტური კინოფილმი, რომლებიც აღწერდა იმ მხეცობასა და ნგრევას, რომლებიც გერმანელმა დამპყრობლებმა სსრ კავშირის ტერიტორიის ოკუპაციისას განახორციელეს; ფოტოსურათები და კინოფილმი, რომლებიც გერმანელებს წაართვეს.

**ტრიბუნალმა გერინგს, რიბენტროპს, კაიტელს, კალტენბრუნერს, როზენბერგს, ფრანკს, ფრიკს, შტრეიხერს, ზაუკელს, იოდლს, ზეის-ინკვარტს, ასევე, ბორმანს (დაუსწრებლად) ჩამოხრჩობა მიუსაჯა; ჰესს, ფუნკსა და რედერს — სამუდამო პატიმრობა; შირახსა და შპეერს — 20-წლიანი პატიმრობა; ნეირატს — 15 წელი, დ?ნიცს — 10 წელი; ფრიჩი, პაპენი და შახტი გამართლდნენ.**

განაჩენი სისრულეში მოყვანილ იქნა 1946 წლის 16 ოქტომბერს, ღამით.

ნიურნბერგის პროცესი ისტორიაში შევიდა, როგორც ანტიფაშისტური პროცესი.

კაცობრიობას ეს უნდა ახსოვდეს!

მოამზადა
**დარეჯან ანდრიაძემ**

პალატა N6

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ინგა გრიგოლიამ ასეთი რამ თქვა: „ენ-დი-აი-ს ბოლო კვლევის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 44 პროცენტი მისტირის საბჭოთა კავშირს, ანუ ამდენ პროცენტს მიაჩნია, რომ საბჭოთა კავშირის დროს საქართველოსთვის უკეთესი რეალობა იყო, ვიდრე დღეს არის. აი, ხომ ხედავთ, რამდენი ადამიანია დღეს ქართველ საზოგადოებაში რუსული პროპაგანდის ზეგავლენის ქვეშ!“**

# ფსიქიკური აშლილობის აპოთეოზი

**ენ-დი-აი-ს კვლევებით გამოწვეული პერიპეტიები ჯერ კიდევ მონელებული არ გვქონდა, რომ უცებ „თეთრი ხმაურის“ ორგანიზაციის წევრებმა სიგიჟის მორიგი რეკორდი დაამყარეს. ამ ადამიანებმა სრულიად სერიოზულად განაცხადეს, რომ კლუბ „ბასიანსა“ და „გალერიში“ პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმის შესვლა და იქ ჩხრეკის ჩატარება საქართველოში მოქმედი რუსული ძალების ზეგავლენის შედეგია.**




პირდაპირ ვიტყვით — ამ მიმართულებით საქართველოში უკვე სასტიკად ჩასვრილი ე.წ. დასავლური (ე.წ იმიტომ, რომ სინამდვილეში ამ რეგვნულ აზრებს არც დასავლურ ცივილიზაციასთან აქვს რამე საერთო) მიმართულების მიმდევრები ისე გაამწარა კრახმა და გაფარჩაკებამ, რომ ლამის თავიანთი ართრიტი ან ფილენჯის ქარები „კრემლის პროპაგანდასა“ და „რუსული რბილი ძალების მოქმედებას“ დააბრალონ.

**უკვე იმ დონეზეც მივედით, რომ არა მხოლოდ რომელიმე სატელევიზიო ეთერში მიწვეული „მედასავლეთე“ პოლიტიკური სტუმრები, არამედ „მიუკერძოებელი“ ჟურნალისტებიც კი მაღალსიცხიანი, ბოდვით შეპყრობილი ადამიანებივით წარამარა რუსეთს, კრემლს, პუტინს ახსენებენ...**

მაგალითად, გასულ კვირაში, თავისი საავტორო გადაცემის ერთ-ერთ გამოშვებაში, რომელიც ენ-დი-აი-ს ბოლო კვლევებს ეძღვნებოდა, **ინგა გრიგოლიამ** ასეთი რამ თქვა: **„ენ-დი-აი-ს ბოლო კვლევის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 44 პროცენტი მისტირის საბჭოთა კავშირს, ანუ ამდენ პროცენტს მიაჩნია, რომ საბჭოთა კავშირის დროს საქართველოსთვის უკეთესი რეალობა იყო, ვიდრე დღეს არის. აი, ხომ ხედავთ, რამდენი ადამიანია დღეს ქართველ საზოგადოებაში რუსული პროპაგანდის ზეგავლენის ქვეშ!“**

„მიუკერძოებელმა“ ინგამ აღშფოთება ვერ დამალა და ის, რომ, საზოგადოების გარკვეული ნაწილის აზრით, დღეს საქართველოში სიტუაცია უარესია, ვიდრე საბჭოთა კავშირის დროს იყო, არა რეალობას, არამედ „რუსული პროპაგანდის გავლენას“ მიაწერა. ჟურნალსტი არც კი დაელოდა, რას იტყოდნენ მისი რესპონდენტები და თავადვე დაასკვნა, რომ ეს ყოველივე საქართველოში „კრემლის რბილი ძალის გავლენაა“.

პოლიტიკოსებიც, არასამთავრობოების წარმომადგენლებიც და ჟურნალისტებიც უკვე დაუფარავად ლანძღავენ ქართველ საზოგადოებას იმისთვის, რომ მათ დიდ ნაწილს არ სურს ნატოში შესვლა, „მისტირიან“ საბჭოთა კავშირს და მიაჩნიათ, რომ მაშინ უკეთ ცხოვრობდნენ, ვიდრე დღეს.

ინგა და მისნაირები უაპელაციოდ გვიმტკიცებენ, რომ ეს ადამიანები ჩლუნგები და უაზროები არიან, არ აქვთ ტვინის ნასახი და მხოლოდ და მხოლოდ „რუსული პროპაგანდის“ გავლენის ქვეშ ყოფნის გამო ამბობენ იმას, რასაც ამბობენ. რას იზამ, იოლია, საკუთარი გაფარჩაკება ვინმე სხვას გადააბრალო. ამ შემთხვევაში ყველაზე ხელსაყრელი „გადასაბრალებელია“ კრემლი, რუსეთი და პუტინი. ამიტომაც არის, რომ, რაც უნდა დასაბუთებულად უპასუხო, ფაქტები დაუდო, თვალნათლივ დაანახვო მათ, რომ სინამდვილეში საქართველოში არავითარი რუსული პროპაგანდა არ მუშაობს და ქართველების ნაწილი რეალურად, ალალად ფიქრობს ასე, ისინი მაინც ჯიუტად გაიმეორებენ თავისას.

არადა, **რა არის გასაკვირი იმაში, რომ ხალხის მნიშვნელოვან ნაწილს საბჭოთა კავშირის პერიოდი ურჩევნია დღევანდელს? ადამიანს სახლს რომ დაუნგრევ, ქოხი მაინც ხომ უნდა აუშენო?! ამ ადამიანებს კი კარგი, გამართული, თბილი სახლი დაუნგრიეს და მის მაგივრად ხუხულაც არავინ შესთავაზა.**

**თუკი მოსკოვისა და პუტინის მითითებაა საქართველოში ნარკოტიკებთან ბრძოლა, მაშინ «მიდი, პუტინ, მიდი!»**




ახლა კი იმას, რომ ადამიანებს სახლი ურჩევნიათ ხუხულას, ვიღაცის „პროპაგანდას“ მივაწერთ და გვიხარია. ეს პროპაგანდა კი არა, რეალობაა და, რაც უფრო ჯიუტად ვიტყვით უარს რეალობის გააზრებაზე, მით უარესი, ცუდი შედეგები დადგება ჩვენთვისაც და ქვეყნისთვისაც.

ბოლოს, კიდევ ერთხელ გავიხსენებ „ბასიანის“ სპეცოპერაციის ფაქტს და მკითხველს იმ ფოტოსაც შევთავაზებთ, რომელზეც „ბასიანელებს“ საჯაროდ აქვთ გამოტანილი ტრანსპარანტები: „სტოპ მოსკოვ!“, „სტოპ პუტინ!“.

თუკი მოსკოვისა და პუტინის მითითებაა საქართველოში ნარკოტიკებთან ბრძოლა, მაშინ „მიდი, პუტინ, მიდი!“

**ბაკურ სვანიძე**

# უშნოდ აჭეხილი «თეთრი ხმაური»

**„თეთრ სიკვდილს“ აქამდე ნარკოტიკებს უწოდებდნენ, ახლა ორგანიზაცია „თეთრი ხმაური“ დააარსეს საქართველოში ნარკოტიკების ლეგალიზების მიზნით და საზოგადოებას თვალში ნაცარს აყრიან — ნარკოლიბერალიზაციისთვის ვიბრძვითო. აქციებიც მოგვიწყვეს თბილისის გულში.**



ამათ თავისუფლება, რაც მინდა, იმას გავაკეთებო, ასე ესმით. ნურავინ ჰგონია, რომ აქციებზე შეკრებილები ჩვენი ახალგაზრდობის სახეს წარმოადგენენ. იქ მყოფთა შორის ნარკომანები 30-35 პროცენტი თუ იქნებოდა, დანარჩენები კი ცნობისმოყვარეობის გამო იყვნენ მისულნი. აბა, ჩაატარონ აქციები სადმე გარეუბანში და ნახონ, თუ ვინმე მივა.

**ეს ყველაფერი გარედან იმართება იმ ძალების მიერ, რომელთა მიზანია თავიანთი გავლენის გაძლიერება საქართველოში, შინაგან საქმეთა სტრუქტურებისთვის სახელის გატეხვა და ა.შ. საქმე იქამდე მივიდა, რომ მალე ყველას დაეკარგება შინაგან საქმეთა სისტემაში მუშაობის სურვილი. მე, მაგალითად, მინისტრობაც რომ შემომთავაზონ, უარს ვიტყვი. იმიტომ დავიწყო მუშაობა ამ პოსტზე, რომ ნერვები მომეშალოს და ამერიკის ელჩს დავეკითხო, როგორ მოვიქცე?!**

„თეთრი ხმაურის“ აქცია და, საერთოდ, ეს მოძრაობა, დიდი ხანია, გარედან ფინანსდება, რადგან „დაბოლილი“ თაობა ადვილად სამართავია. კარგია უცხოეთში თავისუფალი გასვლა, მაგრამ ვინ სარგებლობს ამ სიკეთით? — ვინც გაჭირვებულია და შემოსავალს ეძებს, ვინც ოპოზიციურად არის განწყობილი ხელისუფლების მიმართ, უცხო ქვეყანაში მკვიდრდება. აქ დარჩენილებს კი არჩევნების დროს იქით წაიყვანენ, საითაც მოინდომებენ. საბოლოოდ ქვეყანაში ჩამოყალიბდება ორი ძალა — ორი მთავარი პარტია, რომლებიც რიგრიგობით მოვლენ ხელისუფლების სათავეში.

ესაა სიმართლე.

აქციაზე გაშლილი კარვები მეორე დილას პოლიციამ რომ აიღო, კარგია. მე, მაგალითად, გაშლის ნებასაც არ მივცემდი. თორემ, ხომ ვნახეთ, როგორ გათავხედდნენ — გამოდის **ბოკერიას** ცოლის ტელევიზიის წამყვანი **კოვზირიძე** და მოუწოდებს აქციის მონაწილეებს, არ დაიშალოთო და უშვერი სიტყვებით აგინებს მთავრობასა და ხელისუფლებას. მოჰკითხეს რამე? — არა. ესაა სიტყვის თავისუფლება? ჩაუბი მანქანას და პირველი სიჩქარით მიათრიე ქალაქის სასამართლოსთან. მე შეიძლება რადიკალურად ვმსჯელობ, მაგრამ ასე მოვიქცეოდი.

გააკეთებენ ასე? — არ გააკეთებენ, რადგან ამას სჭირდება ვაჟკაცი კაცი. იცით, როგორი? აი, ამერიკის ელჩი რომ დაურეკავს და აქ მოდიო, ეტყვის, ეს კი უპასუხებს, არა მცალია, ჯერ აზერბაიჯანის ელჩს უნდა შევხვდეო.

იცით, რა დამოკიდებულება მაქვს ნარკომანებისა და მამათმავლების მიმართ?

პირდაპირ გეტყვით: ეს არის ქვეყნის ბალასტი. რაც მათ ცხვირში, ყურებში და სხვაგან რკინა აქვთ გაყრილი, რომ მოკრიბო, ქვეყანა „ჯართის გეგმას“ გადაჭარბებით შეასრულებს.

**ავთანდილ ენუქიძე,**
**ბიზნესმენი**

„ბატონ“ ბიძინას, როგორც ჩანს, დაავიწყდა, რომ იგი დანაშაულში ამხილეს არა მხოლოდ რიგითმა სასულიერო პირებმა, არამედ დეკანოზებმა და ეპისკოპოსებმაც, რომლებმაც კონკრეტულად მიუთითეს, საიდან მოიპარა ბ. კერატიშვილმა მისი ბინიდან ჩხრეკის შედეგად ამოღებული სხვადასხვა საეკლესიო ნივთი“.

ახალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საპატრიარქო კარის თამაშები

## როგორ ებრძოდა საქართველოს პატრიარქს მიტროპოლიტი გაიოზი და როგორ ცდილობდა ოქროს ჯვრისა და ზურმუხტების გაყიდვას

**განვაგრძობთ საუბარს გენერალ-მაიორ ვახტანგ გვარამიასთან. ის ამჯერად წილკნელი მიტროპოლიტ გაიოზის (ბიძინა კერატიშვილის) კრიმინალურ საქმიანობაზე გვესაუბრება. თემა ამჟამადაც ძალიან აქტუალურია. 1970-იანი წლების ბოლოს პატრიარქისა და საპატრიარქოს წინააღმდეგ ისევე იბრძოდნენ, როგორც დღეს. ჩანს, პატრიარქის ტახტისთვის ბრძოლა ახალი ამბავი არ არის, არც ის არის ახალი, რომ ზოგიერთი მიტროპოლიტი სახელს უტეხს ეკლესიას.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №12-16 (436-440)



მიტროპოლიტი გაიოზი

**«ზ. გამსახურდიამ მიამბო, რომ კერატიშვილმა ირგვლივ შემოიკრიბა მისნაირი მამათმავლები, ეწეოდა გარყვნილ ცხოვრებას, სარგებლობდა იმ დროს საპატრიარქოში არსებული სრული უკონტროლობით, პატრიარქ ეფრემ მეორის მისადმი გამოცხადებული ნდობით და ძარცვავდა ტაძრებს, ნაძარცვს კი საზღვარგარეთ ყიდდა, რის შესახებაც მან ოფიციალურად აცნობა ხელისუფლებას. ჩვენი საუბარი დაახლოებით 40 წუთს გაგრძელდა, ზ. გამსახურდიამ წაიღო განაჩენი და ჩვენ დავშორდით. მას შემდეგ ჩვენ ერთმანეთს აღარ შევხვედრივართ»**

„**ბ. კერატიშვილი,** როგორც კაგებე-ს აგენტი, კარგად იყო გათვითცნობიერებული ამ სისტემის მუშაობაში. ამაზე მიუთითებს მისი განმარტება: „ანალიზის საფუძველზე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეკლესია და **ზვიად გამსახურდია** კაგებეს სხვადასხვა განყოფილებისგან კონტროლდებოდნენ, რაც ამ განყოფილებებში, მათი მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, გარკვეულ წინააღმდეგობებს, მუშაობაში ურთიერთხელისშეშლას, ერთმანეთის საქმეში ჩარევას და სხვა სახის სირთულეებს ქმნიდა“. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კერატიშვილი ორივე განყოფილებას აწვდიდა ინფორმაციას და მათ შორის — ზვიად გამსახურდიაზეც.

**თავის დასაცავად და იმის დასამტკიცებლად, რომ იგი არ იყო კაგებეს აგენტი, კერატიშვილი მიმართავს ძველ, ნაცად ხერხს — აგენტებად აცხადებს იმ პიროვნებებს, რომლებიც, ისევე, როგორც ზ. გამსახურდია, ღიად და ოფიციალურად ამხელდნენ მას საეკლესიო ქონების მითვისებაში, მის საზღვარგარეთ გატანაში, გაყიდვაში და ამორალურ ქმედებებში.**

გაუგებარია, რატომ ხდის ბ. კერატიშვილი სადავოდ იმ გარემოებას, რომ პირველად ოფიციალურად ზ. გამსახურდიამ ამხილა იგი ეკლესიის ძარცვაში. ეს ინფორმაცია ცნობილი გახდა ზვიად გამსახურდიასთვის, რომელმაც ის, მის ხელთ არსებულ სხვა მასალებთან ერთად, გამოაქვეყნა უცხოურ პრესაში. იმ პერიოდისთვის საპატრიარქოსთან დაახლოებული მრევლი და ნებისმიერი პატიოსანი მღვდელმსახური მოწმე იყო იმისა, როგორ იძარცვებოდა საქართველოს ეკლესია, რადგან ეს ხდებოდა თითქმის დაუფარავად და ბ. კერატიშვილს იმდენად დიდი გავლენა ჰქონდა **ეფრემ მეორის** კარზე, რომ, იმის შიშით, კერატიშვილი ეკლესიიდან გაგვაგდებსო, მის მხილებას ვერავინ ბედავდა.

რატომ უკვირს ბ. კერატიშვილს, რომ, გამსახურდიას გარდა, მას სხვა საეკლესიო და სამოქალაქო პირები, მათ შორის, საქართველოში პირველი თაობის დისიდენტი, ქალბატონი **ვალენტინა ფაილოძე** და სხვები, რომ ამხელდნენ დანაშაულში? გასაკვირი არ არის, რომ მისი დაჭერის ინიციატორად ვ. ფაილოძესაც მიაჩნია თავისი თავი.

**ინტერვიუში ბ. კერატიშვილი „სინანულით“ აღნიშნავს, რომ ზვიად გამსახურდია მოსპო კაგებემ. ეს მისი მხრიდან ფარისევლობის მწვერვალია, იმიტომ, რომ თვითონ იყო ამ ორგანიზაციის ინფორმატორი და ვერ იტანდა ზ. გამსახურდიას. ეს არ დაუმალავს სასამართლო სხდომაზეც. სასჯელის მოხდის შემდეგ, როდესაც მისი ნათესავის, ადვოკატ ელგუჯა კერატიშვილის, თხოვნით შევხვდით ერთმანეთს ჩემთან, სამსახურში, მისაყვედურა, რომ ზ. გამსახურდიას მითითებით დავსაჯე ასე მკაცრად.**

მე მას შევახსენე, რომ მართალია, ზ. გამსახურდიამ ამხილა იგი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ძარცვასა და მამათმავლობაში, მაგრამ მის დაპატიმრებასა და დასჯასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა, თუნდაც იმიტომ, რომ თავადაც სასჯელს იხდიდა. ბ. კერატიშვილი დაისაჯა კანონით, ხელისუფლების ყოველგვარი ჩარევის გარეშე. **გათავხედებულმა კერატიშვილმა სცადა ჩემი შეურაცხყოფა, რის გამოც ჩემგან საკადრისი პასუხი მიიღო. პირდაპირ ვუთხარი, რომ მისნაირი ქურდი და მამათმავალი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ღვთის სამსახურში; რომ იგი არცხვენდა მართლმადიდებელ სარწმუნოებას და ქართულ ეკლესიას; თან დავუმატე, რომ, თუ არ გაჩერდებოდა, შევამოწმებინებდი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზაზე.**

როდესაც ბ. კერატიშვილი მიხვდა, რომ გავაგდებდი, კაბინეტიდან თვითონ გავარდა. იმავე დღეს დაწერა ჩემზე საჩივარი და მიუტანა იუსტიციის მაშინდელ მინისტრს, აწ განსვენებულ **ვიქტორ შარაშენიძეს**, რომელსაც მეორე დღეს მივეცი განმარტება ამ კონფლიქტის შესახებ. მე ისიც მოვახსენე მინისტრს, რა ეპითეტებით შევამკე „ბატონი“ ბიძინა. ეს ადამიანი იმდენად ოდიოზური ფიგურა იყო, რომ მისი საჩივარი რეაგირების გარეშე დარჩა. საინტერესოა, რატომ არ იხსენებს ბ. კერატიშვილი ამ შეხვედრას. რა თქმა უნდა, **როგორც მოსამართლეს, მეტი მოთმინება უნდა გამომეჩინა, მაგრამ ძნელი იყო ამ ამაზრზენ და გარყვნილ პიროვნებასთან საუბარი. ყველა ადამიანს თავისი შეხედულება აქვს სექსუალური უმცირესობების მიმართ, მაგრამ, როდესაც ასეთი პიროვნება არის სასულიერო პირი, მას არ აქვს უფლება, ილვაწოს ეკლესიაში.**

კერატიშვილის თავხედობა იქამდეც მივიდა, რომ ინტერვიუში აღნიშნავს: „მისი (ე.ი. გამსახურდიას) და ჩემი დაპატიმრება ერთ წარმომავლობაზე მეტყველებს“. არა მგონია, ამ სიტყვების ავტორს დავიწყნოდა, რისთვის დააპატიმრა კაგებემ ზვიად გამსახურდია და რისთვის დააპატიმრა მილიციამ კერატიშვილი. არ მინდა, გადავღალო მკითხველი, მაგრამ შევახსენებ, რომ **ზ. გამსახურდია დააპატიმრეს, როგორც დისიდენტი, რომელიც ებრძოდა საბჭოთა წყობილებას, ხოლო კერატიშვილი, როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მძარცველი, რომელსაც გაჰქონდა საგანძური საზღვარგარეთ გასაყიდად, და როგორც ამორალური პიროვნება. ახლა მკითხველმა განსაჯოს, არის თუ არა ამ ორ პიროვნებას შორის განსხვავება და უფლება აქვს თუ არა კერატიშვილს, თავი გაუტოლოს გამსახურდიას.**

ბ. კერატიშვილთან დაკავშირებით, მინდა, გავიხსენო ჩემი შეხვედრა ზვიად გამსახურდიასთან, რომელიც, თუ არ ვცდები, 1979 წლის შემოდგომაზე შედგა. მისი პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ მე დამირეკა ჩვენი ოჯახის ახლობელმა, პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლექტორმა **მარინა ჟიჟიამ**, რომელიც მეგობრობდა გამსახურდიების ოჯახთან და, მიუხედავად ზვიადის დევნისა, დაუფარავად აგრძელებდა ამ ოჯახთან ურთიერთობას. მან მოკრძალებით მთხოვა, შევძლებდი თუ არა „სუკის“ მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი ზ. გამსახურდიას მიღებას და მისთვის კერატიშვილის განაჩენის გადაცემას. ჩვენ შევთანხმდით, რომ მეორე დღეს იგი მოვიდოდა ქალაქის სასამართლოში. დათქმულ დროს შევხვდი ზ. გამსახურდიას ჩემს სამუშაო ოთახში. სანამ მდივანი გაამზადებდა განაჩენის ასლს, ვისაუბრეთ ამ საქმეზე. მისგან პირადად შევიტყვე მისი დამოკიდებულება „ბატონი“ ბიძინას მიმართ. ახლა დაწვრილებით ჩვენი საუბრის შინაარსზე არ შევჩერდები, მას ჰქონდა უაღრესად ნეგატიური დამოკიდებულება კერატიშვილის პერსონისადმი. **ზ. გამსახურდიამ მიამბო, რომ კერატიშვილმა ირგვლივ შემოიკრიბა მისნაირი მამათმავლები, ეწეოდა გარყვნილ ცხოვრებას, სარგებლობდა იმ დროს საპატრიარქოში არსებული სრული უკონტროლობით, პატრიარქ ეფრემ მეორის მისადმი გამოცხადებული ნდობით და ძარცვავდა ტაძრებს, ნაძარცვს კი საზღვარგარეთ ყიდდა, რის შესახებაც მან ოფიციალურად აცნობა ხელისუფლებას. ჩვენი საუბარი დაახლოებით 40 წუთს გაგრძელდა, ზ. გამსახურდიამ წაიღო განაჩენი და ჩვენ დავშორდით. მას შემდეგ ჩვენ ერთმანეთს აღარ შევხვედრივართ.**

ბ. კერატიშვილი აცხადებს: „ალადაშვილმა, რომელმაც სრულიად უსაფუძვლოდ, ზემოდან დაკვეთით, ცრუ მოწმეთა და დასმენითი ჩვენებების საფუძველზე 15-წლიანი პატიმრობა გამომიტანა და მით უფრო, უმძიმესი ბრალდებით — ეროვნულ-ისტორიული ღირებულების მქონე საეკლესიო განძის დატაცება, რაც სასიკვდილო ბრალდებაა!“

კერატიშვილი ვერ უარყოფს იმას, რომ სასამართლო პროცესზე მის წინააღმდეგ გამოდიოდნენ საეკლესიო პირებიც, რომლებიც მას ქურდობაში ამხელდნენ. ამ ფაქტს ის იმით ხსნის, თითქოს მათი ნაწილი „სუკის“ აგენტი იყო, ზოგი დაშინებული იყო უშუალოდ ჩემ მიერ, ზოგი ხელისუფლების მხრიდან, ხოლო ზოგს პირადი შური და პირადი ანგარიშსწორება ამოძრავებდა. „ეს უკანასკნელი ფაქტორი ძალზე მარჯვედ და ოსტატურად იყო გამოყენებული ალადაშვილის და თვით ყველაზე პრიმიტიული იაფფასიანი საეკლესიო ინტრიგებიც კი ძიების მასალებში ჩართო და მტკიცებულებათა სახე მიანიჭა“, — ამბობს კერატიშვილი. ის აცხადებდა: „რომ სასამართლო სხდომა მიმდინარეობდა დახურულ რეჟიმში, იმიტომ, რომ ის საშინელება და ძალადობა, რასაც ალადაშვილი ახდენდა მოწმეებზე, ადვოკატზე თუ ჩემზე — გარეთ, საზოგადოებაში არ გახმაურებულიყო“.

**„ბატონ“ ბიძინას, როგორც ჩანს, დაავიწყდა, რომ იგი დანაშაულში ამხილეს არა მხოლოდ რიგითმა სასულიერო პირებმა, არამედ დეკანოზებმა და ეპისკოპოსებმაც, რომლებმაც კონკრეტულად მიუთითეს, საიდან მოიპარა ბ. კერატიშვილმა მისი ბინიდან ჩხრეკის შედეგად ამოღებული სხვადასხვა საეკლესიო ნივთი.** ამაზე ქვემოთ დეტალური მსჯელობა გვექნება. ეს თუ იაფფასიანი მტკიცებულებებია, მკითხველმა განსაჯოს. ბ. კერატიშვილს იმასაც შევახსენებ, რომ სასამართლო პროცესი ჩატარდა უზენაესი სასამართლოს ყველაზე დიდ დარბაზში და, მიუხედავად იმისა, რომ დასაჯდომი ადგილები დამსწრე საზოგადოებას არ ჰყოფნიდა, უამრავი ადამიანი საათობით ფეხზე იდგა. ყოველ პროცესს დაახლოებით 200 ადამიანი ესწრებოდა, მათ შორის, ჟურნალისტებიც. დარბაზში ხალხი არ ეტეოდა. დაცვის ფუნქციას ასრულებდა სასამართლოს ორი-სამი თანამშრომელი, რომლებიც იდგნენ კართან და ხალხის ნაკადს ძლივს აკავებდნენ. თუ ბ. კერატიშვილს დავუჯერებთ, ასეთ „დახურულ რეჟიმში“ იმიტომ მიმდინარეობდა პროცესი, რომ საზოგადოებაში არ გახმაურებულიყო ის საშინელი ძალადობა, რომელსაც მე ვახდენდი მოწმეებზე, ადვოკატზე თუ თვითონ კერატიშვილზე.

ბ. კერატიშვილს მის მიმართ გამოტანილი განაჩენი უკანონოდ და დაუსაბუთებლად მიაჩნია. იგი აცხადებს: „ჯერჯერობით სახეზეა ალადაშვილის ხელმოწერით არსებული განაჩენი, რაც ერთი გადაკითხვისთანავე სერიოზულ ეჭვს ბადებს მოსამართლის კვალიფიკაციაზე, მის ობიექტურობაზე და კეთილსინდისიერებაზე, მე ამის უამრავი სამხილი გამაჩნია“. ის, ასევე ბრალს დებს იმავეში უზენაეს სასამართლოს და აცხადებს: „როგორ შეიძლება ვინმემ ილაპარაკოს ამ განაჩენის კანონიერებაზე, როცა იგი ზემდგომ ინსტანციაში სერიოზულად არც კი განხილულა?!“

იძულებული ვარ, რაც შეიძლება მოკლედ მოვიყვანო ის მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურებულია მის მიერ დაჩენილი მძიმე დანაშაული.

თავიდან — მოკლე ექსკურსი ბ. კერატიშვილი პიროვნების შესახებ: კერატიშვილი წერს: „დაინტერესებული პირების მიერ გავრცელებული ხმები, თითქოს მე წერა-კითხვის უცოდინარი ვიყავი და თითქოს გავირიცხე უნივერსიტეტიდან და სემინარიიდან, მტკნარი სიცრუეა“.

აქ ის აშკარად ცრუობს. **არ ვიცი, გაუვრცელეს თუ არა „ბატონ“ ბიძინას ხმები, რომ ის იყო წერა-კითხვის უცოდინარი, რასაც არც მე ვეთანხმები, მაგრამ, რომ გარიცხეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების მეორე კურსიდან აკადემიური ჩამორჩენისთვის, სიმართლეა.**

ისიც სიმართლეა, რომ 1969 წლის სექტემბერში კერატიშვილი ჩაირიცხა მცხეთის სასულიერო სემინარიაში, მაგრამ სწავლის დაწყებიდან ერთი თვის შემდეგ შესთავაზეს წინადადება, პირადი სურვილით დაეტოვებინა სემინარია, მის მიერ ცხოვრების არსებული წესების დარღვევის გამო. ვფიქრობ, მკითხველი თავად მიხვდება, „ცხოვრების“ რა წესების დარღვევის გამო აიძულეს იგი, დაეტოვებინა სემინარია. ყოველივე დადასტურებულია სისხლის სამართლის საქმეში არსებული მასალებით და არა ჭორის დონეზე, როგორც ამის წარმოჩენა უნდა ბ. კერატიშვილს. ეს არის რეალობა და არა მითი“.

(გაგრძელება იქნება)

მოამზადა
ეკა ნასყიდაშვილმა

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„ამხ. სტალინმა წიგნი (მისი ის ნაწილი, რომელიც ერეკლეს შეეხებოდა) გადაშალა, თითქოს იგონებსო წანაკითხს, და თქვა: „НЕТ, ИРАКЛИ ТУТ ПОКАЗАН ДОСТАТОЧНО ПОЛНО И ПРАВИЛЬНО“. რას მოწმობს ეს? — იმას, რომ ერეკლე ისეთ მოღვაწედ მიაჩნდა, ისეთ პროგრესულ მოღვაწედ, როგორიც სააკაძე იყო, და ამაში უპირატესობას ერეკლეს ანიჭებდა“.**

დასასრული. დასაწყისი იხ. №13-16 (437-440)

# სტალინი და საქართველო

# როგორ იწერებოდა საქართველოს ისტორია

**22.10. დილა.** მე და სიმონი ავდექით. ადრე გვგონია. ამხ. სტალინი, დიდი ხანია, ამდგარა. ეზოში გამოსულა. ამხ. კანდიდი ახლავს. სტალინი ციტრუსოვან მცენარესთან დგება, რაღაცას აჩვენებს. პალტო აცვია (არა ფორმის), სამხედრო ქუდი ჰხურავს, მიმოდის და ხალისიანად საუბრობს. ცოტა ხნის შემდეგ მათ ექიმი **წინამძღვრიშვილი** შეუერთდა (ამხ. სტალინს დაენახა და გამოეხმო). კეგლის შენობაში შევიდნენ. სტალინმა ბურთი ისროლა. შემდეგ ბილიარდი ეთამაშა... გამობრუნებულმა ჩვენს ოთახზე გამოიარა. „ვრი გლე ჭ მხ არლსთო“-ო, — მოგვესალმა.

სასაუზმოდ წავედით.

* * *

მახსოვს, ბელადთან სიტყვა ჩამოვარდა **გიორგი სააკაძესა** და **ერეკლეზე.** სააკაძეს ბელადი მეტისმეტად ცეცხლიანობას აღუნიშნავდა, ჯიქურ მოქმედებას და ამ ნიადაგზე პოლიტიკურ შეცდომებს მიაწერდა, მაგრამ **აშკარად ჩანდა, რომ დიდ მოურავს სიმპათიით უყურებდა. საუბრისას საკითხი დაისვა (ვგონებ, წინამძღვრიშვილმა დასვა), ვინ უფრო მნიშვნელოვანია — სააკაძე თუ ერეკლე. ამხ. სტალინი დუმდა, სხვებიც (სიმონი, კანდიდი) დუმდნენ. მე უნდა მეპასუხნა. ამათი მნიშვნელობა-შედარებაც ძნელია, რა თქმა უნდა, ერეკლე უფრო მნიშვნელოვანია-მეთქი. და დაჯერებული ვუცდიდი, რას იტყოდა ბელადი. „ПРАВИЛЬНО“, — არ დააყოვნა მან.** ამას მოყვა ახალი „გამოხდომა“ წინამძღვრიშვილის მხრით: აქ (სახელმძღვანელოში) ერეკლე ვერ არის საკმაოდ რელიეფურად ნაჩვენებიო. დავდუმდით ყველანი და ვუცდიდით, რას იტყოდა ბელადი (ჩემი გულისხეთქვა გასაგებია). **ამხ. სტალინმა წიგნი (მისი ის ნაწილი, რომელიც ერეკლეს შეეხებოდა) გადაშალა, თითქოს იგონებსო წანაკითხს, და თქვა: „НЕТ, ИРАКЛИ ТУТ ПОКАЗАН ДОСТАТОЧНО ПОЛНО И ПРАВИЛЬНО“. რას მოწმობს ეს? — იმას, რომ ერეკლე ისეთ მოღვაწედ მიაჩნდა, ისეთ პროგრესულ მოღვაწედ, როგორიც სააკაძე იყო, და ამაში უპირატესობას ერეკლეს ანიჭებდა;** იმას, რომ ერეკლე „დამპყრობელ-დამმონებელი“, „ხელმწიფე-მხედართმთავარი“, ხალხის მტერი და მისგან მოწყვეტილი კი არ ყოფილა (რომელთა შესახებ მას საუბარი აქვს თავის მოკლე კურსის 116-ე გვერდზე), არამედ პროგრესული მოღვაწე, რომელმაც თავისი ძალ-ღონე საქართველოს, მისი მწარმოებელი საზოგადოების დაცვას, გადარჩენას, აღდგომას და გამოხსნას შეალია... ასე რომ, ყველა მეფე ის „კაროლი“ როდია, ქვეყნებს რომ იპყრობს... და ისტორიკოსს, მოწოდებულს, იკვლიოს წარმოებისა და მწარმოებელი საზოგადოების ისტორია, კი არ ეკრძალება, ასეთი „მეფეების“ ისტორია იკვლიოს, არამედ ის მოვალეა, იკვლიოს ამ „მეფეების“ ისტორია მწარმოებელი საზოგადოების თავგადასავალთან ერთად, იმდენად, რამდენადაც იკვლევს თავის ამ მწარმოებელ საზოგადოებას...

ამხ. სტალინის ერთი ისტორიული გამონათქვამისთვის: **„Перекрыть“** — ამხ. სტალინის ამ ფორმულის მართებულად გასაგებად აუცილებელია, გვახსოვდეს მისი სახელმძღვანელო პრინციპი ისტორიულ აზროვნებაში: **ისტორია კლასთა ბრძოლაა** (საუბარია კლასობრივ საზოგადოებაზე). ყველაფერი ის, რაც ხელს უწყობს კლასობრივი ბრძოლის გაფართოებას, გაღრმავებას, ე.ი., საზოგადოების პროგრესს, მისაღებია, სასურველია (ასეთია, მაგალითად, ფეოდალური ურთიერთობის წარმოქმნა მონათმფლობელობის დანგრევის შედეგად, ასეთი იყო ფეოდალური ურთიერთობის ბატონყმური საფეხურის წარმოქმნა, ასეთი იყო აბსოლუტიზმის სისტემის წარმოქმნა ფეოდალური დაქსაქსულობის მაგივრად, ასეთი იყო ბურჟუაზიული ურთიერთობის გამარჯვება ფეოდალურ ურთიერთობაზე და ა.შ.) და პირუკუ. აქედან ცხადია: ამ თვალსაზრისით უნდა შეფასებულ იქნას ყოველი კერძო, ისტორიული მოვლენა. კლასთა ბრძოლაში ამა თუ იმ კლასის მიერ ბრძოლის საშუალებად უცხო ძალისათვის მიმართვა, უცხო ძალის მოშველიება პრინციპულად დაუშვებელი სრულიადაც არაა და ჩვენის მხრით დაგმობა ყველგან და ყოველთვის სრულიადაც არ ხდება. **თუ ასეთი რამ ისეთ მიზანს ემსახურება, რომელიც საზოგადოებრივ პროგრესს ჰგულისხმობს (კლასთა ბრძოლის გაფართოება-გაღრმავება), ის დასაშვებია და, პირუკუ, უკანასკნელ შემთხვევაში ის დანაშაულია, ქვეყნის ღალატია** („ქვეყანას“, ჩვენი თალსაზრისით, კლასობრივი ურთიერთობის პირობებში ის კლასი ასახიერებს, რომელიც უპირატესად პროგრესის მატარებელია, რომლის გამარჯვება კლასობრივი ბრძოლის გაფართოება-გაღრმავებას ჰგულისხმობს), მაგრამ უცხო ძალის მოშველიებისას აუცილებელია ამ ძალის ბუნების გათვალისწინება. თუ ის მომხმობის მიზნებს ამართლებს, მისასალმებელია, მაგრამ, თუ ასეთი ძალა კლასთა ბრძოლის საფუძვლებს ავიწროებს და ანგრევს, მისი მომწვევი (მიზნისგან დამოუკიდებლად) შემცდარია. ასეთი შეცდომა ქვეყნის წინაშე დანაშაულს უდრის. პოლიტიკური მოღვაწის შეცდომა დანაშაულისაგან ძნელად გამოსაყოფია. V-VI საუკუნეებში აზნაურებმა სპარსელები მოიწვიეს და მეფის (ძველი) ხელისუფლება გადააშენეს; XI საუკუნეში აზნაურებმა ბიზანტიელები მოიწვიეს, **ბაგრატ IV-მ** ლაშქარნი წარმართნი მოიწვია, **გიორგი XI-მ** — თურქები, **დავით აღმაშენებელმა** — ყივჩაღები. ეს არის „მოწვევის“ ყველაზე მკაფიო მაგალითი, რომელიც პრინციპული კამათის საგანი გამხდარა დავითის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის. მომწვევმა დავითმა კი „აღმაშენებლის“ სახელი დაიმკვიდრა“. გიორგი სააკაძემ სპარსელები მოიწვია და ესეც პრინციპული კამათის საგანი გახდა, მაგრამ, აღმაშენებლისგან განსხვავებით, მაბრალობელთ აქ ის უპირატესობა ჰქონდათ, რომ „მოწვეულმა“ **შაჰ-აბასმა** საქართველო ამოაგდო, მაშინ, როცა დავითმა მოწვეული ყივჩაღებით საქართველო „ააშენა“. ასევე იწევდნენ **გიორგი III**-ის წინააღმდეგ აჯანყებულნი თურქები, ხოლო გვიანფეოდალურ საქართველოში ასეთი მოწვევა ოსმალებისა მთავრობის თუ თავადების მიერ ჩვეულებრივი ამბავი იყო. **ათაბაგი, გურიელი, რაჭის ერისთავი, აბაშიძე, გივი ამილახორი, აბდულა ბეგი, ქსნის ერისთავები, ალექსანდრე ბატონიშვილი ბაქარის ძე, ალექსანდრე II კახთა მეფე, თეიმურაზ, ვახტანგ IV რუსებს იწვევდნენ არა მხოლოდ ოსმალ-სპარსთა წინააღმდეგ, მით უფრო, ერეკლე და სოლომონ I. ორივეს მიზანი იყო — „ПЕРЕКРЫТЬ ВНУТРЕННЮЮ СЛАБОСТЬ“.** ერეკლეს შორსმჭრეტელობა აქაც შესამჩნევია: მოსაწვევ ძალას საკუთარი სარგებლობის თვალსაზრისით აფასებს და ცდილობს, ეს ძალა სასურველ საზღვრებში ჩააყენოს, რათა მაქსიმალურად სასარგებლოდ გამოიყენოს, ხოლო შესაძლებელი თუ აუცილებლად მოსალოდნელი ზიანი თავიდან აიცილოს. ეს იყო ტრაქტატი. ასე რომ, ერეკლემ უცხო ძალის მოწვევა პრინციპულად დასვა და უაღრესად პრინციპულად გადაწყვიტა. მან რეალურად გაითვალისწინა მოწვევის კარგი და სახიფათო მხარეები... მისი ანდერძის დამცველები ამ საქმეში იყვნენ **სოლომონ II, ბარათაშვილი, ჭავჭავაძე,** ხოლო მისი ანდერძის განმასახიერებელი — კომუნისტური პარტია და მისი ბელადი ამხ. სტალინი. **ტრაქტატი, ქართული თვალსაზრისით, მოწვეული ძალის საქართველოს სასარგებლოდ ალაგმვა იყო. ამდენადვე, მისი დარღვევა ამ ძალის აღვირახსნა იყო. მოწვევა დაპყრობადქცეული — ბოროტება...**

როცა ამხ. სტალინი რუსეთის წინაბურჟუაზიულ ცენტრალიზებაზე ლაპარაკობს და ამის ერთ-ერთ მიზეზად (რომელმაც ხელი შეუწყო გაერთიანება-ცენტრალიზების პროცესის დაჩქარებას) საგარეო ხასიათის ფაქტს (მონღოლთაგან თავდაცვის აუცილებლობას) ხედავს, ეს იმ ღრმა რეალურ-ისტორიული ნათელჭვრეტის შედეგად მიღებული დებულებაა, რომელიც ამხ.სტალინმა არაერთხელ გამოთქვა“ „Перекрыть“-ის სახით (წერილი ბოლშაკოვს. საუბრის დროს ჩვენთან) და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ საგარეო ხასიათის ფაქტების გამიჯვნა საშინაო ფაქტებისგან, საგარეო ფაქტების მოწყვეტა ქვეყნის შინაგანი განვითარებისგან ისტორიაში შეუძლებელია და უმართებულო, რომ საზოგადოების **ისტორია არაა მხოლოდ საშინაო ფაქტების ურთიერთმოქმედების შედეგი, ისევე, როგორც ეს ისტორია არც საგარეო ხასიათის მოვლენათა შედეგია მხოლოდ, რომ საგარეო ხასიათის მოვლენები ისევე ანგარიშგასაწევი გარემოებაა, როგორც საშინაო ხასიათის მოვლენები, თუმცა საბოლოოდ განმსაზღვრელი ძირითადი საშინაო ხასიათის მოვლენებია. ამხ. სტალინის ეს დებულება გასაღებს გვაძლევს საქართველოს ერთი ურთულესი საკითხის მართებულად გასაგებად. ეს გახლავთ საკითხი იმის შესახებ, როგორ უნდა გავიგოთ, ანუ რას ნიშნავს ფაქტი საქართველოს პოლიტიკური დაშლისა XV-XVI საუკუნეებში.** მართლაცდა, ეს იყო ისეთივე მოვლენა, როგორიც იყო დაშლა კიევის რუსეთისა, ე.ი. იყო ეს ფაქტი იმის მაჩვენებელი, რომ საქართველო განვითარების შედეგად, სოციალური წარმატების შედეგად დაიშალა. მაშინ გამოვიდოდა, რომ კიევის რუსეთი უფრო დაწინაურებული ქვეყანა იყო, ვიდრე XII საუკუნის საქართველო, რომ XI-XIV საუკუნე ჩვენში იყო ადრეული ფეოდალიზმის ხანა...

შესანიშნავია: **დავითის ისტორიკოსი მოციქულებრივ საქმედ უთვლის თავის ხელმწიფეს (დავითს) უცხოქვეყნის დაპყრობას. მზად იყოო, რათამცა ყოველი ქვეყანა შეასაკუთრა ქრისტესაო (ნახე ტექსტი) და ამიტომაც მეორე პავლე იქმნაო. თამარის ისტორიკოსი კი ასეთ რამეს მომხვეჭელობად უთვლის მეფეს (აქ ის დავითს ჰგულისხმობს) და აქებს ის სამართლიან მეფეს, რომელიც კი არ იპყრობს** („შეასაკუთრებს ქრისტეს“), არამედ აღადგენს დაცემულსა და დაგლახაკებულ სახლს (აქ რომ იგივე „წარმართები“ და არა მაინცდამაინც ქრისტიანები იგულისხმებიან, ჩანს ჩამოთვლიდან: სახლი შორვანშეთი, დარუბანდელთა, კარნუქალაქელთა...) და სოლომონივით ბჭედა ზის შორი მათსა... ორი სრულიად საწინააღმდეგო ერთი



**«ეს სასკოლო სახელმძღვანელო უთუოდ იდგა საბჭოთა ისტორიული მეცნიერების განვითარების მაშინდელ დონეზე, კარგი და გასაგები ენით იყო დაწერილი და საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს ნათელ წარმოდგენას აძლევდა ჩვენი ხალხის წარსულის ძირითად ეტაპებზე. მიუხედავად ამისა, უკვე 1953 წელს მას უმართებულოდ აუხირდნენ და ხმარებიდან ამოიღეს»**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ისტორია არაა მხოლოდ საშინაო ფაქტების ურთიერთმოქმედების შედეგი, ისევე, როგორც ეს ისტორია არც საგარეო ხასიათის მოვლენათა შედეგია მხოლოდ, რომ საგარეო ხასიათის მოვლენები ისევე ანგარიშგასაწევი გარემოებაა, როგორც საშინაო ხასიათის მოვლენები, თუმცა საბოლოოდ განმსაზღვრელი ძირითადი საშინაო ხასიათის მოვლენებია. ამხ. სტალინის ეს დებულება გასაღებს გვაძლევს საქართველოს ერთი ურთულესი საკითხის მართებულად გასაგებად. ეს გახლავთ საკითხი იმის შესახებ, როგორ უნდა გავიგოთ, ანუ რას ნიშნავს ფაქტი საქართველოს პოლიტიკური დაშლისა XV-XVI საუკუნეებში“.**

◀ მეორის შეხედულება, ორი სრულიად საწინააღმდეგო ერთი მეორისაგან იდეოლოგია ორი ვითარების შესაბამისი:...

* ორბელები სპარსელებს იწვევენ დენას აჯანყების დროს გიორგის წინააღმდეგ **(რეაქცია);**

* ორბელების საქციელი მონღოლთა მოსვლისას (გადასვლა, მიყოლა, განდიდება);

* სადუნი;...

* გივი ამილახვარი თურქებით;...

* თეიმურაზ-ერეკლე ყიზილბაშებით;...

* გიორგი ბრწყინვალე მონღოლებით;...

* ოსები მეცამეტე საუკუნეში და ქართველი აზნაურობა.

* შანშე ერისთავი, მისი ძმისწული ზურაბი და ერეკლე, ქსნის ერისთვის შვილები, ლეკები და ერეკლე.

* აბდულაბეგი. ყიზილბაშები და ერეკლე.

* ალექსანდრე ბაქარის ძე, ალექსანდრე ამილახვრის ძე, ლეკები და ერეკლე.

* გარეშე ძალის გამოყენება კლასობრივ ბრძოლისას:

* უცხო ჯარების დაქირავება (ბაგრატ მეოთხე).

* უცხო ჯარების მოყვანა, შემოყვანა (ლიპარიტ).

* უცხო მხარეზე დადგომა (დიდი აზნაურები, კახელი გლეხების გალეკება, სოფლელი ერი).

* უცხო ბატონობის გამოყენება (მონღოლები, როსტომ ხანი, თეიმურაზი), პროგრესი, მისი პირობების უზრუნველყოფა — სახელმძღვანელო იდეა.

პრაქტიკა („Перекрыть“) ისტორიულ სინამდვილეში.

შესაძლებელია, არსად სხვაგან ეს პრაქტიკა ასე ხშირად არ მოეხმაროთ (საკუთარი ეროვნულის ზღვარის დაშლამდე), როგორც საქართველოში. ქართველის თვალში, ასეთ პირობებში ეროვნული გათავისუფლება ჩინურ კედლებს არასოდეს ამოფარებია, თუმცა ქართული პოლიტიკა, ძირითადად, რა თქმა უნდა, ქართული ეროვნული პრინციპებიდან (ფეოდალურად გაგებული), ქართველობიდან გამოდიოდა. ასეთ პირობებში შემუშავდა ის განსაცვიფრებელი ელასტიკური პოლიტიკა, რომელსაც ასე ბრწყინვალედ მოიხმარდნენ ქართველი პოლიტიკური მოღვაწენი და რაც რუს პოლიტიკოსებს „дьявольских дел мастер“-ობად ეჩვენებოდათ (ს. ლეონიძის დახასიათება). ალექსანდრე კახთა მეფე, გიორგი სააკაძე, ერეკლე, გივი ამილახორი, სოლომონ ლიონიზე მარტონი არ იყვნენ (ალბათ, გიორგი ბრწყინვალეც ამათი რიგისა იყო). ყველა ესენი თანაბრად მარჯვეთ ხმარობდნენ პრინციპს „აეპეკპძიტ“ ქართველობის დაცვის მიზნით.

სენტენცია: На этом пришествии с Симоном следует поучиться тому, как бывает опасно вмешивать чужеземцев в свои дела помощи себе или защиты. Тут ясно видно, что нет вещи сомнительно гадательно, чем доверие к ним, но обещания их, и что они дерзко пойдут на любое злодеяние, лишь бы присвоить себе чужие владения перекрыть.

ჩვენს ისტორიაში ცნობები იმის შესახებ, რომ მეფე თუ დედოფლები საურთიერთო ბრძოლისას უცხო ძალას მიმართავდნენ, არა მცირედი მოიპოვება (ლეონტიდან შემდეგ). პრინციპული დავის საგანიც, როგორც ჩანს, არაერთხელ გამხდარა ის. **უცხო ძალის გამოყენების რამდენიმე ფორმაა ჩვენში ცნობილი... ერეკლეს ტრაქტატი (მოწვეული ძალის ალაგმვა), პრინციპი მასზედ არა ნაკლებ ჰქონია გათვალისწინებული დავით აღმაშენებელს, როგორც ამას სრულიად საბუთიანად მოწმობს მისი ისტორიკოსი. დავითმა შეისწავლა ყივჩაყები, გაითვალისწინა შესაძლებლობანი, სარგებელი, რომელიც უნდა მოჰყოლოდა ქვეყნისათვის მათ მოწვევას და „ЧТОБЫ ПЕРЕКРЫТЬ ВНУТРЕННЮЮ СЛАБОСТЬ В БОРЬБЕ С ВНЕШНИМИ И ВНУТРЕННИМИ ВРАГАМИ“, გადაწყვიტა მათი გამოყვანა, მაგრამ ისე მოაწესრიგა მათი საქმე, რომ ისინი უშიშარნი იყვნენ საქართველოს განვითარებისათვის და მხოლოდ მის გაძლიერებას (შიგნით თუ გარეთ) ემსახურებოდნენ.** ამ პრინციპზე დგას ისტორიკოსი: ქვეყნის (საქართველოს) თავისუფლების დაცვა, მისი სახელმწიფოებრივი გაძლიერება (გაერთიანება, განვითარება). ამ პრინციპზე იდგა ერეკლე, ამ პრინციპზე იდგა სააკაძე (მაინცდამაინც ამას ჰგულისხმობენ თბილელი, არჩილი), მაგრამ იყვნენ მრავალნი, რომლებსაც ამ პრინციპისა არა ეცხოთ რა: ოსმალეთის მოპატიჟე მთავრები (დადიანები, გურიელები, ათაბაგები), თავადები (ამილახორი, ქსნის ერისთავი, აბაშიძენი, რაჭის ერისთავი).

ფეოდალური სახელმწიფო.

მტერს მოურიგდება თითო მთავარი (როცა ცენტრი უძლურია).

მტრის მხარეზე გადადის მთავარი (როცა ცენტრი ჯერ კიდევ იბრძვის).

მტერს შემოუძღვის ესა თუ ის მთავარი (და თავისიანებს ებრძვის).

„გვაროვნული წყობილება“ და „უცხო“.

უცხო მოჰყავთ, როცა გვარი დაშლის ტენდენციას იჩენს. ასევე იშვნენ დადიან-დადეშქელიანები, ყაზბეგები, ჯაფარიძენი.

წმინდა გვაროვნული წყობისას ასეთი საკითხი (Перекрыть) არ არსებობს... ის ჩნდება გვაროვნული წყობის რღვევის პროპორციულად. გვაროვნული წყობის ერთეულები ერთი მეორეში არც აირევიან.

მას შემდეგ, რაც გვარის მთლიანობა ირღვევა, მას შემდეგ, რაც კლასები ჩნდებიან ამ ნაძალადევ (კლასობრივ) საზოგადოებაში (წარმოშობით ის ბუნებრივია, ათასი ძაფით გადახლართული ტრადიციით, სარწმუნოებით) ადვილად ჩნდება ტენდენცია უცხოს მოხმარებისა ამა თუ იმ პირის, ჯგუფის მიერ. უცხოც ეხლა ისეთი აღარა ჩანს, როგორც ეს იყო ძველად (გვაროვნული წყობისას) განსაკუთრებით, თუ სარწმუნოებრივი ერთობაც არის, როგორც ეს იყო, ვთქვათ, დასავლეთში)“.



ივანე ჯავახიშვილი



ნიკო ბერძენიშვილი



სიმონ ჯანაშია

**«სტალინის მსჯელობით ისტორიის პრობლემებზე (იგონებს კ. ჩარკვიანი) განცვიფრებული დარჩნენ ჩვენი ისტორიკოსები, რომლებიც, ეტყობა, არ ელოდნენ, რომ მისი სახით შეხვდებოდნენ თავიანთ სპეციალურ დარგში ასე ღრმა ცოდნით შეიარაღებულ მოსაუბრესა და გამომცდელს»**



ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია

საქართველოს ისტორია

ნაწილი I

უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდ

**„სტალინის მსჯელობით ისტორიის პრობლემებზე (იგონებს კ. ჩარკვიანი) განცვიფრებული დარჩნენ ჩვენი ისტორიკოსები, რომლებიც, ეტყობა, არ ელოდნენ, რომ მისი სახით შეხვდებოდნენ თავიანთ სპეციალურ დარგში ასე ღრმა ცოდნით შეიარაღებულ მოსაუბრესა და გამომცდელს.**

სტალინი დიდ ინტერესს იჩენდა ქართული ენის საკითხისადმი და ყოველთვის ხაზს უსვამდა მის ღირსებებს. ის, მაგალითად, ხშირად გატაცებით ლაპარაკობდა ქართულ ზმნაზე და მეტად გასაგებად უხსნიდა რუს ამხანაგებსაც, რომ ქართულში მეტყველების ამ ნაწილის ერთი სიტყვა მკაფიოდ გამოხატავს მოქმედებას, რომლის გამოსათქმელად ევროპულ ენებს ოთხი-ხუთი სიტყვა სჭირდებათ. ასეთ შემთხვევებში სტალინს მაგალითისათვის მოჰყავდა სიტყვები: „გაუკეთებინებია“, „გაუშვებინებია“ და სხვა ამ ტიპის მრავალპირიანი ზმნები. ჩვენ ვისარგებლეთ სტალინის ინტერესით ქართული ენისადმი და საუბარში ფრთხილად ჩავურთეთ ფრაზა მარის ახალ თეორიაზე ენის შესახებ.

— **მარი დიდი მეცნიერი იყო, — თქვა სტალინმა, — მან ბევრი გააკეთა ენათმეცნიერების, ფილოლოგიის, ისტორიული მეცნიერებისთვის, მაგრამ მე არ მომწონდა მისი ნაწერების უბოდიშო ტონი, მისი რაღაც შინაურული დამოკიდებულება მარქსიზმ-ლენინიზმისადმი, რომლის არსი მას, ალბათ, კარგად არ ესმოდა.** ჩანდა, რომ საკითხი არ გვქონდა მომზადებული სტალინის წინაშე დასაყენებლად და მეც შევეცადე, საუბარი სხვა თემაზე გადაგვეტანა... სტალინი სტუმართმოყვარე და გულთბილი მასპინძელი იყო, კარგი გამასპინძლებაც იცოდა და სტუმრების შექცევაც წარმტაცი ისტორიების მოყოლით. იმ დღეებში, რაკი საქართველოდან ჩამოსული სტუმრები ჰყავდა, მათ შორის, მისი სკოლის ამხანაგიც, სუფრასთან საქართველოსა და მისი კულტურის თემებს დიდი ადგილი ეკავა.

სამეურნეო საკითხებიდან ამ შეხვედრისთვის მომზადებული მქონდა სამგორის საირიგაციო ენერგეტიკული კომპლექსის მშენებლობის საკითხი. საკავშირო საგეგმო კომისია უარს ამბობდა ამ მშენებლობის ომის შემდგომ პირველ ხუთწლედში შეტანაზე. სტუმრების თანდასწრებით სტალინს მოვახსენე სამგორის მნიშვნელობაზე თბილისის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით მომარაგების გასაუმჯობესებლად, ვუამბე, აგრეთვე, სამგორის ჰიდროსადგურებზე, რომლებსაც უნდა შეემსუბუქებინათ შემოდგომა-ზამთრის ელექტრული სიმძლავრის დეფიციტი საქართველოს ენერგოსისტემაში. სტალინი დაწვრილებით გაეცნო მორწყვის შემდეგ სამგორის მიწების კულტურების მიხედვით ათვისების პროექტს და, როცა ამ კულტურებში ბამბა ვერ ნახა, სერიოზულად გაჯავრდა:

— **თქვენ გინდათ, მსუბუქი კულტურებით გაიტანოთ თავი, ბამბა კი შუა აზიას, აზერბაიჯანსა და სომხეთს გადაულოცოთ, — მისაყვედურა სტალინმა, — სარწყავ სისტემებს ჩვენ, პირველ ყოვლისა, მებამბეობის რაიონებში ვაშენებთ. არ დათესავთ ბამბას, არ გექნებათ სამგორი.** მოიფიქრეთ დღეს და ხვალ თქვით, გინდათ თუ არა, გქონდეთ სამგორი.

ბოლო სიტყვებს სტალინმა ხუმრობის ელფერი მისცა. სამგორის მშენებლობა ომის შემდგომ პირველ ხუთწლედში მოხვდა. ჩვენი სტუმრობის მესამე თუ მეოთხე დღეს, როცა **წინამძღვრიშვილი** საკმაოდ დაუახლოვდა სტალინს, გათამამდა და სთხოვა მასპინძელს, ნება დაერთო, მისი გულის მდგომარეობა გაესინჯა.

— გული თავის ადგილზე მაქვს, — ხუმრობით უპასუხა სტალინმა, — მე მას არ ვემდური და ვერ დაგტვირთავთ ასეთი მძიმე საქმით. პასუხმა პროფესორი გვარიანად შეაცბუნა, მაგრამ სტალინმა ის რაღაც ხუმრობით გაამხნევა და მალე საერთო საუბარში ჩააბა. ...პარკში გასეირნებისას წინამძღვრიშვილმა მკითხა, უხერხული ხომ არ იქნება, სტალინს დახმარება ვთხოვოთ თბილისში ჩვენი აკადემიის სისტემაში კარდიოლოგიის ინსტიტუტის ან სექტორის დაარსებაში და მისი მოწყობილობის საზღვარგარეთიდან გამოწერაშიო. — ჩემთვის ეს ახალი საკითხია და მოუმზადებლად ვერ დავაყენებ, თქვენ კი, როგორც სტუმარსა და ბავშვობის მეგობარს, შეგიძლიათ სტალინს ამ მოთხოვნით მიმართოთ მეთქი. მ. წინამძღვრიშვილი ასეც მოიქცა. კარდიოლოგიის საქმეებზე მის საუბარს სტალინთან მე არ დავსწრებივარ, მაგრამ საღამოს გახარებულმა პროფესორმა ყველაფერი მიამბო და გადმომცა, — სრული დახმარება აღმითქვაო. თბილისში დაბრუნებიდან მალე სტალინს გადავუგზავნეთ წინამძღვრიშვილის პირადი წერილი ამ საკითხზე, ხოლო რესპუბლიკის 1946 წლის ბიუჯეტში გავითვალისწინეთ აკადემიის სისტემაში კარდიოლოგიის სექტორის მოწყობისა და შენახვის ხარჯები. 1948 წელს სექტორი ინსტიტუტად გადაკეთდა. ამგვარად, სტალინთან წინამძღვრიშვილის სტუმრობამაც საქმიანი ხასიათი მიიღო. ჩვენი ისტორიკოსებიც დაუყოვნებლივ შეუდგნენ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს ახალი შესწორებული და შევსებული გამოცემის მზადებას. 1946 წელს იგი უკვე გამოვიდა ქართულ და რუსულ ენებზე. ახლა წიგნს ყდასა და თავფურცელზე გარკვევით ეწერა: **„ნაწილი 1, უძველესი დროიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე“.**

**ეს სასკოლო სახელმძღვანელო უთუოდ იდგა საბჭოთა ისტორიული მეცნიერების განვითარების მაშინდელ დონეზე, კარგი და გასაგები ენით იყო დაწერილი და საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს ნათელ წარმოდგენას აძლევდა ჩვენი ხალხის წარსულის ძირითად ეტაპებზე. მიუხედავად ამისა, უკვე 1953 წელს მას უმართებულოდ აუხირდნენ და ხმარებიდან ამოიღეს“.**

**სტალინი დიდ ინტერესს იჩენდა ქართული ენის საკითხისადმი და ყოველთვის ხაზს უსვამდა მის ღირსებებს. ის, მაგალითად, ხშირად გატაცებით ლაპარაკობდა ქართულ ზმნაზე და მეტად გასაგებად უხსნიდა რუს ამხანაგებსაც, რომ ქართულში მეტყველების ამ ნაწილის ერთი სიტყვა მკაფიოდ გამოხატავს მოქმედებას, რომლის გამოსათქმელად ევროპულ ენებს ოთხი-ხუთი სიტყვა სჭირდებათ**

წყევლაკრულვიანი საკითხავი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ოსმალებმა მათ მიერ დაპყრობილ აჭარაში სასტიკი და გაუსაძლისი რეჟიმი დაამყარეს. მათ სასულიერო ხელისუფლებასთან სპეციალური სექტა შექმნეს, რომლის მთავარი მიზანი იყო, ქართველი მაჰმადიანებისთვის შეეძულებინათ სიტყვები — ქართველი და საქართველო, ქრისტიანი ქართველები. ისინი ძალ-ღონეს არ იშურებდნენ ამ ავაზაკური მიზნის მისაღწევად.**

# დარტყმა რწმენაზე, მართლმადიდებლობაზე — აი რა არის დღეს ყველაზე დიდი საფრთხე

დასასრული. დასაწყისი იხ. №16 (440)

**ქრისტიანობის შესანარჩუნებლად თავგანწირული ბრძოლა ქართველ ერს გამუდმებით უწევდა, რასაც, უპირველესად, ძლიერი მუსლიმანური სახელმწიფოების გარემოცვაში ყოფნა განაპირობებდა. მათთან ბრძოლას არაერთხელ დავუყენებივართ ყოფნა-არყოფნის ზღვარზე, მაგრამ ღვთის შეწევნითა და უფლის მადლით განსაცდელი დაძლეულა. მამული, ენა, სარწმუნოება შეგვინარჩუნებია. ეს სამი საუნჯე, რომელიც მამა-პაპათაგან მემკვიდრეობით გვერგო, XIX საუკუნეში ილია ჭავჭავაძემ და თერგდალეულთა მთელმა პლეადამ თავიანთ უმთავრეს საზრუნავად გამოაცხადეს.**

ამ ბოლო დროსაც კვლავ მიდის შეტევა მართლმადიდებლობაზე, პატრიარქზე, პრეზერვატივსაც კი დაახატეს ჩვენი წმინდა მეფე. საბედნიეროდ, გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც საჭიროდ მიიჩნიეს, რომ ქვეყანაში რელიგიური გრძნობების დასაცავად უნდა ამოქმედდეს კანონი, ანუ რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედება გახდებს.

რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფას საკმაოდ სერიოზული არეულობის გამოწვევა რომ შეუძლია, ახლო წარსულში მსოფლიოში მომხდარი ტერორისტული აქტებითაც ნათელია. ღმერთმა ნუ ქნას, ჩვენთანაც იგივე განმეორდეს.

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წევრებმა იდეის დონეზე მხარი დაუჭირეს პროექტს, რომლითაც რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედება ხდება.

დარტყმა რწმენაზე, მართლმადიდებლობაზე — აი რა არის დღეს ყველაზე დიდი საფრთხე. არ არის გამორიცხული, რომ 17 მაისს, ოჯახის სიწმინდის აღნიშვნის დღეს, დედაქალაქის ქუჩებში ვერცხლს დახარბებულმა სამშობლოს გამყიდველებმა მოაწყონ ლგბტ-თა აქცია, შეკრიბონ ადამიანები, შეაჩეჩონ ხელში ის ლოზუნგები, რომლებიც უნდათ, მომართონ ვინმეს წინაალმდეგ (სავარაუდოდ, პატრიარქის) და ასე შექმნან ბრბო, რომელიც ყველაფერზე იქნება წამსვლელი. სწორედ ამ „ლიბერალი" გამყიდველების დამსახურებაა, მართლმადიდებლობის ამოსაძირკვად აჭარაში წლების წინათ უამრავი თურქი რომ ჩამოასახლეს და რომ დღეს ბათუმს დილაობით მულეძინი უხმობს სალოცავად. არადა, საქართველოს ისტორიაში აჭარაა სწორედ ის კუთხე, რომლიდანაც ჯერ კიდევ I საუკუნიდან დაიწყო ქრისტიანობის ქადაგება წმინდა ანდრია მოციქულმა, აქედან მოეფინა ქრისტიანობა საქართველოს.

ქრისტიანობის გადარჩენისთვის დიდი ბრძოლა გასწია აჭარამ. „სამწუხაროდ, აღნიშნული საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადოდ დღემდე არ არის შესწავლილი", — წერს ისტორიკოსი ავთანდილ დიასამიძე წერილში „ქრისტიანობისთვის ბრძოლის ისტორიიდან აჭარაში ოსმალთა ბატონობის პერიოდში (XVI საუკუნის 70-იანი წლები-XIX საუკუნის 70-იანი წლები)", რომელიც 2013 წელს ჟურნალ „ისტორიულ მემკვიდრეობაში" დაიბეჭდა, და რომელსაც მკითხველს ქვემოთ ვთავაზობთ.

## ქრისტიანობისთვის ბრძოლის ისტორიიდან აჭარაში ოსმალთა ბატონობის პერიოდში

**„ქართული ქრისტიანობის გაქრობა, ქართული წყობილების მოშლა და მის ნაცვლად მაჰმადიანობისა და თურქობის დანერგვა, ქვეყნის დაცლა ყოველივე დოვლათისაგან და მისი გადაქცევა ტყვის მსყიდველთა ველურ ბუნაგად, — ასეთი იყო ოსმალეთის „სახელმწიფოებრივი შემოქმედების მიზნები მის მიერ დაპყრობილ ქართულ ქვეყნებში"** (აკად. **ნიკო ბერძენიშვილი).**

ოსმალებმა აჭარაში „მე-17 საუკუნის პირველ მეოთხედში დაიწყო გამაჰმადიანების პროცესი და მთელს მე-18 და მე-19 საუკუნის დამდეგამდე გაგრძელდა", — მიუთითებს აკადემიკოსი **ივანე ჯავახიშვილი**.

**ოსმალეთის პოლიტიკა იქითკენ იყო მიმართული, რომ ადგილობრივ მოსახლეობაში აღმოეფხვრათ ქართული ზნე-ჩვეულებანი, რელიგია და სხვა; დაევიწყებინათ მშობლიური ქართული ენა და ყოველივე ქართული**. აჭარაში დღემდეა შემონახული უძველესი მატერიალური კულტურის ძეგლები: საცხოვრებელი, თავდაცვითი და საკულტო (ეკლესიები) ნაგებობები და მათი ნანგრევები, რომლებიც თავიანთი მაღალი ხელოვნებით ახლაც აკვირვებენ მნახველებს. და, რაღა თქმა უნდა, აჭარის მოსახლეობა ადვილად არ დათმობდა იმ კულტურას, რომელთანაც იგი საუკუნეებით იყო შეზრდილი. იგი არ თმობდა თავის ზნე-ჩვეულებებსა და ქრისტიანულ სარწმუნოებას, ხანგრძლივ და დიდ წინააღმდეგობას უწევდა მტერს. თურქი დამპყრობლები მაჰმადიანური რელიგიის გავრცელებისთვის, ქვეყნის ეკონომიკის მოშლისა და ფიზიკური მოსპობისთვის ცეცხლსა და მახვილს მიმართავდნენ.

ოსმალები ზეგავლენას ახდენდნენ აჭარის ქრისტიანულ მოსახლეობაზე — გადასახადს უწერდნენ ყოველგვარ უძრავ ქონებასა და შემოსავალზე. ამ მიზნით ოსმალებმა სპეციალური გადასახადი — **ისფენჯი** დააწესეს. ისფენჯი იყო ქრისტიან მოსახლეობაზე გაწერილი გადასახადი, რომლის გადახდა ევალებოდა ზემო და ქვემო აჭარის მკვიდრთ. გადასახდს იხდიდნენ წელიწადში ერთხელ, ბუნებრივია, ამით ისინი დროებით ინარჩუნებდნენ ქრისტიანობას.

**ქრისტიანი მოსახლეობა მოკლებული იყო ყოველგვარ უფლებებს, მაჰმადიანური რელიგიის მიღებით კი დიდ პრივილეგიებსა და ჯილდოს მიიღებდა. ქრისტიანს სიკვდილით დასჯა ელოდა უბრალო დანაშაულისათვის და მხოლოდ მაშინ ეპატიებოდა სასჯელი, თუ იგი გამუსლიმანდებოდა.**



ხინოწმინდის ეკლესიის ნანგრევები. მდებარეობს ქობულეთიდან 45 კმ-ის მოშორებით. დაინგრა XVIII საუკუნეში, ოსმალების შემოსევის შედეგად

**«აჭარის არც ერთი კუთხე არ გამუსლიმანებულა თავისი ნებით. ამას ადასტურებენ ისტორიული საბუთები და იმ დროის მომსწრენი»**

ქრისტიანობის მოსპობასა და ქართველი ხალხის ძალად გამუსლიმანების დამადასტურებელი მასალები უამრავია. მაგალითად, ახალციხის მუზეუმის ხელნაწერათა ფონდში დაცულია მესხის (გვარამიძის) წერილი, რომელშიც ნათქვამია: **„რომელ ხორციელ ენას შეუძლია, რომ წარმოთქვას თვითეულნი იმ დროინდელი ქრისტიან მამათა და დედათა დასჯა-ტანჯვანი... ვის ცოცხალს ტყავს აძრობდნენ, ვის ოთხ პალოზედ გაკრულს ბაწრებით გუდათ იღებდნენ, ვის ნაკუწ-ნაკუწად სჭრიდნენ, ხმლითა და ხანჯლით გულ-მუცელს უპობდნენ, ვის შამფურებზედ გაცმულს ცოცხალებრივ ცეცხლზედ მწვადივით სწვავდნენ, ვის შიშველს გახურებულს საჯდომზედ აგდებდნენ... რკინის საწვავებით ხვრეტდნენ, ვის ადუღებულ წყალში ხარშავდნენ, ვის გამდნარ ტყავს ასხამდნენ პირში, ვის ანთებულ კირში აგდებდნენ"** (ხარიტონ ახვლედიანი, სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, 1956 წ., გვ. 38-39).

## ქრისტიანობას არ თმობდნენ აჭარელნი

ისტორიკოსი ხ. ახვლედიანი, სათანადო გამოკვლევებსა და დოკუმენტებზე დაყრდნობით, სამართლიანად აღნიშნავს: **„აჭარის არც ერთი კუთხე არ გამუსლიმანებულა თავისი ნებით. ამას ადასტურებენ ისტორიული საბუთები და იმ დროის მომსწრენი".**

მეტად საინტერესოა სოფ. **ორცვის** მცხოვრების **აბდულ მიქელაძის** ნაამბობი აჭარელთა ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლის და ქრისტიანული სარწმუნოების შენარჩუნების თაობაზე. იგი აღნიშნავს „აჭარელნი... ოსმალოს ასი წელიწადი ებრძოდნენ ქვეყნის დაჭერის დროს, მერე სჯულის გამოცვლის გამო ჰქონდათ ჩხუბი, ხოცვა, ჟლეტა, წყვეტა და სისხლის ღვრა. ყოფილა ისეთი დრო, რომ ესენი ოსმალოს სისხლს დალევდნენ ომის დროს, ნამეტურ მაჭახლელნი. ამათ მოაბეზრეს ოსმალნი; იგინი ვერას აწყობდნენ. ამ საუკუნეში აჭარლებმა კინაღამ გარეკეს აქედან, ომი ატეხეს და ოსმალოს ბევრი ჯარისკაციც მოუკლეს. ოსმალმა დიდის ტანჯვითა და შრომით გაამაჰმადიანა აჭარელნი, მაგრამ სრულიად მაინც ვერ მოიმხრო თვისკენ, ამათში ქართული ენა ვერ მოისპო, მცირედაც ვერაფერი ავნო" (ზ. ჭიჭინაძე, ქართველების გამაჰმადიანება, ანუ ქართველთ გათათრება, თბ., 1915 წ., გვ. 36). ზაქარია ჭიჭინაძე გადმოგვცემს ერთ-ერთი შავშეთელის ნაამბობს, შავშეთელების ოსმალოებისადმი შიშის და მათი მოკლე პერიოდში გამაჰმადიანების გამო. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ შავშეთიდან ბევრი მათგანი აჭარაში გაქცეულა, რადგანაც გამაჰმადიანება არ სდომებიათ, აჭარაში კი ქრისტიანობას მედგრად იცავდნენ. **აჭარაში ყველაზე დიდხანს სხალთის ხეობის (ხულოს რაიონი) მოსახლეობას შემოუნახავს ქრისტეს რჯული.** ზაქარია ჭიჭინაძეს ჩაუწერია სხალთას **უსუფ ბოლქვაძის** ნაამბობი, რომელიც გადმოგვცემს:

„ამ ხეობაზედ ქართველებს დიდი ხანი შეუნახავთ თავი, მაგრამ ბოლოს მაინც ბრძოლა მობეზრებიათ და გამაჰმადიანებულან. რამდენიმე სოფელს კი საიდუმლოდ დიდხანს გაუმაგრებია თავი". მისივე გადმოცემით, „გაუმაჰმადიანებელი დარჩა სოფ. ყინჩაური, რომელიც სხალთის ხეობაზედ მდებარეობს. ყინჩაურელებმა დიდხანს იმაგრეს თავი, ამისი მიზეზი იყო სოფ. ყინჩაურის მღვდელი, რომელიც მეტად მწიგნობარი ყოფილა, მქადაგებელი და ქრისტიანობის მოყვარე. ეს მღვდელი ამაგრებდა თავის ხალხს. ეს მღვდელი წინამძღვრობდა მათ.

ოსმალოს უქუმათს ეუბნებოდა:

— ჩვენ დაგვაყენეთ ჩვენს რჯულზედ და ჩვენ არაფერს დაგიშავებთ, თქვენი ერთგულნი ქვეშევრდომნი ვიქნებით.

სამართალი ამის ნებას აძლევდა, რადგან ის მღვდელი მეტად მოხერხებული კაცი ყოფილა, მასთან, კერპი და თათრების მოძულე".

საყურადღებოა მშობლიური საქართველოს დიდი მოტრფიალის, ქედის ხოჯის — **ახმედ ხალიფაშვილის** ნაამბობი, რომელიც ქრისტიანობის გადარჩენისათვის აჭარელთა თავგანწირვასა და სისხლის დაღვრას ეხება. იგი გადმოგვცემს: ძველად ხოჯა ხერხეულიძე ასე იტყოდა, რომ ნებით არც ერთი მხარეა გამაჰმადიანებული; სადაც კი გამაჰმადიანებულან, ყველგან ძალით მომხდარა. **„ზეგნელების აჭარლები არანაკლებ უტანჯიათ. ნახევარი ზეგანი ფოცხოვისა და ქვაბლიანისკენ გაწყდა ბრძოლაში, რადგანაც არ თათრდებოდნენო, დანდალომ ზეგანს მიჰბაძა და ამიტომ გაწყდნენ ესენიც ბრძოლაშიო. დანდალოს აჭარამ მიჰბაძა და აჭარაშიაც დიდი სისხლი დაიღვარა. ხოჯა ხერხეულიძეს კარგად ახსოვდა ის დრო, როცა აჭარაში ხალხი ქრისტიანობდაო".**

მამა-პაპათა ქრისტიანული რჯულის გადასარჩენად ყველაზე დიდი ბრძოლა სოფელ დანდალოს მცხოვრებთ (ქედის რაიონი) გაუმართავთ, რომელშიც აქტიურობით დედაკაცები გამოირჩეოდნენ; საამისოდ მეტად მნიშვნელოვანია თვით სოფელ დანდალოს მცხოვრების — ვინმე **ავალიანის** ნაამბობი: **„აჭარაში გათათრების გამო დიდი ბრძოლა დანდალოს ხალხმაც გამოიარა. ...მთელი დანდალო მკაცრად დადგა ოსმალოს წინააღმდეგ სჯულის გამოცვლის გამო, თვით დედაკაცებმაც კი აიღეს ხმალხანჯალი ხელში და გამოვიდნენ საბრძოლველად ამათ გარდასწყვიტეს, რომ ან მამაპაპის რჯულზე უნდა დავრჩეთ და ან უნდა გავწყდეთო, ჩვენი გათათრება (გამაჰმადიანება. — ა. დ.) არ შეიძლებაო. ამათ დაიწყეს ბრძოლა, საკვირველი საქმე დაჰმართეს ოსმალთ, ოსმალნი ათასობით დახოცეს, მაგრამ ბოლოს მაინც ოსმალნი მოერივნენ. დანდალოს ერი დამარცხდა და ამ დამარცხებით მთლად გაწყდა ხალხი, გაწყდა ისე, რომ არსად ერთი კაციც არ დარჩენილა, ქალი, ბავშვი და სხვანი მთლად დახოცეს, გაწყვიტეს, რადგან ამათ დიდი ზარალი მისცეს ოსმალთ, დიდძალი ხალხი დაუხოცეს, ამის გამო მოსპეს ოსმალთ ესენი და, ვინც დარჩა, ისინიც** ▶

წყევლაკრულვიანი საკითხავი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ქრისტიანი მოსახლეობა მოკლებული იყო ყოველგვარ უფლებებს, მაჰმადიანური რელიგიის მიღებით კი დიდ პრივილეგიებსა და ჯილდოს მიიღებდა. ქრისტიანს სიკვდილით დასჯა ელოდა უბრალო დანაშაულისათვის და მხოლოდ მაშინ ეპატიებოდა სასჯელი, თუ იგი გამუსლიმანდებოდა.

◀ **ოსმალში გარეკეს. მთელი დანდალო ცარიელი დარჩა**“ *(ზ.ჭიჭინაძე, ქართველების გამაჰმადიანება, გვ. 86).* სარწმუნოებისთვის თავდადებულ ქალთა რაოდენობა გაცილებით დიდი იყო დაბალი სოციალური წრიდან, მაგრამ, სამწუხაროდ, ისტორიას მათი სახელები არ შემოუნახავს. ქრისტიანობის დაკარგვის შიშით, სოფელ მარადიდში ერთ ღამეს ტყეში, ეკლესიის გვერდით, ექვს დედაკაცს ხანჯლით მოუკლავს თავი, ორს — თოკით ჩამოუხრჩვია, სამს — თავი მოუწამლავს *(პროფ. შ. ფუტკარაძე).*

**სოფელ მერისის მცხოვრებლებმაც ოსმალებს, რომლებმაც ისინი მდინარე ჭოროხთან მიიყვანეს გასამაჰმადიანებლად, უარი უთხრეს ქრისტეს რჯულის დათმობაზე.** მაშინ ოსმალთ უბრძანებიათ, ადიდებულ მდინარეში შესულიყვნენ და, ვინც გადარჩებოდა, აღარ გაამაჰმადიანებდნენ. მართლაც იქ მყოფმა მერისლებმა ადიდებულ ჭოროხს მისცეს თავი, ჭოროხი ამ დროს დიდი ყოფილა და ეს საბრალოები შიგ დამხრჩვალან და ერთიც არ გასულა გაღმა.

აჭარის მოსახლეობის მიერ ქრისტიანობის შენარჩუნების თაობაზე საყურადღებო ცნობებია გადმოცემული ჩაქვისთაველ (ქობულეთის რაიონი) **ჯიჯავაძის** ნაამბობში. იგი ამბობს: „აჭარაში გათათრების საქმე ერთობ გაძნელებულა. ზოგიერთ მოხუცებული კაცები და ნამეტურ დედაკაცები ქრისტიანობაზე მაგრა იდგნენ.

...მალე აჭარის მოხუცებულნი შეუკრებიათ და საფრიხანაში დაუმწყდევიათ, საპატიმროში ხოჯები მიუგზავნიათ და ხოჯებს ლოცვები დაუწყიათ. ზოგიერთი მოხუცებულნი მიუზიდნიათ და ზოგნი კი ვერა. ვინც ვერ მოაქციეს, ესენი აჭარისწყლის შესართავთან მიურეკიათ, სადაც ძველად თამარ მეფის ხიდი ყოფილა. აქ დადეს თავსაკვეთი და უთხრეს მათ:

— მოხუც ბერო კაცნო, რაზედ იფუჭებთ თავს, მოდით გონს, იწამეთ წმინდა მუჰამედი და ისლამი. ...მოხუცებულებმა იწამეს მაჰმადიანობა, მაგრამ ბარე სამისათვის, რომლებმაც არ იწამეს მაჰმადიანობა, მოუჭრიათ თავიო. ეს ამბები მომხდარა ამ ორასი წლის წინად. ერთ დღეს კი ქედაში 50 კაცი და დედაკაცი დაუსჯიათ ქრისტიანობის გამო“ *(ზ. ჭიჭინაძე, ქართველების გამაჰმადიანება, გვ. 74, 85).*

**1726 წელს აჭარაში ქრისტეს რწმენის აღიარებისთვის ოსმალოებს უწამებიათ ქართველი ქრისტიანები. ბევრი მათგანი დაუსჯიათ სიკვდილით.** საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის — ილია მეორეს 1985 წლის 24 ივნისის ბრძანებაში ვკითხულობთ: „1726 წელს თურქეთის მიერ წამებული ქართველნი აღიარებულ იქნენ წმინდანად. მათი ხსენება ზეიმით აღინიშნოს საქართველოს ეკლესიის მიერ ყოველ წელიწადს, ივნისის თვის პირველ კვირას (ახალი სტილით)“.

**ოსმალეთის მიერ აჭარის დაპყრობის შემდეგ აჭარლებმა საკმაოდ დიდხანს შეინარჩუნეს ქრისტიანობა. მე-18 საუკუნის ნახევრამდე აჭარაში ქრისტიანობა ბატონობდა, თუმცა საბოლოოდ იგი მაინც მაჰმადიანურმა სარწმუნოებამ შეცვალა.** 1920 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსტეტის ლექტორი, ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე თახსიმ ხიმშიაშვილი წერდა: „თურქები აქ (აჭარაში. — ა. დ.) ქრისტიანობის ნაცვლად მუსლიმანობას ნერგავდნენ და ცივილიზაციის ნაცვლად მეჩეთის კულტურა დაამკვიდრეს, რითაც იქაური ქართველები სარწმუნოებით გათიშეს თანამემამულეებისაგან, დააშორეს ისინი ერთმანეთს“.

ოსმალებმა მათ მიერ დაპყრობილ აჭარაში სასტიკი და გაუსაძლისი რეჟიმი დაამყარეს. მათ სასულიერო ხელისუფლებასთან სპეციალური სექტა შექმნეს, რომლის მთავარი მიზანი იყო, ქართველი მაჰმადიანებისთვის შეეძულებინათ სიტყვები — **ქართველი** და **საქართველო, ქრისტიანი ქართველები**. ისინი ძალ-ღონეს არ იშურებდნენ ამ ავაზაკური მიზნის მისაღწევად.

## ქრისტიანული სარწმუნოების მალულად აღვლენა და შემონახვა

მე-18 საუკუნის შუახანებიდან მე-19 საუკუნის დამდეგამდე ძირითადად დასრულდა აჭარაში მაჰმადიანური სარწმუნოების გავრცელება, რომელიც ოსმალმა დამპყრობლებმა აქაურ მცხოვრებლებს იძულებით მიაღებინეს. როგორც ფრანგი მოგზაური **ჟან შარდენი**, რომელმაც 1672 წელს იმოგზაურა ჭოროხ-აჭარისწყლის ხეობით თბილისისკენ, წერდა: **„აჭარაში ეკლესიები და ციხეები ბევრი იყო, მაგრამ ოსმალებმა დაანგრიესო“.**

ოსმალები ჩვენი ხალხის გამაჰმადიანების შემდეგ ქართული კულტურის კვალსაც არ ტოვებდნენ — სპობდნენ მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლებს, წვავდნენ წიგნებს; იმისთვის, რომ აჭარელთა შეგნებიდან აღმოეფხვრათ ქრისტიანობის ნაშთები, ოსმალებმა მათი დოკუმენტური წყაროები და ისტორიული ძეგლებიც გაანადგურეს.

**პეტრე უმიკაშვილი 1877 წლის 9 ივნისის გაზეთ «ივერიაში» წერდა: «აჭარლებს კარგად ახსოვთ, რომ ჩვენი ძმანი არიან, მხოლოდ სარწმუნოებით განვსხვავდებით. ძველი შენობების, ციხეების და ეკლესიების პატივისცემა აქვთ და იციან, რომ საქართველოს მეფეების აშენებულია. ზოგიერთს საყდრის პატივისცემა ისეთი აქვთ, რომ ხელის ხლება დიდ ცოდვად მიაჩნიათ და სასწაულებსაც ლაპარაკობენ. ორს ხოჯას სხალთის ეკლესია უნდოდათ მეჩეთად გადაექციათ, საყდარმა ორივ ჭკუაზე შეშალა და ტყეში მხეცებივით ატარაო»**



სხალთის ეკლესია

ალნიშნულის მიუხედავად, მაჰმადიანობის დროსაც, როგორც ნური ბერიძის ნაამბობიდან ვგებულობთ, **აჭარლები „თურმე არ ტოვებდნენ ქრისტიანულ წესებს და ყოველს საქრისტიანო დღესასწაულებსაც იხდიდნენ. მაგალითად, აღდგომას ღებავდნენ წითელ კვერცხებს და წაიღებდნენ ხოლმე სხალთის ეკლესიაზედ და შესწირავდნენ, ხულოს ეკლესიის ნანგრევებთან, აგარის და სხვა მხრის ეკლესიებთან. ეს ჩვეულება ხულოს ხეობაში დღევანდელამდე არის დაშთენილი და აქ დედაკაცები დღესაც ღებავენ კვერცხებს და აღდგომა დღეს ზოგიერთი ეკლესიის ნანგრევებთან მიიტანენ**“ *(იხ. ზ.ჭიჭინაძის ქართველების გამაჰმადიანება, 1915 წ. გვ. 81).* თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ზ. ჭიჭინაძე აჭარაში მოგზაურობდა 1891 წლიდან, ხოლო მისი წიგნი „ქართველთა გამაჰმადიანება“ გამოცემულია 1915 წლისთვის, ნური ბერიძის ნაამბობი მეტად მნიშვნელოვან ფაქტებს გვამცნობს აჭარელთა მიერ ქრისტიანობის შემონახვა-აღვლენის თაობაზე.

საყურადღებოა სოფ. აჭყვისთაველი 110 წლის ქამჟარაძის ნაამბობი, რომელიც აღნიშნავს, რომ **„ოსმალების აქ დაბინავების შემდეგ ჩვენებურები აქ არ დგებოდნენ, ნახევარი ჩაქვა და ქობულეთი გურიაში გადასახლდა, სახლკარს ოხრად ტოვებდნენ და მიდიოდნენ გურიელებისაკენ, რადგანაც გამაჰმადიანების ეშინოდათ“.** ამასთან, ქამჟარაძე დასძენს: **„თუმცა გავმაჰმადიანდით, მაგრამ ეკლესიებს და ხატებს პატივს ვცემდით, ბევრი ჩვენებური ეკლესიებშიც დაიარებოდა სალოცავად და ჯამეებშიც“.**

როგორც ცნობილია, ოსმალობის პერიოდში, 1873 წელს, აჭარაში იმოგზაურა ცნობილმა ისტორიკოსმა **დიმიტრი ბაქრაძემ**, რომელმაც ქედაში ღამე გაათია დიასამიძის ოჯახში. დიასამიძეს მისთვის უთქვამს:

**„ჩვენ ვლოცულობდით ეკლესიის ნანგრევებში ძველი ჩვეულებრისამებრ, ვიცოდით, რომ ჩვენი მამა-პაპანი ერთ დროს ქრისტიანები იყვნენ და რომ ჩვენ თვითონ მოდგმით გურჯები ვართ... ძველი ქრისტიანული ჩვეულებიდან ზოგი რამ დღემდე შემორჩენილია, მაგალითად, კვერცხის შეღებვა სააღდგომოდ“** *(დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, 1987 წ. გვ. 49).*

გიორგი ყაზბეგი, რომელმაც გრიგოლ გურიელთან ერთად ზემო აჭარაში იმოგზაურა 1874 წელს, ზემო აჭარის წარსული ცხოვრების საუკეთესო ძეგლად მიიჩნევს **სხალთის ეკლესიას**, რომელსაც აქაური მცხოვრებლები დიდი პატივისცემით ეპყრობიან და მის სასწაულმოქმედებაზე ბევრს გვიამბობენო.

აკად. **ექვთიმე თაყაიშვილი** წერს, რომ ზოგ ადგილას გამუსლიმანებული ქართველები ასრულებენ ზოგიერთ ქრისტიანულ წეს-ჩვეულებას. მაგ. ყურბან ბაირამობის (მუსლიმანთა აღდგომა) დროს ღებავენ კვერცხებს და მიაქვთ ეკლესიის ნანგრევებშიო.

**პეტრე უმიკაშვილი** 1877 წლის 9 ივნისის გაზეთ „ივერიაში“ წერდა: **„აჭარლებს კარგად ახსოვთ, რომ ჩვენი ძმანი არიან, მხოლოდ სარწმუნოებით განვსხვავდებით. ძველი შენობების, ციხეების და ეკლესიების პატივისცემა აქვთ და იციან, რომ საქართველოს მეფეების აშენებულია. ზოგიერთს საყდრის პატივისცემა ისეთი აქვთ, რომ ხელის ხლება დიდ ცოდვად მიაჩნიათ და სასწაულებსაც ლაპარაკობენ. ორს ხოჯას სხალთის ეკლესია უნდოდათ მეჩეთად გადაექციათ, საყდარმა ორივ ჭკუაზე შეშალა და ტყეში მხეცებივით ატარაო“**. ამდაგვარი ცნობები აქვს ზ. ჭიჭინაძეს თავის წიგნში „მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში“.

მეტად საყურადღებო ცნობას გვაწვდის რუსი ისტორიკოს-იურისტი **ალექსანდრე ფრენკელი,** რომელიც 1879 წელს რუსულ ენაზე გამოცემულ წიგნში „ნარკვევები ჩურუქ-სუ-ზე და ბათუმზე“ წერს: **„ქობულეთელებმა მითხრეს, რომ ქობულეთის ჩრდილოეთ ნაწილის მცხოვრებლებმა, რომლებიც გურიას ესაზღვრებიან, 25-30 წლის წინ მიიღეს საბოლოოდ მუსლიმანობა“.**

მაჰმადიანური სარწმუნოების გავრცელების მიუხედავად, ქობულეთში მაინც ჰქონია ადგილი ქრისტიანულად მონათვლის ფაქტებს. გაზეთ „დროების“ კორესპონდენტ მ. ნიკოლაიშვილისთვის 70 წლის ქობულეთელს 1875 წლისათვის, როცა აჭარა ოსმალეთს ეპყრა, უთქვამს, რომ **„მე ვარ მონათლული ქართველის მღვდელის კალანდარიშვილისაო. ამითი და სხვა გარემოებებითაც ჩვენ ვეკუთვნით ქართველობას და არა თათრებსო“** (გაზ. „დროება“, №110, 1875 წ.).

ოსმალეთის მთავრობა ქართველ მაჰმადიანებს სულიერად მოკვლას უპირებდა, მაგრამ მათ საწადელს ვერ მიაღწიეს. ქართულმა სულმა, გენმა და სისხლმა, წარსულისადმი პატივისცემამ თავისი გაიტანა. აჭარის მოსახლეობა, რომელიც 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ დაუბრუნდა დედასაქართველოს, თანდათან კვლავ დაადგა ქრისტიანული აღმსარებლობის გზას, მრავლად აშენდა ქრისტიანული ტაძრები, გაისმა ზარების რეკვა.

რუბრიკას უძღვება
**დარეჯან ანდრიაძე**

**ოსმალები ჩვენი ხალხის გამაჰმადიანების შემდეგ ქართული კულტურის კვალსაც არ ტოვებდნენ — სპობდნენ მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლებს, წვავდნენ წიგნებს; იმისთვის, რომ აჭარელთა შეგნებიდან აღმოეფხვრათ ქრისტიანობის ნაშთები, ოსმალებმა მათი დოკუმენტური წყაროები და ისტორიული ძეგლებიც გაანადგურეს**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გაისიდან ამერიკაში ბოისკაუტები აღარ იქნებიან, რადგან სიტყვა „ბიჭს“ შეცვლიან გენდერულ-ნეიტრალური ტერმინით: SCOUTS BSA. ამას გვაუწყებს ადგილობრივი მედია. არადა, ამ ორგანიზაციის დანიშნულებაა ბიჭების კაცებად გაზრდა-ჩამოყალიბება. ბიჭების აღზრდა კი საფუძველშივე ეწინააღმდეგება გოგონების აღზრდის სპეციფიკას.**

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

## მასწავლებელი ქალი მოსწავლესთან სექსის გამო დააპატიმრეს

**პოლიციამ 29 წლის ტიფანი რენველერ-ობლენდერი მას შემდეგ დააპატიმრა, რაც გამჟღავნდა მისი ინტიმური კავშირი ერთ-ერთ მოსწავლესთან — 18 წლის ყმაწვილთან.**

შერიფის განცხადებით, ისინი ერთმანეთს სასწავლო წლის განმავლობაში სკოლის გარეთ ხვდებოდნენ. მოსწავლეებს არ სჯერათ აღნიშნული ვერსიის და შექმნეს საყვარელი მასწავლებლის მხარდამჭერთა ჯგუფი. პოლიცია მომხდარის დეტალებს არ ასაჯაროებს. **გამოძიების ვერსიით, სექსუალური ურთიერთობა რამდენიმე თვის განმავლობაში გრძელდებოდა.**



სტეფანი ადმინისტრაციულ შვებულებაში გაუშვეს და სავარაუდო მსხვერპლსა და მასწავლებელს შეხვედრა აუკრძალეს.

## ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში წლეულს არ გაიცემა

**1943 წლის შემდეგ ეს პირველად ხდება. მიზეზი მომავალი ლაურეატების საეჭვო რეპუტაცია და სექსსკანდალია, რომელიც შვედეთის აკადემიას შეეხო. სწორედ იგი შეარჩევს ნომინანტებს, — იუწყება ნობელიის პრემიის ვებგვერდი.**

შვედეთის აკადემიის ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა ნობელის კომიტეტმა. Reuters-ი აზუსტებს, რომ 1943 წელს პრემია არ გაიცა მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებული პრობლემების გამო.

ლიტერატურის დარგში პრემიის მინიჭება 2019 წელს აღდგება.

სკანდალის ცენტრში აღმოჩნდა ფრანგი ფოტოგრაფი



**ჟან-კლოდ არნო** — შვედეთის აკადემიის ერთ-ერთი თანამშრომელი ქალის ქმარი. მიიჩნევენ, რომ სწორედ მან გაავრცელა მაკომპრომეტებელი ინფორმაცია მომავალი ლაურეატების შესახებ. ინფორმაცია, რა თქმა უნდა, მსოფლიოში ამჟამად გავრცელებული სექსუალური ძალმომრეობის პაკეტიდანაა.



## ამერიკელი ბოისკაუტები ბიჭები აღარ არიან

**ამერიკელი ბოისკაუტები იძულებულნი არიან, შეცვალონ თავიანთი ორგანიზაციის სახელწოდება Boy Scouts of America — ამოიღონ სიტყვა Boy (ბიჭი). ბიჭების მშობლები შეშფოთებულნი არიან. მათი აზრით, ასეთი მანიპულაცია გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს ამ ორგანიზაციას.**

გაისიდან ამერიკაში ბოისკაუტები აღარ იქნებიან, რადგან სიტყვა „ბიჭს“ შეცვლიან გენდერულ-ნეიტრალური ტერმინით: Scouts BSA. ამას გვაუწყებს ადგილობრივი მედია. არადა, ამ ორგანიზაციის დანიშნულებაა ბიჭების კაცებად გაზრდა-ჩამოყალიბება. ბიჭების აღზრდა კი საფუძველშივე ეწინააღმდეგება გოგონების აღზრდის სპეციფიკას.

მშობლებს არ ესმით, რა აუცილებლობით არის გამოწვეული ასეთი გათანაბრება, როცა შტატებში არსებობს გერლსკაუტების (გოგონების) ორგანიზაციაც. ისინი დარწმუნებული არიან, რომ სახელწოდებაში მსგავსი ცვლილების შეტანა იქნება დარტყმა ბოისკაუტების რეპუტაციაზე, რომლის მიღმაც პოლიტკორექტული ლიბერალები დგანან.

## დიდ ბრიტანეთში მსჯავრი დასდეს ქალიშვილს, რომელიც 6 წლის განმავლობაში ტანჯავდა «ბოიფრენდს»

**დიდ ბრიტანეთში 22 წლის ჯორდან უორტს 7-ნახევარი წელიწადი მიუსაჯეს, რომელიც აწამებდა და აბუჩად იგდებდა თავის პარტნიორს — ალექს სკალს.**

უორტმა წარმატებით დაამთავრა უნივერსიტეტი, კეთილი ადამიანის სახელი ჰქონდა — ზრუნავდა უპატრონო ცხოველებზე, აგროვებდა დახმარებას აფრიკელი ბავშვებისთვის. ჯორდანი და **ალექს სკალი** 16 წლისანი იყვნენ, ერთმანეთს რომ ხვდებოდნენ და ბედნიერი წყვილის შთაბეჭდილებას ტოვებდნენ. პრობლემები მას შემდეგ გაჩნდა, რაც 22 წლის ალექს სკალი საცხოვრებლად ჯორდანთან გადავიდა: 8 თვის განმავლობაში ერთობლივი ცხოვრება ჯოჯოხეთად ექცა ალექსს. ქალიშვილმა სრული კონტროლი დაუწესა პარტნიორს: ამოწმებდა, ვის ესაუბრებოდა სოციალურ ქსელებში, მეგობრებთან და ოჯახთან ურთიერთობას უკრძალავდა. ალექსს იატაკზე ეძინა, მისივე ტანსაცმლის გროვაზე. გამომძიებლებს დაზარალებულმა უთხრა, რომ ჯორდანი ელოდებოდა მის ჩაძინებას და შემდეგ ბოთლით სცემდა.

ალექს სკალი გადაარჩინეს მეზობლებმა, რომლებიც დააეჭვა წყვილის სახლიდან გამოსულმა უცნაურმა ხმებმა. ერთხელ, როცა ფანჯარაში გამოჩნდა ჯორდანი სახრახნისით ხელში, პოლიციაში დარეკეს. პოლიციას კვალზე ექიმები მოჰყვნენ, რომლებმაც შემაშფოთებელი დიაგნოზი დაუდგინეს ალექსს — სიკვდილამდე პაციენტს 10 დღეღა ჰქონდა დარჩენილი. მისი კიდურები ისე იყო დამწვარდათუთქული და დაზიანებული, რომ ექიმებმა მათი ამპუტაცია არ გამორიცხეს.

სასამართლოს სხდომაზე ჯორდანმა აღიარა, რომ აბუჩად იგდებდა პარტნიორს. მას სამუდამოდ აუკრძალეს ალექსთან მიახლოება.



სკალმა ახსნა, რატომ დუმდა ამდენ ხანს — ეშინოდა ამბის გასაჯაროების და ამიტომ საშველად არავის მიმართავდა. ფსიქოლოგიური ზემოქმედება და ფიზიკური ძალადობა თანდათან დაიწყო. უბრალო მუჯლუგუნები შეიცვალა ძლიერი დარტყმებით, თავზე ბოთლის მსხვრევით, დანით დაჭრით. იგი ისე გატყდა ფსიქოლოგიურად, რომ საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ, სადაც ექიმებმა სიკვდილს გადაარჩინეს, კვლავ ჯორდანთან, თავის მწამებელთან, დაბრუნებას აპირებდა.

ალექსი ამჟამად ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას გადის და დაზარალებული მამაკაცებისთვის თავშესაფრის დაარსებას აპირებს.

## იქამც არის მათი ადგილი...

**2018 წლის 10 მაისს ნიუ-იორკის ხელოვნებათა მუზეუმ მეტროპოლიტენში გაიხსნა გამოფენა „ციური სხეულები: მოდა და კათოლიკური წარმოსახვა“.**

200 ექსპონატს შორის წარმოდგენილია რომის პაპების 50-მდე სამოსი, ტიარები, მიტრები და სხვა აქსესუარები, რომლებიც ვატიკანმა, Chanl-ის, Balenciag-ასა და Dolce-Gabbana-ს დიზაინერების მოდელებთან ერთად გადასცა გამოფენის ორგანიზატორებს. ამ ნივთების დიდი ნაწილი არასოდეს გამოუფენიათ.

„ჩვენ გვსურს, ეს იყოს, როგორც მომლოცველობა, — განაცხადა გამოფენის კურატორმა **ენდრიუ ბოლტონმა.** გამოფენის დამთვალიერებლების მარშრუტი დაიწყება პაპის ძვირფასეულობათა დათვალიერებით. ვატიკანმა საგანგებოდ გაითვალისწინა ამ ექსპონატების საერთო გამოფენისგან განცალკევებულად გამოტანა.

ბოლტონის აზრით, გამოფენის ყველაზე ფასეული ექსპონატი პაპის ტიარაა, რომელიც ესპანეთის დედოფალმა იზაბელ II-მ რომის პაპს — პიუს IX-ს უძღვნა XIX საუკუნეში. „იგი დამშვენებულია 19 ათასი ძვირფასი თვლით, რომელთაგან 18 ათასი ბრილიანტია“.

დამთვალიერებლების მარშრუტი გრძელდება გალერეებში, სადაც მეტროპოლიტენის მუზეუმის კოლექციის რელიგიურ თემებზე შესრულებული ტანსაცმელი თანამედროვე ტანსაცმელთან ერთად არის ექსპონირებული.

აქვე წარმოდგენილია ღვთისმშობლის ქანდაკების სამოსი, რომელიც **ივ სენ-ლორანის** მიერ არის შესრულებული; პაპის — იოანე პავლე II-ის ტანსაცმელი, რომელიც **ჟან-შარლ დე კასტელბაჟაკის** ესკიზებით შეიკერა 1997 წელს გამართული მსოფლიოს კათოლიკე ახალგაზრდობის დღისათვის.

გამოფენის სახელწოდება განსაზღვრა წიგნმა „კათოლიკური წარმოსახვა, რომელიც 2000 წელს გამოსცა კათოლიკე მღვდელმა, რომანისტმა და სოციოლოგმა **ენდრიუ გრილმა.**

„ვფიქრობ, რომ კათოლიციზმი და შემოქმედება ერთმანეთთან არის დაკავშირებული“, — აღნიშნა ენდრიუ ბოლტონმა, — გამოფენამ დაადასტურა დიზაინერებზე ბეროზის გავლენა.





გამოფენის მოწყობის შესახებ მოლაპარაკება ვატიკანთან 2015 წელს დაიწყო. ენდრიუ ბოლტონი და მისი კოლეგები ვატიკანს რვაჯერ ესტუმრნენ. გამოფენის მოწყობის ნებართვა გასცა კულტურის საკითხებში პაპის საბჭოს პრეზიდენტმა, კარდინალმა **ჯანფრანკო რავაზიმ**. მან აღნიშნა, რომ ეს შოუ წარმოადგენს, თუ რამდენად წინ წავიდა ეკლესია პაპ ფრანცისკის მმართველობის ჟამს.

ასეთი დრო დაუდგათ: „საგამოფენო შოუმ(!) უნდა წარმოაჩინოს კათოლიციზმის წარმატება, ესე იგი, არა განმტკიცება რწმენაში, არამედ ეფექტური წარმოდგენის გამართვა ყოფილა ამათთვის ეკლესიის განმტკიცების გზა და საშუალება.

იქამც იყოს!

მოამზადა DAILY STAR-ის, REUTERS-ის, MIRROR-ისა და THE GUARDIAN-ის მიხედვით

**ერთადერთი, რასაც „დასავლეთი“ ოფიციალურად აღიარებს, ეს არის საზოგადოებრივი აზრი, რომელიც „თავისუფალი დემოკრატიული არჩევნების“ გზით დგინდება. მაშასადამე, საჭიროა საზოგადოებრივი აზრის გამოხატვაზე საკუთარი კონტროლის დაწესება. არჩევის უზურპაციის ტექნოლოგიები დაიყვანება მარტივ მოქმედებამდე — მანიპულაციური მეთოდების ამოქმედებით პიროვნებების გარკვეული ჯგუფის ნება ჯერ მოსახლეობის უმრავლესობის ნებად ცხადდება, შემდეგ კი, მოსახლეობის უმრავლესობას არწმუნებენ, რომ ეს ნება აუცილებლად თავისად უნდა აღიქვან.**

გეოსტრატეგია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნარინჯისფერი ნაღმი

**ახალი მსოფლწესრიგის დოქტრინიდან გამომდინარე, იშლება ეროვნული სახელმწიფოებრიობა, რომელსაც მარიონეტული მთავრობები ჩაენაცვლება. ამისთვის გამოყენებული პოლიტტექნოლოგიები „ფერადი“ რევოლუციების სახელით არის ცნობილი.**
**წიგნში, რომლის ადაპტირებულ თარგმანს გთავაზობთ „საქართველო და მსოფლიო“, მიმოხილულია „ფერადი რევოლუციების“ წარმოქმნისა და განვითარების დოქტრინის ისტორია და პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებრიობის უსუსურობის მიზეზები. ნაშრომი ნათელს ჰფენს „ვარდების რევოლუციის“ სახელით საქართველოში განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალების იმ სიღრმისეულ საკითხებს, რომელთა შესახებ ჩვენთან დუმილს ამჯობინებენ.**


სერგეი ყარა-მურზა




გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-16 (425-440)

## დემოკრატიული უტოპიის პროდუქტი

22 ნოემბერს პროკურატურამ განაცხადა, რომ ხელისუფლება მზად არის, „ძირშივე აღმოფხვრას ნებისმიერი უკანონობა“, რომელსაც უშიშროების სამსახურმა უპასუხა კონტრგანცხადებით: რომ მოქალაქეებს პოლიტიკური თავისუფლების უფლება აქვთ, ხოლო პოლიტიკური პრობლემები უნდა გადაწყდეს მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით. ეს აშკარა განხეთქილება იყო უკრაინის სამართალდამცავ სტრუქტურებს შორის.

პრემიერმინისტრმა **იანუკოვიჩმა** წამოაყენა წინადადება, დაედგინათ ინაუგურაციის გამართვის დღე, გამოეცხადებინათ საგანგებო მდგომარეობა და განებლოკათ სამთავრობო დაწესებულებების შენობები. უშიშროების ხელმძღვანელი **სემეშკო** შეეწინააღმდეგა პრემიერს და თქვა, თუკი ასეთ ბრძანებას მიიღებენ, საეჭვოა, სამხედროებმა დაიწყონ ომი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, მაგრამ, თუ მაინც გადაწყვეტენ შეტევას, დემონსტრანტები წინააღმდეგობას გაწევენო.

მთავრობამ გადაწყვიტა, არ გამოეცხადებინა საგანგებო მდგომარეობა და 28 ნოემბერს ოფიციალურად აუწყეს ქვეყანას, მას შემდეგ, რაც ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭომ მხარი დაუჭირა კრიზისის მშვიდობიანი გზით მოგვარების წინადადებას.

ისტორიკოსი **ა. ტოინბი** წერდა, რომ ცივილიზაციები კრიზისში იძირებოდა მაშინ, როცა გაბატონებული უმცირესობა იწყებდა დაჯერებას მითებისა, რომლებსაც თავად ნერგავდა მათი (მასების) მანიპულაციის მიზნით. ზუსტად ასე მოხდა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში. **ძალაუფლების მქონე ელიტა მასების შეგნებაში თავდაპირველად ნერგავდა უპრიმიტიულეს მითს დასავლურ დემოკრატიაზე მისი ვითომდა პატიოსანი და თანასწორუფლებიანი არჩევნების შესახებ, რათა მიეღო საბჭოთა სახელმწიფოებრიობის ლიკვიდაციის თაობაზე პასიური თანხმობა. შემდეგ იგივე ელიტა თავხედურად მანიპულირებდა არჩევნების პროცესში, თანაც ისე აშკარად, რომ მოქალაქეთა უმრავლესობამ მიაფურთხა ამ „დემოკრატიულ ინსტიტუტს“.** და უცებ, როცა ხელისუფლების ამ უმაღლესი რგოლის დამხობას შეუდგნენ, არჩევნების, როგორც ხელისუფლების დესტაბილიზაციის მომენტის, გამოყენებით იმავე რგოლმა რატომღაც დაიჯერა, რომ არჩევნები სერიოზული საქმეა.

არავითარი ლოგიკური საფუძველი არ გააჩნდა ამგვარ უცნაურ მალაყს. ექსპერტების პოზიციის ასეთი კარდინალური ცვლილება შეიძლება აიხსნას მხოლოდ აუტისტური შეგნების შემოტევით. დაპირისპირებული პოლიტიკური ძალის წინააღმდეგ რეალური ბრძოლისთვის მომზადების ნაცვლად, ხელისუფლებამ საკუთარი კანდიდატურებითურთ საარჩევნო სამართალი და მისი აღსრულების უზრუნველმყოფი ორგანოები ილუზორულ დამცველ ფარად წარმოადგინა; ჩათვალა, რომ ეს არჩევნები არის კონკურენციის ნამდვილი მექანიზმი, რომელიც სამართლის ჩარჩოებში მოქმედებს.

პოლიტოლოგებმა შესანიშნავად იცოდნენ, რომ „კლასიკური“ არჩევნების მექანიზმი, ისევე, როგორც ეროვნული სახელმწიფოს „კლასიკური“ სუვერენიტეტი, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დაშლილია. **რომელი მთავრობა არის კანონიერი, რომელი — უკანონო, წყდება მეტროპოლიაში, თანაც ამისთვის არავითარი ფორმალური დასტური საჭირო არ არის (მაგალითად, ალექსანდრე ლუკაშენკო ბელარუსის „უკანონო“ პრეზიდენტად იყო მიჩნეული, კონდოლიზა რაისი კი (აშშ-ის სახელმწიფო მდივანი) დაუფარავად ეთათბირებოდა იქაურ ოპოზიციას პრეზიდენტის დამხობის საკითხზე. არჩევნები ხშირად ფიქცია, სპექტაკლი, რომლის ფინალი წინასწარ არის ცნობილი.**

**დ. იურევი** წერს: „დღეს ხელისუფლების კანონიერების აღიარების ერთადერთ პრინციპად მიჩნეულია სახალხო უმრავლესობის მხარდაჭერა, რომელიც „თავისუფალი“ არჩევნების შედეგად მიიღწევა. ერთადერთი, რასაც „დასავლეთი“ ოფიციალურად აღიარებს, ეს არის საზოგადოებრივი აზრი, რომელიც „თავისუფალი დემოკრატიული არჩევნების“ გზით დგინდება. მაშასადამე, საჭიროა საზოგადოებრივი აზრის გამოხატვაზე საკუთარი კონტროლის დაწესება. არჩევის უზურპაციის ტექნოლოგიები დაიყვანება მარტივ მოქმედებამდე — მანიპულაციური მეთოდების ამოქმედებით პიროვნებების გარკვეული ჯგუფის ნება ჯერ მოსახლეობის უმრავლესობის ნებად ცხადდება, შემდეგ კი, მოსახლეობის უმრავლესობას არწმუნებენ, რომ ეს ნება აუცილებლად თავისად უნდა აღიქვან“.

**ცხადია, რომ დასავლეთის მიერ არჩევნების ლეგიტიმურად ცნობა მოსახლეობის ყველა ჯგუფს, რომლებიც დამოკიდებული არიან ევროკავშირზე ან აშშ-ზე (მაგალითად, დასავლეთის ბაზრისთვის მომუშავე საწარმოების მეპატრონეები), აიძულებს, მხარი დაუჭიროს დასავლეთის მიერ აღიარებულ კანდიდატს. ისინი არც მალავენ, რომ მათთვის მნიშვნელოვანია არა ის, თუ ვინ გაიმარჯვებს არჩევნებში, არამედ ის, რომ დასავლეთმა არჩევნები ლეგიტიმურად ცნოს.**


„ხავერდოვანი რევოლუციის“ ბარიკადებზე

ასეთი ტენდენცია ჯერ კიდევ 2000 წლიდან შეიმჩნეოდა და ჩვენი სახელმწიფოების (უკრაინა, საქართველო და ა.შ.) „გარდამავალი პერიოდის“ თავისებურებად ითვლება. ანალიტიკოსების ერთი ნაწილი ამას ფაქტების მოხმობით ადასტურებს. მაგალითად, უკრაინაში, სანამ ხელისუფლება არჩევნებს ატარებდა, ევროპამ და აშშ-მა მის ტერიტორიაზე განახორციელეს „სპეცოპერაცია“, რომელშიც არჩევნები მხოლოდ ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი იყო. ეს შეთქმულება არ არის: მას რამენაირად მოევლებოდა; ეს სულ სხვა რამაა, რომელსაც უკრაინის ხელისუფლება ვერაფერს დაუპირისპირებდა. საქმე გვაქვს სტრატეგიულ სქემასთან, რომელიც ტაქტიკურად აწყობილია, ხოლო, თუ ტექნოლოგია და მოქმედების სქემა შექმნილია, ისინი, როგორც ცნობილია, ამოქმედდება და გავრცელდება (რ. შაიხუტდინოვი).

**საქართველოსა და სერბეთში მსგავსი რევოლუციების გამოცდილებიდან ისიც ცნობილია, რომ არჩევნები მხოლოდ თეატრის სცენაა, ხოლო სიტუაციას პოლიტიკური კონკურენტები სულ სხვა ტექნოლოგიების გამოყენებით წარმართავენ.** უკრაინული ოპოზიციის ლიდერები და, უწინარესად, **იულია ტიმოშენკო**, ჯერ კიდევ 2004 წლის ზაფხულიდან აცხადებდა, რომ „სისტემურად და თანმიმდევრობით“ ემზადებოდნენ იმისთვის, რომ, როცა არჩევნებში გამარჯვებულად აღიარებენ ხელისუფლების წარმომადგენელს, ისინი ნამდვილ აჯანყებას დაიწყებდნენ. მოძრაობა „ნაშა უკრაინას“ ერთ-ერთი ლიდერი **დავით ჟვანია** პირდაპირ აცხადებდა: „უკრაინაში ყველაფერი ზუსტად ისე იქნება, როგორც საქართველოში მოხდა“.

იუშჩენკოს გუნდი ხელისუფლებაში მოსვლას არჩევნების რეალური შედეგების მიუხედავად აპირებდა. მათ — გუნდმა და იუშჩენკომ, გააფრთხილეს საზოგადოება და ხელისუფლება, რომ არჩევნებს აღიარებდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი კანდიდატი გაიმარჯვებდა. მაშასადამე, არჩევნები თავის ძირითად მისიას კარგავდა, იგი პლებისციტად გადააქციეს, რომლის დროსაც ეძებენ პასუხს შეკითხვაზე: ვინ არის „ჩვენიანი“, ვინ კიდევ — „მოტყუებული მონა“ (ასე მოიხსენიებდნენ იანუკოვიჩის მომხრეებს ოპოზიციონერები). ამ ვითარებაში ულტერნატივო კანდიდატისთვის მიცემული ხმების რაოდენობას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. იყენებდნენ სრულიად განსხვავებულ მეთოდებს, რათა მოსახლეობის უმრავლესობა აეძულებინათ, ოპოზიციის კანდიდატისთვის დაეჭირათ მხარი. მავანს ტვინი გამოურეცხეს, ვილაც პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისით დააშინეს, ზოგმა კი თვითონ გადაწყვიტა, „ჩვენიანი“ გამხდარიყო, რათა გარიყულთა შორის არ აღმოჩენილიყო.

ამომრჩევლებს განუწყვეტლივ არწმუნებდნენ, რომ იუშჩენკოს დამარცხება შეუძლებელია და, თუ ხმების ოფიციალური დათვლის შედეგად გაირკვევა, რომ მან წააგო, მაშასადამე, ხელისუფლებამ გააყალბა არჩევნები და ყველა უნდა გამოვიდეს ქუჩაში გასაპროტესტებლად. ამ დროს კი იანუკოვიჩის შტაბში არ სჯეროდათ, რომ იუშჩენკო დარაზმავდა „ზონდერებს“ და შეძლებდა ათასობით მომხრის საპროტესტო „ბრძოლის“ ველზე გამოყვანას.

მოკლედ, ხელისუფლების საპასუხო რეაქცია არაადეკვატური იყო, ხოლო მოწოდებები ამომრჩევლებისადმი — მაღალფარდოვანი და მიზანს აცდენილი.

ეს ყველაფერი კი ხდებოდა მას შემდეგ, რაც სერბეთსა და საქართველოში პარლამენტების დარბევის მაგალითები თვალწინ ჰქონდათ.

ამრიგად, ხელისუფლებამ ყველა ძალა და საშუალება არჩევნების ჩატარებას შეალია და პოლიტიკური ოპონენტების „არჩევნების მიღმა“ ქმედების ნეიტრალიზების უნარი სრულად ამოწურა, ამიტომაც დამარცხდა.

**ოპოზიცია არჩევნების იგნორირებით წარმართავდა საქმიანობას და სახალხო დემოკრატიის გამოხატვის ამ ინსტიტუტს რევოლუციის მოსამზადებელ მექანიზმად იყენებდა, გამოიყენებდა ანტისაარჩევნო სქემას, რომელიც არ იბლოკებოდა და ამიტომ გაიმარჯვა.**

## ნაციონალიზმის ემოციური რესურსი

ყველა „ფერადი რევოლუცია“ ემყარება რეალურად არსებულ წინააღმდეგობებს, რომლებიც ხლეჩს საზოგადოებრიობას. ამგვარი წინააღმდეგობები ყოველგვარი ფორმაციის პირობებში არსებობს. სიტუაციის სიახლე გამოიხატა იმაში, რომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში ეფექტიანი ტექნოლოგიების გამოყენებით ისე გაღრმავდეს ადამიანთა შორის არსებული ბზარი, რომ განხეთქილებად იქცეს. და ეს განხეთქილება, თუნდაც დროებით, ისე შეეხოს მასობრივ სოციალურ ჯგუფებს, რომ ოპოზიციასა და ხელისუფლებას წარმოექმნას მოსახლეობის რაოდენობრივად და აქტიურად ფარდი ჯგუფები, რომლებიც მათ მხარდასაჭერად იქნება მზად, აქტიური ან პასიური მასის სახით, როგორც ამომრჩევლები ან კეთილმოსურნე ობივატელების ბრბო.

**„ფერადი რევოლუციისთვის“ აუცილებელი განხეთქილება ადამიანების შეგნებაში ისე უნდა იყოს ატროფირებული და გაზვიადებული, რომ ირაციონალურ თვისებად იქცეს. ბრბოში გაერთიანებულ ადამიანებს უნდა გაუქრეს განხეთქილების მიზეზების გაგების და მისი შედეგების გათვალისწინების სურვილი — უარყოფა უნდა იყოს სრული, გამორიცხავდეს მოწინააღმდეგესთან დიალოგის სურვილს.**

უკრაინაში ასეთ ირაციონალურ განხეთქილებას მიაღწიეს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში ანტირუსული ფსიქოზის გაღვივებით. ეს არ იყო ისეთი ნაციონალისტური გრძნობები, რომლებიც ოდითგანვე ახასიათებდა უკრაინელებს და რომლებიც ხან გამწვავდებოდა, ხან დაცხრებოდა. ასეთი ნაციონალიზმი ნებისმიერ ხალხს სხვადასხვა ხარისხით ახასიათებს და მისი ეთნოცენტრიზმის აუცილებელ გამოხატვად გვევლინება. იგი ხელს არ უშლის თანაცხოვრებისთვის აუცილებელი პირობების შექმნას და კომპრომისების გამონახვას.

სოციოლოგების გამოკვლევების მიხედვით, კანდიდატების საპროგრამო დებულებები და მათი პიროვნებები ამომრჩევლებს ნაკლებად აინტერესებთ. უკრაინული საზოგადოება ორად არის გაყოფილი: ნაწილი რუსეთთან კეთილმეზობლური დამოკიდებულების მომხრეა, ნაწილს ეზიზღება რუსეთი. ოპოზიციას აერთიანებს არა იმდენად ნაციონალიზმი, რამდენადაც რუსეთისადმი ირაციონალური სიძულვილი. ისინი მზად არიან, ქედი მოიხარონ ნებისმიერის წინაშე — პოლონელები იქნებიან ისინი, გერმანელები, ლიტველები თუ ამერიკელები, ოღონდ რუსეთისადმი მტრულად იყვნენ განწყობილნი. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას, რომ ბევრი ცნობილი უკრაინელი პატრიოტი, რომლებსაც ხშირად ნაციონალიზმს სწამებდნენ, აღმოჩნდა იანუკოვიჩის ბანაკში, მაგალითად, **კრავჩუკი, ჩორნოვოლი, კორჩინსკი და სხვები.**

განხეთქილება, რომელიც ერთმანეთს უპირისპირებდა დასავლეთ უკრაინის მოსახლეობას აღმოსავლეთისა და სამხრეთის მოქალაქეებს, ღრმავდებოდა ძლიერმოქმედი სიმბოლური აქციების მეშვეობით. ლვოვში, მაგალითად, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ლერმონტოვის ქუჩას დუდაევის სახელი დაარქვა, მშვიდობის ქუჩას სტეპან ბანდერას სახელი მიანიჭა, ტერნოპოლში კი ფაშისტური დივიზიის „ეს-ეს-გალიჩინას“ ქუჩა გაჩნდა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

სპორტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შესარჩევი ტურნირის ერთ-ერთ მატჩში, რომელიც 1965 წლის 27 ივნისს გაიმართა მოსკოვის ლუჟნიკებში და რომელსაც 100 ათასი მაყურებელი ესწრებოდა, სსრკ-მა ანგარიშით 6:0 გაანადგურა დანიის ნაკრები (დანია 1964 წლის ევროპის თასის ნახევარფინალისტი იყო). ამ მატჩში ქართველებმა 4 ბურთი გაიტანეს: 2 — ვლადიმერ ბარქაიამ, 1 — მესხმა, ერთიც — მეტრეველმა. ამასთანავე, ბარქაიას პასით ვორონინმაც შეაგდო ბურთი დანიელთა კარში. „ეს იყო განუმეორებელი სპექტაკლი, განსაცვიფრებელი სანახაობა, რომელიც შექმნეს მესხმა, მეტრეველმა და ბარქაიამ“, — წერდა იმდროინდელი საბჭოთა პრესა, — მესხი თავბრუდამხვევი ფინტებით უსწორდებოდა დანიელთა მცველებს, ზოგს — ერთი-ერთზე, ზოგს — ჯგუფურად“.**

# მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი ტელეტრანსლაცია, ძაღლი პიკლზი, ქალღმერთი ნიკე და «ფინტოლოგიის პროფესორი»

**მსოფლიოს XXI საფეხბურთო ჩემპიონატამდე, რომელიც სტარტს 14 ივნისს აიღებს მოსკოვში, 29 დღე დარჩა და სპორტის ამ ყველაზე პოპულარულ სახეობაში უმნიშვნელოვანესი შეჯიბრების დაწყებას მოუთმენლად ელის მილიონობით გულშემატკივარი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან; მათგან რამდენიმე ასეული ათასი, რომლებსაც ბედი გაუღიმებს, თანამედროვე სტანდარტების მიხედვით რეკონსტრუირებული და ახალაშენებული სტადიონების ტრიბუნებიდან, ხოლო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 3 მლრდ ტელემაყურებელი კი ტელეეკრანებზე მიადევნებს თვალს საუკეთესო ეროვნული ნაკრებების ასპარეზობასა და ფეხბურთის ვარსკვლავების თამაშს...**



გიორგი სიჭინავა, სლავა მეტრეველი, პელე, ანზორ ყავაზაშვილი, მიშა მესხი

ფეხბურთის გულშემატკივრები არცთუ იშვიათად კამათობენ, რომელი ფეხბურთელები უფრო ძლიერები არიან: ისინი, ვინც გასული საუკუნის 60-70-იან წლებში თამაშობდნენ თუ ამჟამინდელი პერიოდის; სამწუხაროდ, დღეს შეუძლებელია გასული საუკუნის ლეგენდების გამოყვანა მინდორზე, მათი დაპირისპირების ხილვა თანამედროვე ფეხბურთის დიდოსტატებთან და თითოეული მათგანის ოსტატობის ობიექტური შეფასება, მაგრამ, ბევრი სტაჟიანი გულშემატკივრის აზრით, ადრე თავდამსხმელები უფრო ინდივიდუალურ, შემოქმედებით თამაშს აჩვენებდნენ, ნახევარმცველები უფრო ძლიერი იყვნენ, მეკარეები შესანიშნავი რეაქციით გამოირჩეოდნენ, დაცვა კი თითქმის გაუვალი იყო. როცა ამ საკითხზე კამათობენ, ასახელებენ ბრაზილიელებს — **პელესა** და **გარინჩას,** უნგრელ **ფერენც პუშკაშს**, გერმანელებს — **ფრანც ბეკენბაუერსა** და **გერდ მიულერს,** ჰოლანდიელ **იოჰან კროიფს**. ინგლისელ **ბობი ჩარლტონს,** არგენტინელ **დი სტეფანოსა** და მის თანამემამულე **დიეგო მარადონას**. ქართველი გულშემატკივრებისთვის (და არა მხოლოდ) გამორჩეული ქართველი ფეხბურთელები არიან **ბორის პაიჭაძე, ავთანდილ (ბასა) ღოღობერიძე, მურთაზ ხურცილავა, გიორგი სიჭინავა, ვლადიმერ (სიომა) ბარქაია, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი**, უფრო გვიანდელი თაობიდან — **მანუჩარ მაჩაიძე, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, ვლადიმერ გუცაევი, ალექსანდრე ჩივაძე** და სხვ.

ჩამოთვლილ ლეგენდარულ ფეხბურთელთაგან ბევრის თამაში დღევანდელი გულშემატკივრების დიდ ნაწილს მხოლოდ 1958, 1962, 1966 და 1970 წლების საფეხბურთო ჩემპიონატებზე გადაღებული დოკუმენტურ ფილმებში თუ უნახავს. საზოგადოდ კი, საფეხბურთო ჩემპიონატების ტელეტრანსლაცია 1966 წელს ინგლისში გამართული VIII მსოფლიო ჩემპიონატით დაიწყო.

აღსანიშნავია, რომ 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატში, სსრკ-ის საფეხბურთო ნაკრებმა თავის ისტორიაში ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია — მეოთხე ადგილი დაიკავა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვა (ნახევარფინალში დამარცხდა გფრ-სთან — 1:2, III ადგილისთვის ბრძოლაში კი — ამავე ანგარიშით პორტუგალიის ნაკრებთან). ამ ნაკრების შემადგენლობაში იყო 4 ქართველი ფეხბურთელი:

**ანზორ კავაზაშვილი, მურთაზ ხურცილავა, გიორგი სიჭინავა** და **სლავა მეტრეველი.**

მედასავლეთე ლიბერალების მიერ გავრცელებული აზრის საწინააღმდეგოდ, თითქოს საბჭოთა კავშირში ყველაფერი ცუდი იყო, ქართველებს ჩაგრავდნენ და გასაქანს არ აძლევდნენ, უნდა ითქვას, რომ სწორედ საბჭოთა პერიოდში მიაღწია ქართულმა ფეხბურთმა, საერთოდ, ქართულმა სპორტმა, და არა მხოლოდ სპორტმა — კინომ, თეატრმა, ლიტერატურამ, მხატვრობამ უდიდეს წარმატებებს. იმ „ბნელ“ საბჭოთა პერიოდში ქართველებს გვყავდა მსოფლიოში სახელგანთქმული სპორტსმენები: მსოფლიოს 5-გზის ჩემპიონები ჭადრაკში — ჯერ **ნონა გაფრინდაშვილი,** შემდეგ — **მაია ჩიბურდანიძე** და ჩვენი ქვეყანა 30 წლის(!) განმავლობაში ინარჩუნებდა ჭადრაკის დედოფლის გვირგვინს, გვყავდა მოჭიდავე **ლევან თედიაშვილი** — ოლიმპიური თამაშების 2-გზისა და მსოფლიოს 4-გზის ჩემპიონი, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე **რომან რურუა** — ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონი, განუმეორებელი **ვიქტორ სანეევი** — მსოფლიოში ერთადერთი მძლეოსანი, რომელმაც სამხტომში 3-ჯერ შეძლო ოლიმპიური ოქროს მედლის მოგება და რომელიც ამჟამად შორეულ ავსტრალიაშია გადახვეწილი. როგორ შეიძლება დავივიწყოთ თბილისის „დინამოს“ კალათბურთელების მიერ 1962 წელს ჩემპიონთა თასის ფინალში მოპოვებული გამარჯვება მადრიდის „რეალის“ წინააღმდეგ ან თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო გუნდის 1964 წლის „ოქროს მატჩი“ ტაშკენტში თუ 1981 წელს მოპოვებული გამარჯვება დიუსელდორფში და ამ გამარჯვებებით გამოწვეული საყოველთაო სიხარული?!



აი ასეთ შავ დღეში აგდებდა მიხეილ მესხი მოწინააღმდეგეს

„ჩაგვრის“ მიუხედავად, საბჭოთა კავშირის ნაკრების მაისურით სხვადასხვა წელს უმნიშვნელოვანეს შეჯიბრებებში მონაწილეობდნენ ქართველი ფეხბურთელები: **ვლადიმერ მარღანია, გიორგი ანთაძე, ავთანდილ ღოღობერიძე, ავთანდილ ჭკუასელი, ანზორ კავაზაშვილი, მურთაზ ხურცილავა, გიორგი სიჭინავა, რევაზ ძოძუაშვილი, გივი ნოდია, კახი ასათიანი, დავით ყიფიანი, შოთა ხინჩაგაშვილი, რამაზ შენგელია, მანუჩარ მაჩაიძე, ვახტანგ ქორიძე, ვლადიმერ გუცაევი, თენგიზ სულაქველიძე, ოთარ გაბელია, ალექსანდრე ჩივაძე, ვიტალი დარასელია, რევაზ ჩელებაძე, თამაზ კოსტავა.** 1960 წლის ევროპის ერთა თასზე (ასე ერქვა იმხანად ევროპის პირველ საფეხბურთო ჩემპიონატს, რომელშიც სსრკ-მა გაიმარჯვა) ოქროს მედლები მოიპოვეს **გივი ჩოხელმა, სლავა მეტრეველმა, მიხეილ მესხმა;** 1988 წელს სეულის ოლიმპიურ თამაშებზე სსრკ-ის ნაკრების შემადგენლობაში ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა **გელა კეტაშვილმა**.

დავუბრუნდეთ 1966 წელს ინგლისში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატს, რომელიც უამრავი სკანდალით აღინიშნა: ჯერ, ჩემპიონატის დაწყებამდე სამი თვით ადრე, ვერცხლისგან ჩამოსხმული და მოოქრული ქალღმერთი ნიკე (იმჟამინდელი კურსით 30 ათას გირვანქა სტერლინგად იყო შეფასებული) — **ჟიულ რიმეს** სახელობის თასი, რომელიც ლონდონის ცენტრში, ვიტრინაში იყო გამოფენილი დასათვალიერებლად და რომელსაც 24 საათის განმავლობაში სკოტლენდ-იარდი იცავდა, ქურდებმა თვალსა და ხელს შუა აწაპნეს ბრიტანელ სამართალდამცველებს. თასი, რომელსაც ეძებდნენ ბრიტანეთის ტერიტორიაზე რამდენიმე დღის განმავლობაში, ვინმე **დევიდ კორბეტის** ძაღლმა, სახელად **პიკლზმა** („ცუღლუტი“), ბუჩქებში შემთხვევით იპოვა ლონდონის ერთ-ერთ ქუჩაზე. ბევრი ვარაუდობდა, რომ ინგლისელებმა თასი ხელახლა დაამზადეს. აღსანიშნავია, რომ გასული საუკუნის 1983 წლის დეკემბერში ეს თასი ბრაზილიის საფეხბურთო კონფედერაციის ოფისიდან მოიპარეს, იქ კი აღარ იყო კიდევ ერთი პიკლზი, რომელიც იპოვიდა, და თასიც სამუდამოდ დაიკარგა...

1966 წელს ჩემპიონატის მეოთხედფინალში, სადაც ინგლისი არგენტინას ხვდებოდა, გერმანელმა მსაჯმა **კრაიტლანმა** 35-ე წუთზე მოედნიდან გააძევა არგენტინის ერთ-ერთი ლიდერი **რატინი**, როგორც მსაჯმა განაცხადა, სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო, არადა, როგორც გაირკვა, გერმანელმა მსაჯმა ესპანური არ იცოდა. რატინი უარს ამბობდა მინდვრიდან გასვლაზე, მაგრამ ის რამდენიმე პოლიციელმა ძალით გაიყვანა. ამ ინციდენტიდან 30 წუთში ინგლისელებმა გამარჯვების ბურთი გაიტანეს და ნახევარფინალში გავიდნენ. ფინალი კი, სადაც „ნისლიანი ალბიონის“ წარმომადგენლები გფრ-ის ნაკრებს შეხვდნენ, კიდევ ერთი სკანდალით აღინიშნა. ლაინსმენმა, აზერბაიჯანელმა **ტოფიკ ბახრამოვმა,** როცა ანგარიში იყო 2:2, გერმანელთა კარში გატანილად ჩათვალა ბურთი, ▶

**«ერთ-ერთ ეპიზოდში პელეს გვერდით აღმოვჩნდი. მე ზურგით ვიდექი, მივიღე ბურთი, შემოვბრუნდი, პელე უკვე ჩემ წინ იყო, ცრუმოძრაობა გავაკეთე და ბურთი ფეხებს შუა გავუძვრინე. ჯერ გაოგნდა, შემდეგ დამედევნა, ზურგზე შემახტა და მაკოცა. ასე გავირბინეთ რამდენიმე მეტრი, შემდეგ მსაჯმა ჯარიმა დანიშნა»**

სპორტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იმის მიუხედავად, რომ „აჯანყებული“ ძიუდოისტები ამბობდნენ, ერთი გუნდი ვართ და ვარჯიშს ვწყვეტთო, ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა შავდათუაშვილი და ევროპის ჩემპიონი ვაჟა მარგველაშვილი ფედერაციის ხარჯებით სავარჯიშოდ იაპონიაში გაემგზავრნენ. სამხრეთ კორეაში წავიდნენ ბექა ღვინიაშვილი, თამაზ კირაკოზაშვილი და თორნიკე ნაგლიაშვილი, თუმცა წასვლამდე დაიბარეს, რომ ნაკრებს მხარს უჭერენ. არადა, დაგვეთანხმებით, ლოგიკაში არ ჯდება, აპროტესტებდე, ვარჯიშის შეწყვეტის შესახებ განცხადებას აკეთებდე და შემდეგ ფედერაციის მიერ დაფინანსებულ შეკრებაზე მიდიოდე.**



ძაღლი პიკლზი

◀ რომელსაც კარის ხაზი არ გადაუკვეთია...

1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ და საფინალო სტადაზე სსრკ-ს ნაკრების შემადგენლობაში თამაშობდა 6 (?) ქართველი ფეხბურთელი: ანზორ კავაზაშვილი, მურთაზ ხურცილავა, გიორგი სიჭინავა, სლავა მეტრეველი, ვლადიმერ ბარქაია და მიხეილ მესხი. შესარჩევი ტურნირის ერთ-ერთ მატჩში, რომელიც 1965 წლის 27 ივნისს გაიმართა მოსკოვის ლუჟნიკებში და რომელსაც 100 ათასი მაყურებელი ესწრებოდა (დანიის ნაკრები 1964 წლიდან ევროპის თასის ნახევარფინალისტი იყო), სსრკ-მა ანგარიშით 6:0 გაანადგურა დანიის ნაკრები (დანია 1964 წლის ევროპის თასის ნახევარფინალისტი იყო). ამ მატჩში ქართველებმა 4 ბურთი გაიტანეს: 2 — ვლადიმერ ბარქაიამ, 1 — მესხმა, ერთიც — მეტრეველმა. ამასთანავე, ბარქაიას პასით **ვორონინმაც** შეაგდო ბურთი დანიელთა კარში. **„ეს იყო განუმეორებელი სპექტაკლი, განსაცვიფრებელი სანახაობა, რომელიც შექმნეს მესხმა, მეტრეველმა და ბარქაიამ“,** — წერდა იმდროინდელი საბჭოთა პრესა, **— მესხი თავბრუდამხვევი ფინტებით უსწორდებოდა დანიელთა მცველებს, ზოგს — ერთი-ერთზე, ზოგს — ჯგუფურად“.**

იმავე 1965 წელს სსრკ-ის საფეხბურთო ნაკრები ორჯერ შეხვდა იმხანად ორგზის (ზედიზედ) მსოფლიოს ჩემპიონ ბრაზილიის ნაკრებს, რომელშიც თამაშობდნენ **პელე, გარინჩა, ჟერსონი** და სხვები. პირველ მატჩში, რომელიც მოსკოვში 1965 წლის 4 ივლისს გაიმართა, მონაწილეობდა 5 ქართველი: ანზორ კავაზაშვილი, გიორგი სიჭინავა, სლავა მეტრეველი, ვლადიმერ ბარქაია და მიხეილ მესხი (ტრავმის გამო არ იყო მურთაზ ხურცილავა). ეს შეხვედრა სსრკ-ის ნაკრებმა ანგარიშით 0:3 წააგო. მეორე მატჩში კი, რომელიც რიო-დე ჟანეიროში ცნობილ სტადიონ „მარაკანაზე“ გაიმართა (ესწრებოდა 132 ათასი კაცი) და 2:2 დამთავრდა, ქართველებმა გაიბრწყინეს — 1 ბურთი გაიტანა სლავა მეტრეველმა, რომელსაც



ჟიულ რიმეს თასი

ბრაზილიელმა ჟურნალისტებმა საბჭოელი გარინჩა შეარქვეს, მიხეილ მესხმა კი ჯერ **ჯალმა სანტოსი** დატანჯა თავისი ფინტებით, შემდეგ პელეს ფეხებს შორის გაუძვრინა ბურთი. აი როგორ იხსენებს ამ მომენტს ცნობილ მწერალსა და ჟურნალისტ **დემიკო ლოლაძესთან** მიხეილ მესხი, რომელსაც ფეხბურთის ასევე ცნობილმა რუსმა მიმომხილველმა **იური ვანიატმა** „ფინტოლოგიის პროფესორი“ შეარქვა: **„ერთ-ერთ ეპიზოდში პელეს გვერდით აღმოვჩნდი. მე ზურგით ვიდექი, მივიღე ბურთი, შემოვბრუნდი, პელე უკვე ჩემ წინ იყო, ცრუმოძრაობა გავაკეთე და ბურთი ფეხებს შუა გავუძვრინე. ჯერ გაოგნდა, შემდეგ დამედევნა, ზურგზე შემახტა და მაკოცა. ასე გავირბინეთ რამდენიმე მეტრი, შემდეგ მსაჯმა ჯარიმა დანიშნა“.** ეს იყო საბჭოთა კავშირის ნაკრების მაისურით ქართველი ფეხბურთელების ერთ-ერთი წარმატებული თამაში. ასეთი მატჩები სხვა ქართველ ფეხბურთელებსაც ჰქონდათ და მათ თავიანთი სახელები ოქროს ასოებით ჩაწერეს ფეხბურთის ისტორიაში. დღეს კი... დღეს საქართველოში, საფეხბურთო ტალანტებით ცნობილ ქვეყანაში, ე.წ. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 27 წლის თავზე ფეხბურთს, სამწუხაროდ, პულსი აღარ ესინჯება...

**ნიკა კორინთელი**

**ცნობისთვის:**

**საქართველოს სპორტის ოლიმპიური ისტორია 1950-იანი წლებიდან იწყება. ქართველებისთვის პირველი ოლიმპიადა იყო 1952 წელს ჰელსინკში გამართული თამაშები, სადაც 3 ოქროს, 4 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი მოვიპოვეთ. მას შემდეგ, დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, ანუ 1991 წლამდე 8 ოლიმპიადაში მონაწილეობდნენ ჩვენი სპორტსმენები და 28 ოქროს, 23 ვერცხლისა და 34 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს; 1992-დან 2016 წლამდე კი 7 ოლიმპიადაზე — მხოლოდ 11 ოქროს, 1 ვერცხლისა და 28 ბრინჯაოს მედალი, თუმცა, თუ 1992 წლის მონაცემებს გამოვაკლებთ, როცა საქართველო დსთ-ის გუნდის სახელით გამოდიოდა, შედეგი კიდევ უფრო ნაკლები იქნება — 8 ოქროს, 1 ვერცხლისა და 23 ბრინჯაოს მედალი, ანუ 3-ჯერ და მეტჯერ ნაკლები.**

# ქევხიშვილმა იმოქმედა პრინციპით «დაყავი და იბატონე»

**ძიუდოს ფედერაციაში სიჩუმეა. უფრო ზუსტად, მიმდინარე აქციების ფონზე, ძიუდოისტთა პროტესტმა თითქოს მეორე პლანზე გადაიწია. პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: ნარკოტიკების ლეგალიზაციის მოთხოვნით ქუჩაში გამოსულ ადამიანებს იმაზე მეტ ყურადღებას აქცევენ, ვიდრე იმ ბიჭებს, რომლებმაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არაერთხელ ასახელეს სამშობლო. ვის აძლევს ხელს ძიუდოისტების პრობლემის დამალვა და რეალურად რასთან გვაქვს საქმე? ნაკრების წევრებმა ფედერაციის პრეზიდენტ დავით ქევხიშვილს 18 ბრალდება წაუყენეს და, ერთი მაინც რომ გამართლდეს, საქმე სისხლის სამართლის დანაშაულთან გვექნება.**

**აი, რას მოითხოვენ ძიუდოისტები ფედერაციისგან:**

**1.** წარმოადგინოს ყველა საბუთი და გაგვცეს პასუხი, თუ სად დაიკარგა და წავიდა ის თანხები, რომლებიც სპორტსმენებს ოლიმპიადის ლიცენზიის მოპოვებისთვის უნდა მიეღოთ; 85 ათასი ლარის ნაცვლად რატომ ჩაირიცხა 13 ათასი ლარი და რაში დაიხარჯა ის;

**2.** სად მიდის სახელფასო ფონდიდან ჩარიცხული თანხები, რომლებიც „ატკატის“ სახით ბრუნდება ფედერაციაში;

**3**. მწვრთნელებისთვის განკუთვნილი საპრემიო ფონდიდან რატომ აბრუნებინებს 10%-ს უკან და რაში ხარჯავს;

**4.** ვისი ხარჯებით დადიან გულშემატკივრები ტურნირებზე, როდესაც ძიუდოს ეროვნულ ნაკრებს არ ჰყავდა ევროპის ჩემპიონატზე მასაჟისტი; გაასაჯაროოს, ვისი თანხებით დადიან და რატომ არ იყო მასაჟისტი ევროპის ჩემპიონატზე;

**5.** რატომ არ ჰყავს ქალთა ნაკრებს პირადი ექიმი;

**6.** რა ძალა გვმართავს — დაასახელოს კონკრეტული სახელი და გვარი იმ ადამიანის, რომელიც გვმართავს;

**7.** რატომ არ იყო ყრილობა საჯარო, რატომ არ მიეცით ჟურნალისტებს დასწრების უფლება, რას საუბრობდით და რას განიხილავდით;

**8.** ვინ არიან ალმასკომის წევრები: ის ადამიანები, რომლებიც ძიუდოისტების ბედს წყვეტენ, რა დამსახურებებით დაინიშნენ;

**9.** რამდენი კლუბია „შევარდენი 2005“-ში დარეგისტრირებული, ერთ დარბაზში; რომელ კლუბებსაც აქვთ არჩევნებში მონაწილეობისა და პრეზიდენტის არჩევის უფლება, ჩამოთვალოს;

**10.** რომელმა სპორტსმენმა ამოვწურეთ ჩვენი შესაძლებლობა, რომელს არ შეგვწევს ძალა, ვასახელოთ ჩვენი ქვეყანა, რომელი ვართ იმ ასაკის, რომ პრეზიდენტობა, ვიცეპრეზიდენტობა ან სხვა პოსტი გვინდოდეს;

**11.** ვინ დგას ქევხიშვილის უკან; არ გვინდა, კონკრეტულად დავასახელოთ, რომ დაძაბულობამდე არ მივიდეს კიდევ ეს საქმე. ხალხის თვალში თავს შერცხვენილად ვთვლით, ამ ზომამდე ქევხიშვილმა მიგვიყვანა;

**12.** საკლუბო ჩემპიონატი ტარდება. ქევხიშვილმა — თანხები გამოვყავი და ვაფინანსებ ამდენ სპორტსმენსო. რატომ აბრუნებინებს სპორტსმენებს 10%-ს უკან პრემიებიდან. წარმოადგინოს ყველა საბუთი;

**13.** რატომ ითხოვდა სპორტსმენებისთვის განკუთვნილი შედეგებიდან 10%-ს. მივიღებდით თანხას და შემდეგ 10% უკან რატომ უნდა დაგვებრუნებინა;

**14.** რატომ დააგვიანა ფედერაციამ **ლუხუმ ჩხვიმიანის** განაცხადის გაგზავნა მასტერსზე. გაგვცეს კონკრეტული პასუხი, ვინ იყო პასუხისმგებელი პირი; მასტერსზე კარიერის განმავლობაში შეიძლება ერთხელ მოუწიოს სპორტსმენს ასპარეზობა და მათი უყურადღებობით ჩხვიმიანმა ეს ვერ მოახერხა. ვინ არის პასუხისმგებელი ამაზე;

**15.** სად წავიდა „ზედაზენის“ მიერ დაფინანსებული შეჯიბრების ხარჯები, რომლებიც სპორტსმენებს უნდა მიეღოთ. რატომ არ მისცეს ჩემპიონებსა და პრიზიორებს, როდესაც შავით თეთრზე ეწერა, ვის რამდენი თანხა უნდა მიეღო და სპორტსმენებს ცარიელი კონვერტები რატომ გადასცეს;

**16.** რატომ ათავისუფლებს მწვრთნელებს ალმასკომის გარეშე და რატომ იგებენ ამას სპორტსმენები სახლში, თუ ის ერთპიროვნულად არ იღებს გადაწყვეტილებებს;

**17.** რატომ არ აძლევს სპორტსმენებს კიმონოებს ან რატომ აძლევს შერჩევით. 2015-2016 წლებში 300 კიმონო გამოუგზავნა საერთაშორისო ფედერაციამ, ვინ იცვამდა და სად მიდიოდა;

**18.** რატომ არ შეგვხვდა და რატომ ცდილობს დახურულ კარს მიღმა ისაუბროს. რატომ არ უნდა, სააშკარაოზე გამოიტანოს ყველა ის საკითხი, რომლებიც კი ჩვენ გვაწუხებს.

სულ ესაა, რაც ძიუდოისტებს აინტერესებთ, თუმცა ძაღლის თავი რეალურად ფინანსებშია დამარხული. სად და რაში იხარჯება თანხები, პასუხის გამცემი არავინაა. ეგ კი არა, ძიუდოს ფედერაციას ხარჯთაღრიცხვას რატომღაც არ სთხოვს სპორტის სამინისტრო. მაგალითად, ძიუდოს ეროვნულ ფედერაციას თბილისის გრანპრის ჩატარებისთვის მიღებული მილიონ 224 ათას 320 ლარის ხარჯთაღრიცხვა აქამდე არ წარუდგენია. არადა, სპორტის სამინისტროს უმკაცრესად აქვს გაწერილი, რომ ყველა ფედერაციამ ხარჯები ტურნირის დასრულებიდან 20 დღის ვადაში უნდა წარადგინოს. **ქევხიშვილს** კი არც ანგარიში წარუდგენია და პასუხსაც არავინ სთხოვს. არადა, თბილისის გრან-პრი 30 მარტს დაიწყო და 1 აპრილს დასრულდა. შესაბამისად, ფედერაციას სამინისტროში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თანხის ხარჯთაღრიცხვა სამინისტროსთვის 21 აპრილს უნდა წარედგინა.

**„ფაქტია, რომ დარღვევები არის, მაგრამ მათზე ყურადღებას არავინ ამახვილებს. სახელმწიფო სტრუქტურები არც იმით დაინტერესდნენ, მწვრთნელმა ლევან ციგრიაშვილმა რომ თქვა, ხელფასიდან 200 ლარს ყოველთვიურად ქეშად ვაბრუნებით ფედერაციაშიო. სპორტსმენებმა უკვე ვთქვით, რომ პრემიებიდან თუ ხელფასებიდან 10 პროცენტს უკან გვაბრუნებინებდნენ და მეტი რა ვთქვათ?! ლიცენზიის მოსაპოვებლად 85 ათასი ჩაგვირიცხეს, ფედერაციამ მხოლოდ 13 ათასი გაიმეტა. არადა, ეს თანხა იმიტომ ჩარიცხეს, რომ სპორტსმენმა ნორმალურ პირობებში შეძლოს ვარჯიში. გვიპასუხონ: მორაგბეები ან ფეხბურთელები ნაკრების ფორმას ყიდულობენ? აი, ჩვენ ვყიდულობთ და ეს იმის მიუხედავად, რომ საკმარის ფორმას გვიგზავნის ძიუდოს საერთაშორისო ფედერაცია“,** — გვითხრა ერთ-ერთმა ძიუდოისტმა.

იმის მიუხედავად, რომ „აჯანყებული“ ძიუდოისტები ამბობდნენ, ერთი გუნდი ვართ და ვარჯიშს ვწყვეტთო, ოლიმპიური ჩემპიონი **ლაშა შავდათუაშვილი** და ევროპის ჩემპიონი **ვაჟა მარგველაშვილი** ფედერაციის ხარჯებით სავარჯიშოდ იაპონიაში გაემგზავრნენ. სამხრეთ კორეაში წავიდნენ **ბექა ღვინიაშვილი, თამაზ კირაკოზაშვილი და თორნიკე ნაგლიაშვილი,** თუმცა წასვლამდე დაიბარეს, რომ ნაკრებს მხარს უჭერენ. არადა, დაგვეთანხმებით, ლოგიკაში არ ჯდება, აპროტესტებდე, ვარჯიშის შეწყვეტის შესახებ განცხადებას აკეთებდე და შემდეგ ფედერაციის მიერ დაფინანსებულ შეკრებაზე მიდიოდე. ფაქტია, რომ ქევხიშვილმა იმოქმედა პრინციპით „დაყავი და იბატონე“ და გაუმართლა კიდეც. ახლა ჯერი ძიუდოისტებზეა. როგორც გვითხრეს, საქართველოში დარჩენილები აქციების განახლებას გეგმავენ.



**ბესო ბარბაქაძე**

# «ნესტლე» იფურჩქნება, ეთიოპია შრება




**შარშან აღმოსავლეთ აფრიკაში ბოლო ათწლეულების განმავლობაში ყველაზე ძლიერი გვალვა აღინიშნა. საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციები და გაერო აცხადებენ, რომ მილიონობით ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. გერმანიამ 100 მილიონი ევრო გადაურიცხა ეთიოპიის მთავრობას შიმშილთან საბრძოლველად, — იუწყება გერმანული ტელეარხი kla.tv.**

ამასთანავე, შვეიცარიული კონცერნი „ნესტლე" ეთიოპიის ტერიტორიაზე ყოველ ერთ საათში 50 000 ლიტრ წყალს ქაჩავს. ეს იმ რაოდენობის ნახევარზე მეტია, რაც ქვეყნის ხელისუფლებას სჭირდება მოსახლეობის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. წყალს ასხამენ პლასტიკურ ბოთლებში და საკმაოდ ძვირად ყიდიან.

ნიგერიის ჩრდილო-აღმოსავლეთში ასიათასობით ბავშვს წყლის უკმარისობით გამოწვეული სიკვდილი ელის. „ნესტლე" იქაც ტუმბავს წყალს. ანალოგიური რამ ხდება ალჟირში, სამხრეთ აფრიკასა და სხვა ქვეყნებში. წყლის ბიზნესი ისე მომგებიანია აფრიკაში, რომ კონცერნი „ნესტლე" ახალი საწარმოების აშენებას აპირებს ეთიოპიაში. იმის მაგიერ, რომ „დემოკრატიული და ჰუმანური დასავლეთი" დაეხმაროს ეთიოპიას პრობლემის მოგვარებაში, „ნესტლე" განაგრძობს საკუთარი შემოსავლების ზრდას ადგილობრივი მოსახლეობის სიცოცხლის ხარჯზე.

ბოლო წლების განმავლობაში „ნესტლე" არაერთ სკანდალში გაეხვია. მაგალითად, 2013 წელს „ნესტლეს" მიერ წარმოებულ კონსერვებში „მაკარონი ხორცით" აღმოაჩინეს ცხენის ხორცი. ესპანეთსა და იტალიაში, სადაც ეს კონსერვები იყიდებოდა, დიდი სკანდალი აგორდა. 2010 წელს გამოვიდა დოკუმენტური ფილმი სახელწოდებით „შოკოლადის ბნელი მხარე", რომელშიც მოთხრობილია, როგორ შეისყიდის „ნესტლე" კაკაოს კოტ დ'ივუარიდან, სადაც მისი მოვლა-მოყვანისთვის 12-15 წლის მონაბავშვების შრომას იყენებენ. მათგან ზოგს მეზობელი ქვეყნებიდან იტაცებენ, ზოგი კი პლანტაციებში კოტ დ'ივუარიდან მიჰყავთ. პატარა მონების შრომა და ბავშვებით ვაჭრობა ფართოდაა გავრცელებული დასავლეთ აფრიკაში.



# ვუჩიჩი: სერბეთი არასოდეს არ შევა ნატოში

**სერბეთის პრეზიდენტმა ალექსანდრე ვუჩიჩმა თავის კოლეგასთან — რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან შეხვედრისას განაცხადა, რომ სერბეთი არ აპირებს არც ნატოში, არც რომელიმე სხვა სამხედრო ალიანსში გაერთიანებას და დაიცავს სამხედრო ნეიტრალიტეტს.**

„სერბეთი დაიცავს თავის დამოუკიდებლობას, თავის სამხედრო ნეიტრალიტეტს და არ აპირებს არც ნატოს წევრობას, არც ნებისმიერი სხვა სამხედრო კავშირის წევრობას", — თქვა ვუჩიჩმა. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინათ ქვეყანაში ჩატარებული სოციალური გამოკითხვის შედეგების მიხედვით, გამოკითხვაში მონაწილეთა 84 პროცენტს არ სურს ნატოს სამხედრო ალიანსში გაერთიანება.



# «ფანტასტიკური იდეაა» — ასე შეაფასა ევროდეპუტატმა «უკვდავი პოლკი»

**ევროპარლამენტის დეპუტატმა, ბრიტანელმა ქალბატონმა ჯენის ეტკინსონმა მონაწილეობა მიიღო მოსკოვში გამართულ „უკვდავი პოლკის" მსვლელობაში და უმაღლესი შეფასება მისცა მილიონთა ამ აქციას.**

იგი დემონსტნანტთა კოლონას მამამისის — **ჯორჯ კომბსის** პორტრეტით შეუერთდა. ჯორჯ კომბსი 1944 წლის „ჩრდილოეთის ბადრაგის" მონაწილე იყო, რომლის მეშვეობთ მოკავშირეები საბჭოა კავშირს ამარაგებდნენ „ლენდლიზით" გათვალისწინებული ტექნიკით, აღჭურვილობითა და პროდუქტებით. ეტკინსონის თქმით, სწორედ საბჭოთა კავშირმა დააჯილდოვა მამამისი პირველი მედლით. ევროდეპუტატმა აქციის იდეას „ფანტასტიკური" უწოდა.

პოლიტიკოსის აზრით, „უკვდავი პოლკი" ომის მონაწილეებისადმი პატივისცემის გამოხატვის, მათი არდავიწყების შესანიშნავი საშუალებაა, ამასთანავე, არგუმენტია გარდასული საშინელებების განმეორების წინააღმდეგ.

ნიშანდობლივია, რომ რიგაში „უკვდავი პოლკის" მსვლელობაში მონაწილეობდა 15 ათასი ადამიანი, რაც ამ ქალაქისთვის რეკორდული მაჩვენებელია.

# მაკრონი: ჩვენ გვჭირდება ურთიერთობა რუსეთთან, რათა ერთობლივად გადავჭრათ მსოფლიო კრიზისები



**ემანუელ მაკრონი რუსეთთან სტრატეგიული დიალოგის გამართვას აპირებს. ეს ორივე ქვეყანას ხელს შეუწყობს, გადაწყვიტოს საერთო კრიზისები. დიალოგი გულუბრყვილობის გარეშე წარიმართება. ამის თაობაზე საფრანგეთის პრეზიდენტმა Le Journal du Dimanch-თან ინტერვიუში ისაუბრა. ამასთანავე, გამოცემას გააცნო დეტალები პრეზიდენტ პუტინთან სატელეფონო საუბრისა, რომელიც სირიაზე კოალიციის სარაკეტო დარტყმის წინა დღეს გაიმართა.**

„ჩვენ რუსეთთან უნდა დავამყაროთ კულტურული, სამეცნიერო და გეოპოლიტიკური ურთიერთობა, რათა გადავჭრათ საერთაშორისო კრიზისები, რომლებიც ყველას გვეხება", — შენიშნა საფრანგეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელმა, მაგრამ იგი არ აპირებს, რუსეთს საფრანგეთის საშინაო საქმეებში ჩარევის უფლება მისცეს.

მაკრონის აზრით, მხოლოდ ასეთი პოზიციით შეიძლება აღდგეს ურთიერთპატივისცემა. მისი სიტყვები რომ გავიმეოროთ, „რუსული პროპაგანდის ინტენსივობამ საფრანგეთში იკლო", „ხოლო ორ ქვეყანას შორის პატიოსანი დიალოგით შესაძლებელი გახდა, სირიის რეჟიმისთვის გადაგვეცა საფრანგეთის მიმართვები, ასევე გვეცნობებინა, სირიაში პოლიტიკური რეჟიმის მოსაწესრიგებლად ჩვენი განზრახვის მნიშვნელობა".

„ვლადიმერ პუტინი მიხვდა, რომ მე ნეოკონსერვატორი არ ვარ. მხარს არ ვუჭერ ინტერვენციებს, არ მსურს ომი სირიის რეჟიმთან", — აღნიშნა საფრანგეთის ლიდერმა და დასძინა, რომ განზრახული აქვს, სტრატეგიული და ისტორიული დიალოგი გამართოს რუსეთთან, დააკავშიროს ეს ქვეყანა ევროპასთან და აარიდოს საკუთარ თავში ჩაკეტვის საფრთხე.

მაკრონი დარწმუნებულია, რომ პუტინი „ოცნებობს, რუსეთს დაუბრუნოს დიდება". „დამცირებამ, რომელიც ბერლინის კედლის დანგრევას მოჰყვა, მას სერიოზული დაღი დაასვა, რაც ბიძგს აძლევს იმ ადამიანის ქმედებას, რომელმაც ეს პერიოდი საკუთარი ხალხის შეურაცხყოფად აღიქვა. მე ამის გაგება შემიძლია, მაგრამ ჩემთვის რუსეთი ევროპის ნაწილია, მიუხედავად იმისა, რომ იგი არასოდეს იცნობდა ისეთ დემოკრატიას, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ", — განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა.



# ირანის პარლამენტში აშშ-ის დროშა დაწვეს

**ირანი მკაცრად რეაგირებს პრეზიდენტ დონალდ ტრამპის გადაწყვეტილებაზე, ბირთვული ხელშეკრულებიდან აშშ-ის გამოსვლის შესახებ. ერთობლივი, ყოვლისმომცველი ხელშეკრულება გაფორმდა 2015 წლის ივლისში აშშ-ს, რუსეთს, ჩინეთს, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს, გერმანიასა და ირანს შორის.**

Al Arabiya იუწყება, რომ ირანის მეჯლისის (პარლამენტის) სპიკერმა **ალი ლარიჯანმა** ტრამპის გადაწყვეტილებას „დიპლომატიური შოუ" უწოდა. „როგორც ჩანს, ტრამპს მხოლოდ ძალის ენა ესმის", — განაცხადა მან პარლამენტარების წინაშე გამოსვლისას.

ირანელი პარლამენტარების ერთმა ჯგუფმა კი შეძახილების — „სიკვდილი ამერიკას!" ფონზე ტრიბუნასთან დაწვა აშშ-ის ქაღალდის დროშა და 2015 წლის გარიგების სიმბოლური დოკუმენტები.

ტრამპის განცხადებით, აღნიშნულმა ხელშეკრულებამ ირანს დაუტოვა ბირთვული ბომბის შექმნის შესაძლებლობა დამტკიცებული შეზღუდვებისთვის გვერდის ავლის გზით; ამასთანავე, მიზანშეწონილად ჩათვალა ახალი ხელშეკრულების დადება.

დიდი ბრიტანეთის, გერმანიისა და საფრანგეთის ლიდერებმა: **ტერეზა მეიმ, ანგელა მერკელმა** და **ემანუელ მაკრონმა** ბირთვული გარიგების ყველა მონაწილეს მოუწოდეს, სრულად დაიცვან 2015 წლის ხელშეკრულება.



# საუდის არაბეთი ბირთვული იარაღის შექმნას აპირებს

**სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა ადელ ალ-ჯუბეირმა CNN-ის ეთერში ვაშინგტონსა და თეირანს შორის დადებულ ხელშეკრულებას „არასრულფასოვანი" უწოდა და მხარი დაუჭირა ტრამპის გადაწყვეტილებას ამ გარიგებიდან გამოსვლის შესახებ.**

პოლიტიკოსმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულება არ ეხებოდა ბალისტიკური რაკეტების შექმნისა და ირანის მიერ ტერორისტების მხარდაჭერის პრობლემებს. „მიმაჩნია, რომ, თუ ირანი განაახლებს ურანის გამდიდრების პროგრამას იმ დონეზე მაღლა, რომელიც ამჟამადაა, მაშინ ამას უნდა მოჰყვეს ყველა სხვა სახელმწიფოს გამოსვლა ამ გარიგებიდან და მათი მხრიდან დამატებითი სანქციების მიღება ირანის საწინააღმდეგოდ", — თქვა მან.

შეკითხვას, აპირებს თუ არა საუდის არაბეთი ატომური იარაღის შექმნას, ალ-ჯუბეირმა დადებითად უპასუხა: „ჩვენ სავსებით ნათლად და გარკვევით განვაცხადეთ, რომ, თუ ირანი მიიღებს ბირთვულ პოტენციალს, განსხვავების აღმოსაფხვრელად ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რისი საშუალებაც გვაქვს".


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგეოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**


ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894